სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N181192269
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	26.09.2018 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ირმა შარვაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი, ჟ. შარტავას 42
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	2238372
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	40143252749318

-მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძის შემცვლელი პირი მაკა ციხისელი ვამოწმებ თარჯიმნის ნათია გვიმრაძის (დაბ. 05.01.1978წ, პირადი #11001000406, მცხ: ქ. თბილისში, III მასივი. VIII კვ. კორპ.5. ბ. 25)
I ,Maka Tsikhiseli, the substitute person of a notary Irma Sharvadze,
certify the authenticity of signature of the translator Natia Gvimradze/born on 05.01.1978, ID/C Personal No11001000406.,residing at the address: Apt. 25. Building V. block VIII. III massiv, c. Tbilisi)
დიპლომი სუ # 000394. რეგისტრაციის #508 გაც. 2001 წელს.
Diploma su # 000394. reg. No 508 issued in 2001.
თბილისის სახ. უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიერ
by the Sukhumi Branch of Tbilisi State University.
ხელმოწერის ნამდვილობას.
მე, გავაფრთხილე თარჯიმანი, რომ იგი პასუხს აგებს თარგმანის სისწორეზე.
I, warned the translator that he (she) is responsible for correctness of the translation
მან დაადასტურა, რომ ჯეროვნად ფლობს ინგლისურ ენას და უზრუნველყოფს თარგმანის სიზუსტეს.
He (she) confirms that he (she) knows the English language properly and guarantees correctness of the translation.
თარგმანი შესრულებულია ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე.სანოტარო მოქმედება შესრულებულია გაგარინის 29ა-ში.
Translation is made from English into Georgia.
გადახდილია სახელმწიფო; (1 ეგზემპლარზე შესრულებული 81 ხელმოწერის დამოწმებისთვის) 162.00 ლარი, სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 20,00 ლარი, დღგ 32,76 ლარი და რეგისტრაციისთვის 2 ლარი
Notary fee- (For certification of 81 signatures on 1 copy) 162.00 GEL, + 20.00 GEL for performing notarial action out of office VAT 32,76 GEL and registration fee 2.00 GEL
ნოტარიუსის შემცვლელი პირი
Person substituting the Notary: _____

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სს „საქართველოს ბანკის“
განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის ანგარიში

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება 1
მოგება-ზარალის განცალკევებული ანგარიშგება 2
სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება 3
კაპიტალში ცვლილების განცალკევებული ანგარიშგება 4
ფულადი სახსრების განცალკევებული ანგარიშგება 5

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სარჩევი 2
1. ძირითადი საქმიანობები 6
2. მომზადების საფუძველი 7
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 8
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 25
5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ 26
6. ფული და ფულის ეკვივალენტები 29
7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 29
8. გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები 29
9. კლიენტებზე გაცემული სესხები 30
10. საინვესტიციო ქონება 33
11. ძირითადი საშუალებები 33
12. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში 34
13. გუდვილი 35
14. გადასახადები 37
15. სხვა აქტივები და ვალდებულებები 38
16. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე 40
17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები 41
18. სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები 42
19. პირობითი ვალდებულებები 42
20. კაპიტალი 43
21. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან 44
22. წმინდა შემოსავალი უძრავი ქონებიდან 44
23. ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 44
24. წმინდა არაგანმეორებადი მუხლები 45
25. წილობრივი გადახდები 45
26. რისკის მართვა 47
27. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა 59
28. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 66
29. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები 69
30. კაპიტალის ადეკვატურობა 72
31. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 74

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „საქართველოს ბანკის“ აქციონერებსა და სამეთვალყურეო საბჭოს

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს „საქართველოს ბანკის” („ბანკი”) განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება განცალკევებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალის განცალკევებული ანგარიშგებისგან, სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგებისგან და განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ბანკის განცალკევებულ ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი განცალკევებული საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და განცალკევებული ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს”) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს ვარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს”) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწერილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*. ჩვენ ვართ ბანკისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *„პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“* (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენი მოსაზრების გამოთქმისას, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები ის საკითხებია, რომლებიც, ჩვენი პროფესიული განსჯის საფუძველზე, ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის კონტექსტში და ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბებისას, შესაბამისად, ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვხატავთ. ქვემოთ, თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩვენივე აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწერილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით *„აუდიტორის პასუხისმგებლობა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“*, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რითაც შეგვაფასებდით განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკებს, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ჩვენი აუდიტის პროცედურების შედეგები, მათ შორის, ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურები, წარმოადგენს თანდართულ განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები	*როგორც განვიხილეთ ეს საკითხი ჩვენი აუდიტის ჩატარებისას*
კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურება	
სესხის დანაკარგების რეზერვი გამოთვლილია კოლექტიური და ინდივიდუალური გაუფასურების შეფასებების კომბინაციით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზს. როგორც ინდივიდუალურად, ასევე, კოლექტიურად შეფასებული გაუფასურება დამოკიდებულია ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ რამდენიმე დაშვებაზე, მათ შორის, ისეთ მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებსა და ფაქტორებზე, როგორებიცაა, დეფოლტის ალბათობა და დეფოლტის დადგომისას მიღებული დანაკარგის მოსალოდნელი თანხები, ასევე, მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების ოდენობასა და უზრუნველყოფის შეფასებებზე. ალტერნატიული რეზერვირების მოდელებისა და დაშვებების გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ბანკის მიერ აღიარებულ გაუფასურების რეზერვსა და ანგარიშგებაში ასახულ მოგებებზე. კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მე-9 შენიშვნაში, *კლიენტებზე გაცემული სესხები და 26-ე* შენიშვნაში, *რისკის მართვა.*	ჩვენ განვახორციელეთ სესხის დანაკარგის რეზერვირების პროცესების ანალიზი, როგორც კოლექტიურად შეფასებულ, ასევე, ინდივიდუალურად გაუფასურებულ სესხებთან დაკავშირებით და შევაფასეთ ძირითადი კონტროლების დიზაინი და მოქმედების ეფექტიანობა. ჩვენ შევამოწმეთ ძირითადი კონტროლები სესხის დანაკარგის რეზერვზე, რომლებიც მოიცავდა კონტროლებს იმ სესხების საიდენტიფიკაციოდ, რომლებზეც რეზერვი უნდა შეფასდეს ინდივიდუალურად, ხელმძღვანელობის მიერ ძირითადი დაშვებების გადახედვაზე, მსესხებლების კლასიფიკაციაზე შესაბამის რისკის საფეხურებში, ვადაგადაცილებული დღეების გაანგარიშებაზე, და სესხის დანაკარგის რეზერვის გადაანგარიშებაზე, მათ შორის, უზრუნველყოფის შეფასებებზეც. ინდივიდუალურად შეფასებული სესხის დანაკარგის რეზერვთან დაკავშირებით, ჩვენ შერჩევით შევაფასეთ ინდივიდუალურ შეფასებას დაქვემდებარებული სესხის მოცულობები. ჩვენ ძირითადად გადავხედეთ ბანკის მიერ დოკუმენტირებულ მსესხებლების საკრედიტო შეფასებებს, გავაანალიზეთ ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დაშვებები მომავალი ფულადი ნაკადების პროგნოზების ფარგლებში და არსებული უზრუნველყოფების შეფასებები. კოლექტიურად შეფასებული სესხის დანაკარგის რეზერვთან დაკავშირებით, ჩვენ შევაფასეთ კოლექტიური რეზერვირების მეთოდოლოგია, ასევე, დაშვებები და მონაცემები, გადავიანგარიშეთ კოლექტიურად შეფასებული სესხის დანაკარგის რეზერვი და ჩავატარეთ მოდელის ძირითად მონაცემებში ცვლილებების მგრძნობელობის ანალიზი. ჩვენ ასევე განვიხილეთ ბანკის გაუფასურების რეზერვის შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.
საინვესტიციო ქონების შეფასება	
ბანკი საინვესტიციო ქონებისთვის იყენებს სამართლიანი ღირებულების მოდელს. ბანკმა დაიქირავა პროფესიონალი შემფასებელი საიმისოდ, რომ განესაზღვრა თავისი საინვესტიციო ქონების სამართლიანი	შერჩევით აღებული ბანკის საინვესტიციო ქონებების შესაფასებლად, ჩვენ დავიქირავეთ ჩვენი უძრავი ქონების სპეციალისტები. სპეციალისტების შეფასება მოიცავდა ბანკის მიერ დაქირავებული გარე შემფასებლების

ღირებულება. უძრავი ქონების შეფასებები თავისი არსიდან გამომდინარე საეჭვოა და ექვემდებარება მიახლოებითი შეფასების პროცესს. გარდა ამისა, ბანკის უძრავი ქონება მდებარეობს საქართველოში, სადაც მეორადი ბაზარი შედარებით არალიკვიდურია, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს შეფასების შედეგებზე და შესაბამისად, ბანკის მიერ წარმოდგენილ კაპიტალსა და მოგებებზე. ამ შეფასებების მნიშვნელობა და სუბიექტურობა აქცევს მათ აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხად. საინვესტიციო ქონების შეფასების შესახებ ინფორმაცია მოცემულია განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მე-10 შენიშვნაში, *საინვესტიციო ქონება* და 27-ე შენიშვნაში, *სამართლიანი ღირებულებით შეფასებები.*	კომპეტენციისა და ობიექტურობის განსაზღვრას, გამოყენებული მეთოდებისა და ვარაუდების ანალიზს და შემფასებლების მიერ მოწოდებული მონაცემების შემოწმებას. ჩვენ განვიხილეთ ბანკის მიერ აღიარებული შეფასებების შედეგები და საინვესტიციო ქონების შეფასების შესაბამისი განმარტებითი შენიშვნები.

სხვა ინფორმაცია, რომელიც ასახულია ბანკის 2017 წლის ანგარიშში

სხვა ინფორმაცია გულისხმობს ანგარიშში ასახულ ინფორმაციას, გარდა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებლია ხელმძღვანელობა. ვფარაუდობთ, რომ წლიური ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი იქნება წინამდებარე აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ ვრცელდება სხვა ინფორმაციაზე და ჩვენ არ გამოვთქვამთ მასზე რაიმე ფორმით რწმუნებას.

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით, ჩვენი პასუხისმგებლობაა, წავიკითხოთ ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია, როდესაც ის გახდება ჩვენთვის ხელმისაწვდომი, და ამასთან ერთად, განვიხილოთ, არის თუ არა სხვა ინფორმაცია არსებითად შეუსაბამო განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის განმავლობაში ჩვენ მიერ მიღებულ ცოდნასთან, ან თუ შეიცავს სხვა არსებით უზუსტობას.

ხელმძღვანელობისა და აუდიტის კომიტეტის პასუხისმგებლობა განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, და ისეთ შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, აქვს თუ არა ბანკს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობანი სრული ფინანსური ანგარიშგებების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ფასს-ის მიხედვით აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. არსებითი უზუსტობის რისკი, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით, უფრო მაღალია, ვიდრე რისკი, რომელიც გამოწვეულია შეცდომით, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის, ასევე, მნიშვნელოვანი საბუღალტრო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას.
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და, მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან დაკავშირებით, შეძლებს თუ არა ბანკი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ მასზე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. ამის მიუხედავად, სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს ბანკის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.
- მთლიანობაში ვაფასებთ განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, ასახავს თუ არა განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება შესაბამის ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.

ჩვენ აუდიტის კომიტეტს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბსა და ვადებს, აგრეთვე, აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის, შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

ამასთანავე, აუდიტის კომიტეტს წარვუდგენთ წერილობით განცხადებას, რომ ვაკმაყოფილებთ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და ვატყობინებთ ყოველგვარი ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც გონივრულობის ფარგლებში შეიძლება ეჭვს იწვევდეს ჩვენი დამოუკიდებლობის შესახებ, და, თუ შესაძლებელია, წარმოვადგენთ შესაბამის გარანტიებს.

აუდიტის კომიტეტისთვის წარდგენილ საკითხებს შორის განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიეთ მიმდინარე პერიოდის განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განმავლობაში და, შესაბამისად, სწორედ ისინი წარმოადგენს აუდიტთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს აღვწერთ აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონით ან ნორმატიული აქტით არ არის აკრძალული საკითხის საჯაროობა, ან თუ, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, გადავწყვეტთ, რომ საკითხი არ უნდა აისახოს ჩვენს დასკვნაში, რადგან გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ამით გამოწვეული უარყოფითი შედეგები გადაწონის ამ ინფორმაციის მიმართ საზოგადოებრივი ინტერესის სარგებელს.

წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ეყრდნობა აუდიტს, რომლის პარტნიორიც არის ოლეგ იუშენკოვი.

ოლეგ იუშენკოვი

შპს „იუაი საქართველოს" სახელით

თბილისი, საქართველო

2018 წლის 16 აგვისტო

ფინანსური მდგომარეობის განცალკევებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016	1 იანვარი 2016
აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	1,401,881	1,419,966	1,266,377
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,205,844	936,925	718,464
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	1,540,344	1,199,177	902,240
კლიენტებზე გაცემული სესხები	9	7,063,894	6,021,634	5,005,169
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		6,603	122	2,272
საინვესტიციო ქონება	10	185,493	146,379	129,817
წინასწარ გადახდილი თანხები		48,635	11,031	15,631
ძირითადი საშუალებები	11	287,886	262,053	257,188
არამატერიალური აქტივები		48,190	33,929	28,912
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	12	159,888	134,228	133,863
ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში		11,031	9,626	-
გუდვილი	13	33,453	33,453	33,453
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები		-	18,505	-
სხვა აქტივები	15	100,533	83,417	121,913
სულ აქტივები		**12,093,675**	**10,310,445**	**8,615,299**
ვალდებულებები				
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	16	6,815,768	5,546,947	4,752,210
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	17	2,969,635	3,262,571	1,589,799
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	18	694,993	153,145	940,945
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		8,386	-	9,658
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები	14	7,602	18,436	67,753
რეზერვები	19	2,816	3,008	2,243
სხვა ვალდებულებები	15	57,923	49,904	39,343
სულ ვალდებულებები		**10,557,123**	**9,034,011**	**7,401,951**
კაპიტალი	20			
სააქციო კაპიტალი		27,821	27,821	27,821
დამატებით შეტანილი კაპიტალი		140,358	216,030	297,300
სახაზინო აქციები		(9)	(9)	(3)
სხვა რეზერვები		29,216	25,493	(31,498)
გაუნაწილებელი მოგება		1,339,166	1,007,099	919,728
სულ კაპიტალი		**1,536,552**	**1,276,434**	**1,213,348**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**12,093,675**	**10,310,445**	**8,615,299**

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორთა საბჭოს სახელით:

კახა კიკნაველიძე გენერალური დირექტორი

დავით წიკლაური ფინანსური დირექტორი

2018 წლის 16 აგვისტო

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-74 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

მოგება-ზარალის განცალკევებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი			
კლიენტებზე გაცემული სესხები		919,957	757,777
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები		106,017	87,835
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		16,355	6,147
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		952	316
		1,043,281	**852,075**
საპროცენტო ხარჯები			
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		(209,151)	(180,689)
ვალდებულებები საკრედიტო ინსტიტუტების წინაშე		(181,988)	(126,184)
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები		(41,069)	(40,618)
		(432,208)	**(347,491)**
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		**611,073**	**504,584**
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან		183,131	158,121
გასამრჯელოსა და საკომისიოს ხარჯი		(71,268)	(55,694)
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	21	**111,863**	**102,427**
წმინდა შემოსავალი უძრავი ქონებიდან	22	5,989	8,433
გასაყიდად არსებული საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან მიღებული წმინდა მოგება		2,121	2,093
წმინდა მოგება (ზარალი) სხვა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან		1,479	(634)
წმინდა მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	10	6,200	-
წმინდა მოგება უცხოური ვალუტიდან:			
– ვაჭრობიდან		57,617	58,113
– საკურსო სხვაობიდან		17,015	18,309
წმინდა სხვა საოპერაციო (ხარჯი) შემოსავალი		(1,297)	1,840
სხვა საოპერაციო არასაპროცენტო შემოსავალი		**89,124**	**88,154**
შემოსავალი		**812,060**	**695,165**
ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის	23	(170,467)	(141,209)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	23	(83,278)	(69,443)
ცვეთა და ამორტიზაცია		(37,153)	(33,681)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(2,575)	(2,959)
საოპერაციო ხარჯები		**(293,473)**	**(247,292)**
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო რისკის ხარჯამდე		**518,587**	**447,873**
გაუფასურების ხარჯი კლიენტებზე გაცემულ სესხებზე	9	(146,696)	(140,507)
გაუფასურების (ხარჯი) შებრუნება ფინანსური იჯარიდან		(93)	19
გაუფასურების ხარჯი სხვა აქტივებსა და რეზერვებზე		(11,251)	(4,858)
საკრედიტო რისკის ხარჯი		**(158,040)**	**(145,346)**
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არაგანმეორებად მუხლებამდე		**360,547**	**302,527**
წმინდა არაგანმეორებადი მუხლები	24	(3,538)	(47,751)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე		**357,009**	**254,776**
მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი	14	(24,942)	33,192
წლის მოგება		**332,067**	**287,968**
საბაზო და განზავებული მოგება ერთ აქციაზე	20	**11.9396**	**10.3519**

სრული შემოსავლის განცალკევებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	*2017*	*2016*
წლის მოგება		**332,067**	**287,968**
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდება:			
– გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდების არარეალიზებული გადაფასება		3,142	59,084
– გასაყიდად ფლობილ ფასიან ქაღალდებზე რეალიზებული მოგება, რეკლასიფიცირებული განცალკევებულ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში		(2,121)	(2,093)
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში მოგებაში ან ზარალში რეკლასიფიცირდება		**1,021**	**56,991**
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში მოგებაში ან ზარალში არ რეკლასიფიცირდება:			
– საინვესტიციო ქონებაში გადატანილი ძირითადი საშუალებების გადაფასება	11	3,483	-
მოგების გადასახადის ეფექტი	14	(781)	-
წმინდა სხვა სრული შემოსავალი, რომელიც შემდეგ პერიოდებში მოგებაში ან ზარალში არ რეკლასიფიცირდება		**2,702**	**-**
წლის სხვა სრული შემოსავალი		**3,723**	**56,991**
სულ წლის სრული შემოსავალი		**335,790**	**344,959**

კაპიტალში ცვლილებების განცალკევებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	სააქციო კაპიტალი	*დამატებით შეტანილი კაპიტალი*	*სახაზინო აქციები*	*სხვა რეზერვები*	*გაუნაწილებელი მოგება*	*სულ*
1 იანვარი 2016	**27,821**	**297,300**	**(3)**	**(31,498)**	**919,728**	**1,213,348**
წლის მოგება	-	-	-	-	287,968	287,968
წლის სხვა სრული მოგება	-	-	-	56,991	-	56,991
სულ სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**56,991**	**287,968**	**344,959**
წილობრივი გადახდების შედეგად წარმოშობილი ზრდა კაპიტალში	-	38,195	-	-	-	38,195
დივიდენდები ბანკის აქციონერებისთვის (შენიშვნა 20)	-	-	-	-	(200,597)	(200,597)
შენატანები წილობრივი გადახდის გეგმის შესაბამისად (შენიშვნა 25)	-	(119,465)	(6)	-	-	(119,471)
31 დეკემბერი 2016	**27,821**	**216,030**	**(9)**	**25,493**	**1,007,099**	**1,276,434**
წლი მოგება	-	-	-	-	332,067	332,067
წლის სხვა სრული მოგება	-	-	-	3,723	-	3,723
სულ სრული შემოსავალი	**-**	**-**	**-**	**3,723**	**332,067**	**335,790**
წილობრივი გადახდების შედეგად წარმოშობილი ზრდა კაპიტალში	-	50,394	-	-	-	50,394
შენატანები წილობრივი გადახდის გეგმის შესაბამისად (შენიშვნა 25)	-	(126,066)	-	-	-	(126,066)
31 დეკემბერი 2017	**27,821**	**140,358**	**(9)**	**29,216**	**1,339,166**	**1,536,552**

ფულადი ნაკადების განცალკევებული ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნები	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მიღებული პროცენტი		1,024,276	839,029
გადახდილი პროცენტი		(429,429)	(385,048)
მიღებული გასამრჯელო და საკომისიო		170,758	152,792
გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო		(71,268)	(55,694)
წმინდა ფულადი სახსრები უძრავი ქონებიდან		5,673	12,403
წმინდა რეალიზებული მოგება ვალუტიდან		57,617	58,113
ჩამოწერილი კლიენტებზე გაცემული სესხების აღდგენა	9	52,792	36,244
სხვა გადახდილი ხარჯები		(15,559)	(55,880)
გადახდილი ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის		(118,083)	(109,717)
გადახდილი საერთო და ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები		(68,042)	(68,031)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		**608,735**	**424,211**
წმინდა (ზრდა) კლება საოპერაციო აქტივებში			
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ		(287,274)	(143,247)
კლიენტებზე გაცემული სესხები		(1,416,089)	(704,309)
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		4,916	3,707
წინასწარ გადახდილი თანხები და სხვა აქტივები		(10,482)	7,318
წმინდა ზრდა (კლება) საოპერაციო ვალდებულებებში			
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები		(261,521)	1,557,452
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები		561,320	(853,466)
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე		1,350,109	432,470
სხვა ვალდებულებები		17,217	2,628
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები მოგების გადასახადამდე		**566,931**	**726,764**
გადახდილი მოგების გადასახადი		(9,666)	(44,326)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები		**557,265**	**682,438**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
შვილობილი კომპანიების შეძენა	12	(10,066)	-
წინა წლის შენაძენებიდან დარჩენილი თანხების გადახდა		-	(8,768)
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების წმინდა შესყიდვები		(333,146)	(230,953)
შემოსავლები საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან		11,067	4,384
შემოსავლები ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების გაყიდვიდან		923	806
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შესყიდვები		(101,861)	(44,022)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**(433,083)**	**(278,553)**
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები		(211)	(200,099)
შენატანები წილობრივი გადახდის გეგმის შესაბამისად	25	(126,066)	(119,471)
დამატებითი წილების შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში		(17,793)	(365)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები		**(144,070)**	**(319,935)**
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		1,803	69,639
ფულისა და ფულის ეკვივალენტების წმინდა (კლება) ზრდა		**(18,085)**	**153,589**
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის დასაწყისში	6	**1,419,966**	**1,266,377**
ფული და ფულის ეკვივალენტები, წლის ბოლოს	6	**1,401,881**	**1,419,966**

თანდართული განმარტებითი შენიშვნები 8-74 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ძირითადი საქმიანობები

სს „საქართველოს ბანკი“ („ბანკი“) დაფუძნდა 1994 წლის 21 ოქტომბერს, სააქციო საზოგადოების სახით („სს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. ბანკი მუშაობს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ”, საქართველოს ცენტრალური ბანკი) მიერ 1994 წლის 15 დეკემბერს გაცემული ზოგადი საბანკო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად.

ბანკი იღებს დეპოზიტებს საზოგადოებისაგან და გასცემს კრედიტს, ახორციელებს გადარიცხვებს როგორც საქართველოს ფარგლებში, ისე მის ფარგლებს გარეთ, და აწარმოებს ვალუტის გაცვლას. სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში, საქართველოში. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკს აქვს 286 სერვის ცენტრი საქართველოს ყველა დიდ ქალაქში (2016 წლის 31 დეკემბერი: 278, 31 2016 წლის 1 იანვარი: 266). ბანკის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, გაგარინის ქუჩა 29ა.

ბანკის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა მოიცავს საბანკო მომსახურებების გაწევას კორპორატიული და ფიზიკური პირებებისთვის.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მთავარი აქციონერი იყო სს „ბიჯეო ჯგუფი“, რომელიც ბანკის აქციების 99.55%-ს ფლობდა. აქციების დარჩენილი 0.45% განთავსებული იყო საქართველოს საფონდო ბირჟაზე. თავად სს „ბიჯეო ჯგუფს“ სრულად ფლობდა ინგლისსა და უელსში დაფუძნებული დია სააქციო საზოგადოება „ბიჯეო გრუფ ფლს“ (“BGEO”), რომელიც ბანკის საბოლოო მშობელ კომპანიას წარმოადგენს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, BGEO-ის აქციები შეყვანილი იყო გაერთიანებული სამეფოს მარეგისტრირებელი ორგანოს ოფიციალური ნუსხის პრემიუმ დაშვების სეგმენტში და უფლება ჰქონდა ევაჭრა ღსს „ლონდონის საფონდო ბირჟის“ რეგისტრირებული ფასიანი ქაღალდების მთავარ ბაზარზე, რაც ძალაში იყო 2012 წლის 28 თებერვლიდან.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სს „ბიჯეო ჯგუფი“ იყო ბანკის მთავარი აქციონერი:

აქციონერი	*31 დეკემბერი 2017*	*31 დეკემბერი 2016*	*1 იანვარი 2016*
სს "ბიჯეო ჯგუფი"	99.55%	99.55%	99.52%
სხვები*	0.45%	0.45%	0.48%
სულ	**100.00%**	**100.00%**	**100.00%**

**** საქართველოს საფონდო ბირჟაზე წარმოდგენილი აქციები.***

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკის მფლობელობა ვრცელდებოდა შემდეგ კომპანიებზე:

შვილობილი კომპანიები	*სმის უფლებისა და ფლობილი წესულებრივი კაპიტალის წილი*			*რეგისტრაციის ქვეყანა*	*დარგი*	*რეგისტრაციის თარიღი*	*შეძენის თარიღი*
	31 დეკემბერი 2017	*31 დეკემბერი 2016*	*1 იანვარი 2016*				
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა გაერთიანებულ სამეფოში	100.00%	100.00%	100.00%	გაერთიანებული სამეფო	ინფორმაციის გაცვლა და ბაზრის კვლევა	17/8/2010	–
არაკომერციული ორგანიზაცია სიცოცხლის ხის ფონდი	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	საქველმოქმედო საქმიანობა	25/8/2008	–
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა უნგრეთში	100.00%	100.00%	100.00%	უნგრეთი	წარმომადგენლობა	18/6/2012	–
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა თურქეთში	100.00%	100.00%	100.00%	თურქეთი	წარმომადგენლობა	25/12/2013	–
შპს საქართველოს ფინანსური ინვესტიციები	100.00%	100.00%	100.00%	ისრაელი	ინფორმაციის გაცვლა და ბაზრის კვლევა	9/2/2009	–
პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი შპს დინამო თბილისი	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	სპორტი	10/1/2011	–
შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი	100.00%	100.00%	100.00%	საქართველო	განათლება	15/10/2013	–
შპს კერძო დაცვა	-	-	100.00%	საქართველო	დაცვა	–	21/1/2015
ბენდურლოქ ინვესთმენთ ლიმითედი	100.00%	100.00%	100.00%	კვიპროსი	ინვესტიციები	12/5/2009	13/10/2009
- სს ბელორუსიის სახალხო ბანკი	99.98%	79.99%	79.99%	ბელორუსია	საბანკო საქმიანობა	16/4/1992	3/6/2008
- შპს BNB ლიზინგი	99.90%	99.90%	99.90%	ბელორუსია	ლიზინგი	30/3/2006	3/6/2008
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია (ა)	100.00%	-	-	საქართველო	ლიზინგი	29/10/2001	31/12/2004
- პრაიმ ლიზინგი (ა)	100.00%	-	-	საქართველო	ლიზინგი	27/1/2012	21/1/2015

1. ძირითადი საქმიანობები (გაგრძელება)

მეკავშირე კომპანიები	ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის წილი			რეგისტრაციის ქვეყანა	დარგი	რეგისტრაციის თარიღი	შეძენის თარიღი
	31 დეკემბერი 2017	*31 დეკემბერი 2016*	*1 იანვარი 2016*				
სს კრედიტ ინფო	21.08%	19.11%	16.63%	საქართველო	ფინანსური შუამავლობა	14/2/2005	14/2/2005

(ა) 2017 წლის ივნისში, ბანკმა შეიძინა შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“.

2. მომზადების საფუძველი

ზოგადი ინფორმაცია

ბანკმა პირველად მოამზადა წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შესაბამისობაშია 2017 წლისთვის მოქმედ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ”) ინტერპრეტაციებთან, რომლებიც, თავის მხრივ, გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს”) მიერ. წარმოდგენილი განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის 2017 წლის 18 სექტემბრით დათარიღებული №15 ბრძანების მოთხოვნების შესაბამისად. ბანკმა გამოიყენა ფასს 1–ის შესაბამისად განსაზღვრული გამონაკლისები, კერძოდ კი, ვალუტის კონვერტაციის რეზერვთან მიმართებაში, რომელიც, ფასს-ზე გადასვლის თარიღისათვის მიჩნეულ იქნა ნულის ტოლად.

2018 წლის 27 აპრილს, ბანკმა მოამზადა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, რომელიც შესაბამისობაშია 2017 წლისთვის მოქმედ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა („ფასს“) და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის საერთაშორისო კომიტეტის („ფაისკ”) ინტერპრეტაციებთან, რომლებიც, თავის მხრივ, გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს”) მიერ. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ხელმისაწვდომია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.bankofgeorgia.ge).

საზედამხედველო მიზნობრიობის ფარგლებში, ბანკს მოეთხოვება აწარმოს ჩანაწერები და მოამზადოს ფინანსური ანგარიშგებები ქართულ ლარში. წინამდებარე განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, გარდა:

- სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, წარმოებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა, საინვესტიციო ქონებისა; და
- სასაქონლო მატერიალური მარაგებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში („ლარი”), გარდა თითო აქციის ღირებულებისა, და თუ სხვაგვარად არ იქნა მითითებული.

მოქმედი საწარმო

ბანკის დირექტორთა საბჭომ შეაფასა ბანკის უნარი, გააგრძელოს საქმიანობა, როგორც მოქმედმა საწარმომ და დაკმაყოფილდა იმით, რომ მას გააჩნია საჭირო რესურსები საქმიანობის გასაგრძელებლად, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. უფრო მეტიც, ხელმძღვანელობისთვის უცნობია რაიმე მნიშვნელოვანი გარემოების შესახებ, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ან ეჭვი გააჩინოს ბანკის მიერ საქმიანობის გაგრძელების უნართან დაკავშირებით. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია მოქმედი საწარმოს დაშვების საფუძველზე.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა

შერწყმა შვილობილ კომპანიებთან და გუდვილი

ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში თავდაპირველად იზომება თვითღირებულებით. აქციების დათმობა, მათ ქვეშ არსებული აქტივების სანაცვლოდ, წარმოადგენს არსებითად ცვლილებას მშობელი კომპანიის გადმოსახედში თავის ინვესტიციასთან მიმართებაში, ‘პირდაპირი მონაწილეობრივი წილიდან’ ‘წარდგენილ შედეგებსა და წმინდა აქტივებამდე”. შედეგად, სამართლებრივი შერწყმის დროს, გაერთიანებულ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებული თანხები იქცევა ამ აქტივების ღირებულებად მშობელი კომპანიისთვის. სამართლებრივი შერწყმის დღეს, გაერთიანებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, შეძენილი აქტივები (მათ შორის, ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე კომპანიებში, ან ერთობლივ საწარმოებში, რომლებსაც ფლობს შერწმული შვილობილი კომპანია) და აღებული ვალდებულებები აღიარდება საბალანსო ღირებულებებით. ამაში შედის ნებისმიერი დაკავშირებული გუდვილი, არამატერიალური აქტივები, ან სხვა კორექტირებები, რაც წარმოიშვება შეძენის დროს სამართლიან ღირებულებამდე აყვანისას, და რომლებიც აღიარებულ იქნა მაშინ, როცა თავდაპირველად იყიდეს შვილობილი კომპანია; და ეს შემცირებულია შემდგომი დაკავშირებული ამორტიზაციით, ცვეთით, გაუფასურების დანაკარგით, როგორც შეესაბამება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, გუდვილი ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალი. როდესაც გუდვილი გადანაწილებულია ფულადი სახსრების გამომუშავებელ ერთეულზე და ამ ერთეულში ოპერაციის ნაწილი გაიყიდება, გაყიდული ნაწილის შესაბამისი გუდვილი მონაწილეობს ოპერაციის საბალანსო ღირებულების დათვლაში, რათა განისაზღვროს გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი. ასეთი შემთხვევებისას ჩამოწერილი გუდვილი ფასდება გაყიდული ოპერაციისა და ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის დარჩენილი ნაწილის ღირებულებების შეფარდების საფუძველზე.

ყოველწლიურად, ან უფრო ხშირად, თუ მოვლენები ან გარემო ცვლილებები მიუთითებს, რომ საბალანსო ღირებულება შესაძლოა გაუფასურებულ იყოს, გუდვილი მოწმდება გაუფასურებაზე.

გაუფასურების შემოწმების მიზნით, შერწყმის დღიდან დაწყებული, შვილობილ კომპანიასთან შერწყმის შედეგად წარმოშობილი გუდვილი გადანაწილდება ბანკის თითოეულ ფულადი სახსრების გამომუშავებელ ერთეულზე, ან ამ ერთეულების ჯგუფზე, რომელთათვისაც მოსალოდნელია, რომ ისინი ისარგებლებენ შერწმის შედეგად მიღებული სინერგიით, იმისდა მიუხედავად, მიეკუთვნება თუ არა ამ ერთეულებს თუ ერთეულთა ჯგუფებს ბანკის სხვა აქტივები ან ვალდებულებები. თითოეული ერთეული ან ერთეულების ჯგუფი, რომელზეც გუდვილი ამგვარად გადანაწილდა:

- წარმოადგენს ყველაზე დაბალ დონეს ბანკში, რომელზეც გუდვილს უყურებენ შიდა მართვის მიზნებისთვის; და
- არ არის სეგმენტზე დიდი, რომელიც, თავის მხრივ, განმარტებულია ფასს-8 „საოპერაციო სეგმენტებში”.

გაუფასურება განისაზღვრება იმ ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის (ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულების ჯგუფის) ამოღებადი თანხის შეფასებით, რომელზეც გადანაწილებულია გუდვილი. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულის (ფულადი სახსრების გამომუშავებელი ერთეულების ჯგუფის) ამოღებადი თანხა ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე. გაუფასურების ზარალები ვერ აღდგება მომავალ პერიოდებში.

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში, მათ შორის, ისინიც, რომლებიც შეძენილია საერთო კონტროლს დაქვემდებარებული ტრანზაქციების ფარგლებში, გაიზომება შეძენის ღირებულებით, რომელსაც აკლდება გაუფასურების ზარალები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში

მეკავშირე კომპანიები წარმოადგენენ საწარმოებს, სადაც კომპანიას, როგორც წესი, გააჩნია ხმის უფლებათა 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად არის უფლებამოსილი იქონიოს მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიაზე, მაგრამ რომელსაც იგი არ აკონტროლებს. ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში აღირიცხება კაპიტალის მეთოდით და თავდაპირველად აღიარებულია თავისი ღირებულებით, გუდვილის ჩათვლით. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს შესყიდვის შემდგომ ცვლილებებს მეკავშირე კომპანიის წმინდა აქტივების ბანკის კუთვნილ წილში. მეკავშირე კომპანიის მოგება ან ზარალის ბანკის კუთვნილი წილის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხოლო, რეზერვების ცვლილების ბანკის კუთვნილი წილის აღიარება ხდება სხვა სრულ შემოსავალში. თუმცა, თუ მეკავშირე კომპანიის ზარალის ბანკის კუთვნილი წილი ტოლია ან მეტია ბანკის წილზე მეკავშირე კომპანიაში, ბანკი აღარ აღიარებს შემდგომ ზარალს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკი ვალდებულია განახორციელოს შემდგომი გადახდები მეკავშირე კომპანიაში, ან მისი სახელით.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ინვესტიციები მეკავშირე კომპანიებში (გაგრძელება)

ბანკსა და მეკავშირე კომპანიას შორის ოპერაციებიდან მიღებული არარეალიზებული მოგება ელიმინირდება იმ ოდენობით, თუ რა წილს ფლობს ბანკი ამ მეკავშირე კომპანიაში; არარეალიზებული ზარალი ასევე ელიმინირდება მეკავშირე კომპანიაში ბანკის წილის შესაბამისად, თუ ტრანზაქცია არ მიუთითებს გადაცემული აქტივის გაუფასურებაზე. როცა გასაყიდად არსებული ინვესტიცია ხდება მეკავშირე საწარმო, ეს ინვეტიცია ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით და სხვა სრულ შემოსავალში მანამდე აღიარებული ნებისმიერი მოგება ან ზარალი რეკლასიფიცირდება მოგებასა ან ზარალში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

თითოეული ბალანსის შედგენის დღეს, ბანკი სამართლიანი ღირებულებით აფასებს ფინანსურ ინტრუმენტებს, როგორიცაა სავაჭრო და გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები, წარმოებულებები და არაფინანსური აქტივები, როგორიცაა საინვესტიციო ქონება. ასევე, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში.

სამართლიანი ღირებულება არის ფასი, რომელიც შეფასების დღეს მიღებული იქნება აქტივის გასაყიდად ან გადახდილი იქნება ვალდებულების გადასაცემად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ოპერაციისას. სამართლიანი ღირებულების შეფასება ეფუძნება დაშვებას, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის ოპერაცია ხორციელდება:

- აქტივისა ან ვალდებულების ძირითად ბაზარზე; ან
- ძირითადი ბაზრის არარსებობისას, აქტივისა ან ვალდებულების ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

ძირითადი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი ხელმისაწვდომი უნდა იყოს ბანკისათვის. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულებების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ თავიანთი ეკონომიკური საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება ითვალისწინებს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი აქტივის საუკეთესოდ და ეფექტურად გამოყენებით ან მისი ბაზრის სხვა მონაწილეებისთვის მიყიდვით, რომელიც გამოიყენებს ამ აქტივს ყველაზე ეფექტურად და საუკეთესოდ.

ბანკი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო საკმარისი მონაცემები, შესაბამისი დაკვირვებას დაქვემდებარებული მონაცემების მაქსიმუმამდე გაზრდით და არადაკვირვებადი მონაცემების მინიმუმამდე შემცირებით.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომლისთვისაც სამართლიანი ღირებულება ფასდება ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშებში, ფასდება ქვემოთ წარმოდგენილი სამართლიანი ღირებულების იერარქიის ფარგლებში, ყველაზე დაბალი დონის მონაცემების საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების მთლიანობაში შესაფასებლად:

- დონე 1 – კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები აქტიურ ბაზრებზე იდენტური აქტივებისა და ვალდებულებებისთვის;
- დონე 2 – შეფასების მეთოდები, რომელთა ფარგლებში საჭირო ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაკვირვებადია;
- დონე 3 – შეფასების მეთოდები, რომელთა ფარგლებში საჭირო ყველაზე დაბალი დონის მონაცემები, რომლებიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად, არ არის დაკვირვებადი.

ფინანსურ ანგარიშგებებში განმეორებითად აღიარებად აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, ბანკი განსაზღვრავს, მოხდა თუ არა გადასვლები იერარქიაში დონეებს შორის, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მათი კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად).

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარება

ბასს 39-ის ფარგლებში მოქცეული ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია ან ფინანსურ აქტივებად სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხებად და მოთხოვნებად, ან გასაყიდად ფლობილ ფინანსურ აქტივებად. ბანკი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას მათი თავდაპირველი აღიარებისას წყვეტს.

3. მნიშვნელოვანი საალრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები (გაგრძელება)

აღიარების თარიღი

ფინანსური აქტივების გაყიდვებისა და შესყიდვების აღიარება ხდება სავაჭრო ოპერაციის დღეს, ანუ იმ თარიღით, როდესაც ბანკი იღებს აქტივის შესყიდვის პასუხისმგებლობას. ფინანსური აქტივების რეგულარული სახით შესყიდვა და გაყიდვა გულისხმობს ისეთ ოპერაციებს, რომლებიც მოითხოვენ აქტივის მიტანას დანიშნულების პუნქტამდე კანონმდებლობით თუ საბაზრო პირობებით რეგულირებად პერიოდში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომელთაც გააჩნიათ ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადი და რომლებიც არ არის კოტირებული მოქმედ ბაზარზე. ისინი არ კლასიფიცირდება სავაჭრო ფასიან ქაღალდებად, არ განისაზღვრება, როგორც გასაყიდად ფლობილი ფასიანი ქაღალდები და არ გამოიყენება მოკლე პერიოდში გაყიდვის მიზნით. ასეთი აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გამოთვლა მოიცავს კონტრაქტის მხარეებს შორის განხორციელებულ ყველა გადახდილ და მიღებულ საკომისიოს, რომლებიც წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთის, გარიგების ხარჯების და ყველა სხვა საპრემიო შენატანის თუ დისკონტის განუყოფელ ნაწილს. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის განცალკევებულ ანგარიშგებაში ხდება სესხისა და მოთხოვნის ჩამოწერისას, გაუფასურებისას, ასევე, ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც განსაზღვრულია გასაყიდად ფლობილ ფინანსურ აქტივებად ან არ არიან კლასიფიცირებული სხვა რომელიმე კატეგორიაში. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივების შეფასება ხდება სამართლიანი ღირებულებით, მოგება და ზარალი კი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში, სანამ ინვესტიცია არ ჩამოიწერება ან გაუფასურდება, რის შემდეგაც სხვა სრულ შემოსავალში აღრიცხული ჯამური მოგება თუ ზარალი გადავა მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუმცა, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დაანგარიშებული საპროცენტო განაკვეთის აღიარება ხდება მოგება-ზარალის განცალკევებულ ანგარიშგებაში.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

საქმიანობის ჩვეულებრივ პროცესში, ბანკი იღებს სხვადასხვა წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს, მათ შორის, ფორვარდებს, სვოპებს და ოფციონებს, უცხოური ვალუტისა და კაპიტალის ბაზრებზე. ასეთი ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარების პოლიტიკის შესაბამისად და შემდეგ შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულებები შეფასებულია მოცემული ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასის, ან ფასის განსაზღვრის მოდელების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებენ შესაბამისი ინსტრუმენტის მიმდინარე საბაზრო და საკონტრაქტო ფასებს და სხვა ფაქტორებს. წარმოებული ინსტრუმენტები აღრიცხულია აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია და ვალდებულებებად – როდესაც უარყოფითია. აღნიშნული ინსტრუმენტების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი შეტანილია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც მოგება, მინუს ზარალი საკურსო სხვაობებიდან.

ფინანსური ინსტრუმენტების შეფასება თავდაპირველი აღიარებისას

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველად აღიარებისას, ისინი ფასდება სამართლიანი ღირებულებით, და კორექტირდება პირდაპირ მიკუთვნებადი საკომისიოებითა და ხარჯებით, თუ ინსტრუმენტები არ არიან სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგება-ზარალის გავლით.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულება არის ტრანზაქციის ფასი. თუ ბანკი გადაწყვეტს, რომ თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულება განსხვავდება აღნიშნული ტრანზაქციის ფასისგან, მაშინ:

- თუ სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია აქტიურ ბაზარზე იდენტური აქტივებისა ან ვალდებულებების კოტირებული ფასით (ე.ი. 1-ლი დონის მონაცემები), ან შეფასების მეთოდის საფუძველზე, რომელიც იყენებს მონაცემებს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრებიდან, ბანკი აღიარებს სხვაობას თავდაპირველი აღირებისას მოცემულ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის, როგორც მოგებას ან ზარალს;
- ყველა სხვა შემთხვევაში, ფინანსური ინსტრუმენტის თავდაპირველი შეფასება კორექტირდება, რათა გადავადდეს თავდაპირველი აღირებისას მოცემულ სამართლიან ღირებულებასა და ტრანზაქციის ფასს შორის სხვაობა. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, ბანკი აღიარებს გადავადებულ სხვაობას როგორც მოგებას ან ზარალს, მხოლოდ მაშინ, როცა მონაცემები გახდება დაკვირვებადი, ან როცა ინსტრუმენტი ჩამოიწერება.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გაქვითვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გაქვითვა და მათი წმინდა თანხით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახვა ხდება მაშინ, როდესაც არსებობს შესაბამისი თანხების გაქვითვის იურიდიული უფლება და მათი წმინდა სახით დაფარვის განზრახვა, ან განზრახვა, მოხდეს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების მყისიერი დაფარვა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან, მოთხოვნებისგან ცენტრალური ბანკების მიმართ, ცენტრალურ ბანკებში სავალდებულო რეზერვების გამოკლებით, და მოთხოვნებისგან საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომელთაც გააჩნიათ გამოშვებიდან ოთხმოცდაათი დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისგან, და შესაძლებელია არსებულ ფულად თანხაში მყისიერად კონვერტაციისთვის.

ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირებულია, როგორც ვალდებულებები, როდესაც საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშვება ვალდებულება წარუდგინოს ფულადი სახსრები ან სხვა ფინანსური აქტივი მფლობელს, ან დააკმაყოფილოს ვალდებულება სხვა სახით, და არა ფულადი სახსრების ან ფინანსური აქტივის გაცვლით, საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების ფიქსირებული რაოდენობის სანაცვლოდ. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს მოთხოვნებს საკრედიტო დაწესებულებებისა და მეანაბრეების წინაშე, მათ შორის, გამოშვებულ თამასუქებს. აღნიშნული ინსტრუმენტები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საფასურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხდება ვალდებულებების ჩამოწერისას, აგრეთვე, ამორტიზაციის პროცესში.

თუ ბანკი შეიძენს საკუთარ ვალს, ის ამოღებული იქნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ თანხას შორის აღიარებული იქნება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სუბორდინირებული ვალი

სუბორდინირებული ვალი წარმოადგენს საერთაშორისო ფინანსურ ბაზარებზე ან ადგილობრივ ბაზრებზე ბანკის მიერ მოზიდულ გრძელვადიან სახსრებს. სუბორდინირებული ვალის მფლობელები ბანკის ლიკვიდაციის შემთხვევაში დაბრუნებული ვალის მისაღებად ექვემდებარებიან ყველა სხვა კრედიტორს. სუბორდინირებული ვალი წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით.

იჯარა

i. ფინანსური – ბანკი, როგორც მეიჯარე

იჯარები, რომელთა შემთხვევაში, იჯარის საგანთან დაკავშირებული ყველა ძირითადი რისკი და სარგებელი გადადის მოიჯარეზე, კლასიფიცირებულია ფინანსურ იჯარებად. იჯარიდან მისაღებ თანხებს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ბანკი აღიარებს იჯარაში წმინდა ინვესტიციის ტოლი თანხით, იჯარის ვადის ათვლის თარიღიდან. მინიმალური საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დასათვლელად გამოყენებული დისკონტირების ფაქტორი არის იჯარაში გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი. საწყისი პირდაპირი ხარჯები გათვალისწინებულია იჯარიდან მისაღები თანხების თავდაპირველი შეფასებისას. მიღებული საიჯარო გადასახადები გადანაწილებულია ფინანსურ შემოსავალსა და საიჯარო მოთხოვნების კლებას შორის. ფინანსური შემოსავალი ეფუძნება პრინციპს, რომელიც ასახავს წმინდა ინვესტიციაზე მუდმივი პერიოდულობის მქონე უკუგების განაკვეთს.

ii. საოპერაციო – ბანკი, როგორც მოიჯარე

იმ აქტივების იჯარა, რომელთა მიმართებაშიც მფლობელობის რისკებიცა და სარგებელიც მოიჯარის ხელშია, კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. საოპერაციო იჯარის საიჯარო თანხები აისახება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადიანობის პერიოდზე და შესულია სხვა ადმინისტრაციულ და საოპერაციო ხარჯებში.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იჯარა (გაგრძელება)

iii. საოპერაციო – ბანკი, როგორც მეიჯარე

საოპერაციო იჯარით გაცემულ აქტივებს ბანკი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახავს აქტივის ბუნების შესაბამისად. საიჯარო შემოსავალი საოპერაციო იჯარიდან აისახება მოგება–ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდში, როგორც სხვა შემოსავალი. მოიჯარისათვის შეთავაზებული სტიმულირების ხარჯები აისახება, როგორც საიჯარო შემოსავლის შემცირება, იჯარის პერიოდში, წრფივი მეთოდით. საწყისი პირდაპირი ხარჯები, რომლებიც გაწეულია კონკრეტულად საოპერაციო იჯარიდან შემოსავლის მისაღებად, ემატება იჯარით აღებული აქტივის საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

საბალანსო ანგარიშგების შედგენის თითოეული თარიღისთვის, ბანკი აფასებს, არის თუ არა ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

ფინანსური აქტივი თუ ფინანსური აქტივების ჯგუფი გაუფასურებულად მიიჩნევა მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს რაიმე ფაქტის (ფაქტების) შედეგად გამოწვეული გაუფასურების ობიექტური საფუძველი, რომელსაც (რომელთაც) ადგილი ჰქონდა აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ (წარმოშობილი “ზარალის ფაქტი”) და ზარალის ფაქტს (ფაქტებს) გავლენა აქვს ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარაუდო სამომავლო ფულად ნაკადებზე, რომელთა სარწმუნოდ განსაზღვრაც შესაძლებელია. გაუფასურების საფუძველზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს, თუ მსესხებელი თუ მსესხებელთა ჯგუფი განიცდის ფინანსურ სირთულეებს, არღვევს პროცენტისა თუ ძირითადი თანხის დაფარვის განრიგს, არსებობს მისი გაკოტრების ალბათობა ან სხვა ფინანსური რეორგანიზაცია და მონაცემები მიუთითებს სამომავლო ფულადი ნაკადების გაზომვად კლებას, როგორიცაა ცვლილებები ეკონომიკურ პირობებში, რაც თავის მხრივ თანხვედრაში მოვა საკონტრაქტო პირობების დარღვევასთან.

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების, კლიენტებზე გაცემული სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების შეფასებისას, ბანკი თავდაპირველად ინდივიდუალურად ადგენს არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისთვის, ან კოლექტიურად – ინდივიდუალურად არამნიშვნელოვნად მიჩნეული ფინანსური აქტივებისათვის. თუ ბანკი დაადგენს, რომ გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს ინდივიდუალურად შეფასებული აქტივისთვის, მიუხედავად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა, ბანკი რთავს აქტივს იმ ფინანსური აქტივების ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ ანალოგიური საკრედიტო რისკები და ამ ფინანსური აქტივების ჯგუფს კოლექტიურად აფასებს. აქტივები, რომელთა შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ხარჯის აღიარება, არ არიან ჩართული აქტივების კოლექტიური შეფასების პროცესში გაუფასურებასთან მიმართებაში.

თუ არსებობს გაუფასურების ხარჯის წარმოშობის ობიექტური საფუძველი, ზარალის თანხა აღირიცხება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის (მოსალოდნელი სამომავლო დანაკარგების გამოკლებით, რომლებიც ჯერ არ დამდგარა). აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით, ხოლო, ზარალის თანხა აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. საპროცენტო შემოსავალი ერიცხება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას აქტივის თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით. სესხები დაკავშირებულ რეზერვთან ერთად ჩამოიწერება მაშინ, როდესაც მათი ამოღება აღარ არის რეალურად მოსალოდნელი და ყველა უზრუნველყოფა რეალიზებულია ან გადაცემულია ბანკისთვის. თუ, მომდევნო წელს, გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების აღიარების შემდგომი მოვლენის გამო, უწინ აღიარებული გაუფასურების ხარჯი იზრდება ან მცირდება გაუფასურების რეზერვის კორექტირებით. თუ მომავალში მოხერხდა ჩამოწერილი თანხის ამოღება, იგი კრედიტდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შესაბამის გაუფასურების ხაზზე უარყოფითი ნიშნით, როგორც გაუფასურების ამობრუნება.

მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. თუ სესხს გააჩნია ცვლადი საპროცენტო განაკვეთი, დისკონტის განაკვეთი გაუფასურების ხარჯის შესაფასებლად წარმოადგენს მიმდინარე ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გამოთვლა ასახავს ფულად ნაკადებს, რომლებიც გამომდინარეობს გამოყენებული უზრუნველყოფიდან, რასაც აკლდება უზრუნველყოფის მიღებასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული ხარჯები, იმისდა მიუხედავად, მოსალოდნელია თუ არა უზრუნველყოფის გამოყენება.

3. მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან (გაგრძელება)

გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია შიდა საკრედიტო რანჟირების სისტემაზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო რისკის მახასიათებლებს, როგორებიცაა, აქტივის ტიპი, სექტორი, გეოგრაფიული მდებარეობა, უზრუნველყოფის ტიპი, ვადაგადაცილების სტატუსი და სხვა შესაბამისი ფაქტორები.

გაუფასურების კუთხით კოლექტიურად შეფასებული ფინანსური აქტივების სამომავლო ფულადი ნაკადები განსაზღვრულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე აქტივების ისტორიული ზარალის შესაბამისად. ისტორიული ზარალი კორექტირდება არსებულ მონაცემებზე დაყრდნობით, რათა ასახულ იქნას მიმდინარე პირობების გავლენა, ხოლო, ის გარემოებები, რომლებიც ამჟამად აღარ არსებობს, არ იყოს გათვალისწინებული. სამომავლო ფულადი ნაკადების სავარაუდო ცვლილებები ასახავს და შეესაბამება ცვლილებებს დაკავშირებულ დაკვირვებად მონაცემებში წლიდან წლამდე (როგორებიცაა, ცვლილებები უმუშევრობის დონეებში, უძრავი ქონების ფასებში, საქონლის ფასებში, გადახდისუნარიანობის სტატუსში, ან სხვა ფაქტორები, რომლებიც მიუთითებენ ჯგუფში დამდგარ ზარალზე ან მათ მოცულობაზე). სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასების მეთოდოლოგია და დაშვებები რეგულარულად გადაიხედება, მოსალოდნელ და რეალურ ზარალს შორის სხვაობის შემცირების მიზნით.

კლიენტებზე გაცემული სესხების ჩამოწერა

ყველა საცალო სესხი, გარდა იპოთეკური სესხებისა, ჩამოიწერება, თუ მათი ვადაგადაცილება 150 დღეზე მეტია. საცალო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება თუ ისინი ვადაგადაცილებულია 365 დღეზე მეტი ხნით. კორპორატიული სესხების 150 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილების შემთხვევაში, გადაწყვეტილებას იღებს ხელმძღვანელობა და შეფასება ხდება თითოეული შემთხვევის მიხედვით, სესხის/მსესხებლის არსებული და მოსალოდნელი მდგომარეობის გათვალისწინებით.

გასაყიდად ფლობილი ფინანსური აქტივები

გასაყიდად ფლობილი ფინანსური ინვესტიციებისთვის, ყოველი ანგარიშგების თარიღისთვის, ბანკი აფასებს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინვესტიცია ან ინვესტიციების ჯგუფი გაუფასურებულია.

იმ შემთხვევაში, თუ წილობრივი ინვესტიცია კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ფლობილი, ობიექტურ მტკიცებულებაში ჩაითვლება ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან გახანგრძლივებული კლება თავის ღირებულებასთან შედარებით. თუკი არის გაუფასურების მტკიცებულება, კუმულატიური დანაკარგი – რომელიც გაზომილია როგორც სხვაობა შეძენის ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგი ამ დანაკარგზე, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში – რეკლასიფიცირებულია სხვა სრული შემოსავლიდან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. გაუფასურებით გამოწვეული ზარალი კაპიტალის ინვესტიციებზე არ არის აღდგენადი მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით; გაუფასურების შემდგომი ზრდა სამართლიან ღირებულებაში აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში.

გასაყიდად ფლობილი სავალო ფასიანი ინსტრუმენტებისთვის, გაუფასურება იზომება იმავე კრიტერიუმებზე დაყრნობით, რომლებსაც იყენებენ ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების შემთხვევაში. თუმცა, გაუფასურებულად აღრიცხული თანხა არის კუმულატიური დანაკარგი, რომელიც იზომება როგორც ამორტიზებულ ღირებულებასა და არსებულ სამართლიან ღირებულებას შორის სხვაობა, გამოკლებული ნებისმიერი გაუფასურების ზარალი ამ ინვეტიციაზე, რომელიც ადრე აღიარებული იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მომავალი საპროცენტო შემოსავალი ეფუძნება შემცირებულ საბალანსო ღირებულებას და დაგროვილია იმ საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რომლითაც დადისკონტირებულია მომავალი ფულადი ნაკადები, გაუფასურების ზარალის შეფასებისას. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. თუ მომდევნო წელს სავალო ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება გაიზრდება და ეს ზრდა შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს მოვლენას, რომელიც წარმოიქმნა მას შემდეგ, რაც გაუფასურების ზარალი აღიარებული იყო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი აღდგება მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

სესხები გადახედვის პირობებით

ხელახლა გადახედილი სესხი არის სესხი, რომელშიც, კლიენტის ფინანსური სირთულეების საპასუხოდ, შეიცვალა პირობები, ან რომლისთვისაც მოთხოვნილი იყო დამატებითი უზრუნველყოფა, და რომელიც არ იყო მითითებული თავდაპირველ კონტრაქტში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

სესხები გადახედვის პირობებით (გაგრძელება)

სესხის საკონტრაქტო პირობები შეიძლება შეიცვალოს რამდენიმე მიზეზით, მათ შორის, შეიცვალოს ბაზრის პირობები, კლიენტთან ურთიერთობა და სხვა ფაქტორები, რომელიც არ უკავშირდება კლიენტის არსებული ან პოტენციური კრედიტუნარიანობის გაუარესებას. როცა სესხის გადახდის საკონტრაქტო გადახდის პირობები იცვლება იმის გამო, რომ ჩვენ მნიშვნელოვანი ეჭვი შეგვაქვს მსესხებლის უნარში, განახორციელოს საკონტრაქტო გადახდები მაშინ, როცა მათი გადახდის დრო დადგება, ეს სესხები კლასიფიცირდება „გადახედილ სესხებად“. ფინანსური სირთულეების ინდიკატორები მოიცავს ისეთ ფაქტორებს, როგორებიცაა კოვენანტების შეუსრულებლობა, სამთვიან პერიოდში ნანახი მნიშვნელოვანი ვადაგადაცილებები 30 დღით ან მეტი ხნით, ან საკრედიტო რისკის დეპარტამენტის მიერ წამოწეული ეჭვები. რესტრუქტურიზაციის შედეგად განსაზღვრული პირობების ტიპიური მთავარი მახასიათებლები, დეფოლტის თავიდან ასაცილებლად, მოიცავს სპეციალურ საპროცენტო განაკვეთებს, პროცენტის ან ამორტიზაციის გადახდების გადადებას, გადახდების განრიგის მოდიფიკაციას ან სესხის დაბრუნების ვადის ცვლილებას. მას შემდეგ, რაც პირობები გადაიხედება, ნებისმიერი გაუფასურება ფასდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, როგორც ის გაანგარიშდებოდა პირობების ცვლილებამდე.

კოლექტიურად სესხის დანაკარგის შეფასების ფარგლებში, საკრედიტო დანაკარგის შეფასების მიზნით, ეს სესხები არ არის გამოყოფილი სხვა სესხებისგან, რომლებიც არ ყოფილა გადახედილი. ხელმძღვანელობა რეგულარულად განიხილავს ყველა სესხს, რათა დარწმუნდეს, რომ სესხის ხელშეკრულების შესაბამისად არსებული ყველა კრიტერიუმი კვლავ სრულდება და რომ მომავალი გადახდებიც სავარაუდოდ განხორციელდება. ის სესხები, რომლებიც ექვემდებარება ინდივიდუალურად გაუფასურების შეფასებას, და რომლის პირობებიც გადახედილია, ექვემდებარება მუდმივ შემოწმებას, რათა დადგინდეს კვლავაც არიან თუ არა ისინი გაუფასურებულნი.

მას შემდეგ, რაც სესხი საცალო საბუღალტრო წიგნებში განსაზღვრულია, როგორც გადახედილი, ის რჩება ამ კატეგორიაში კონტრაქტის ვადიანობის ამოწურვამდე ან ბალანსიდან ჩამოწერამდე, თუ, მანამდე მეანაბრე არ შეძლებს დარღვევის გამოსწორებას, ერთდროულად 6 რეგულარული გადახდის განხორციელებით. კორპორატიული სესხები ინარჩუნებენ გადახედილი სესხის სტატუსს კონტრაქტის ვადიანობის ამოწურვამდე ან ჩამოწერამდე, თუ, მანამდე მსესხებელი მნიშვნელოვნად არ გამოასწორებს კრედიტის მდგომარეობას სესხის დარჩენილ ვადაზე. ნებისმიერი ახალი სესხი, რომელიც წარმოიქმნება ჩამოწერის შემდეგ, ისევ იქნება წარმოდგენილი, როგორც გადახედილი სესხი და გაუფასურებასთან მიმართებით შეფასდება ისე, როგორც ეს ზემოთაა მოცემული.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ადიარების გაუქმება

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივი (ან, ფინანსური აქტივის ნაწილი, ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილი) ჩამოიწერება, როცა:

- ამოწურულია აქტივისგან ფულადი ნაკადების მიღების უფლება; ან
- ბანკმა გადასცა აქტივისგან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე მესამე პირისათვის გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- ბანკის მიერ (ა) გადაცემულ იქნა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, ან (ბ) არც გადაუცია და არც დაუტოვებია არსებითად ყველა რისკი და სარგებელი აქტივზე, მაგრამ, გადასცა კონტროლი აქტივზე.

იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ გადაცემულ იქნა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ მომხდარა რისკებისა და სარგებლის და აქტივზე კონტროლის არც გადაცემა და არც შენარჩუნება, აქტივის აღიარება ხდება ბანკის მიერ მისი შემდგომი გამოყენების ფარგლებში. შემდგომი ჩართულობა აქტივში, რომელსაც გააჩნია გადაცემულ აქტივზე ერთგვარი გარანტიის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და იმ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით, რომლის გადახდაც შესაძლოა დასჭირდეს ბანკს.

როდესაც აქტივში შემდგომი ჩართულობა მიიღებს გადაცემულ აქტივზე წერილობითი და/ან შეძენილი ოფციონის ფორმას (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით), ბანკის ჩართულობის დონე წარმოადგენს იმ გადაცემული აქტივის თანხას, რომელიც შესაძლებელია ბანკმა გამოისყიდოს. თუმცა, იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს წერილობითი მიწოდების ოფციონი (ფულადი ოფციონების ან მსგავსი საკონტრაქტო პირობების სახით) სამართლიანი ღირებულებით ასახულ აქტივზე, ბანკის ჩართულობის დონე შემოიფარგლება გადაცემული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და ოფციონის სააღსრულებო ფასს შორის უმცირესით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების აღიარების გაუქმება (გაგრძელება)

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებების ჩამოწერა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებით ნაკისრი მოვალეობები შესრულდება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ცვლის ამავე კრედიტორის მიმართ სხვა ვალდებულება, მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან, თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია გულისხმობს საწყისი ვალდებულების ჩამოწერას და ახალი ვალდებულების ასახვას, ხოლო, შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური გარანტიები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს, აკრედიტივებისა და გარანტიების სახით. ფინანსური გარანტიები განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველად აღირიცხებიან სამართლიანი ღირებულებით, „სხვა ვალდებულებებში“, როგორც მიღებული პრემია. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ბანკის ვალდებულებები ყოველი გარანტიისთვის იზომება ამორტიზებულ პრემიასა და იმ ხარჯების ყველაზე სავარაუდო თანხას შორის უმეტესით, რომლებიც საჭირო იქნება გარანტიიდან წარმოშობილი ნებისმიერი ფინანსური ვალდებულების დასაფარად.

ფინანსურ გარანტიებთან დაკავშირებულ ვალდებულებაში ნებისმიერი ზრდა ტარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მიღებული პრემია აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში სწორხაზოვანი მეთოდის საფუძველზე, გარანტიის ვადიანობის მანძილზე.

სასაქონლო მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

თითოეული პროდუქტის მოცემულ ადგილზე და პირობებში მიტანისათვის გაწეული ხარჯები გამოითვლება შემდეგნაირად:

- ნედლი მასალა: შესყიდვის FIFO მეთოდი
- მზა საქონელი და მიმდინარე სამუშაო: ძირითადი მასალებისა და სამუშაოს ხარჯი და საწარმოო ზედნადები ხარჯების ნაწილი, ჩვეულებრივი სამუშაო მწარმოებლუნარიანობის საფუძველზე, მაგრამ, სასესხო ხარჯების გამოკლებით.

წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის გასაყიდი ფასი, საქმიანობის ჩვეულებრივ რეჟიმში, მინუს დასრულების სავარაუდო ხარჯები და გაყიდვის განხორციელებისთვის საჭირო სავარაუდო ხარჯები.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის დაანგარიშება ხდება საქართველოს რეგულაციების შესაბამისად. ის წარმოადგენს მიმდინარე და გადავადებული საგადასახადო ხარჯების ჯამს.

გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება ხდება დროებით სხვაობებთან მიმართებაში, ვალდებულებათა მეთოდის გამოყენებით. გადავადებული მოგების გადასახადები გამოიანგარიშება ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას (ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის) შორის სხვაობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის თავდაპირველი აღიარებიდან, ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ ოპერაციაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგება-ზარალზე. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები გამოიანგარიშება დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებზე შვილობილ კომპანიებში, ინვესტიციებზე მეკავშირე კომპანიებში და საერთო საწარმოებზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა დროებითი სხვაობების ამობრუნების დრო შეიძლება გაკონტროლდეს და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა უახლოეს მომავალში არ ამობრუნდება.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები (გაგრძელება)

გადავადებული საგადასახადო აქტივი აისახება იმ პირობით, თუ არსებობს ალბათობა დასაბეგრი მოგებისა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დროებითი გამოქვითვადი სხვაობების დაფარვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის პერიოდში, იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც დადგენილია ანგარიშგების დღეს.

საქართველოში ასევე მოქმედებს მთელი რიგი გადასახადები, რომლებიც ბანკის საქმიანობასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული გადასახადები წარმოდგენილია, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილი.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის მიწა ან შენობა, ან საიჯარო შემოსავლის მისაღებად არსებული შენობის ნაწილი ან კაპიტალის აფასებასთან დაკავშირებული ქონება, რომელიც არ გამოიყენება ბანკის მიერ ან საქმიანობის ჩვეულ რეჟიმში გასაყიდად გამიზნული არ არის. ქონება, რომელიც შენდება მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად, ასევე კლასიფიცირებულია, როგორც საინვესტიციო ქონება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ტრანზაქციის ხარჯების ჩათვლით, და შემდეგში ხელახლა ფასდება სამართლიანი ღირებულებით და ასახავს საანგარიშო პერიოდის ბოლოს საბაზრო პირობებს. ბანკის საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება სხვადასხვა წყაროების საფუძველზე, მათ შორის, იმ დამოუკიდებელ შემფასებელთა ანგარიშების საფუძველზე, რომლებსაც აქვთ შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და რომლებსაც აქვთ მსგავსი მდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება.

საინვესტიციო ქონება, რომელიც გადაკეთდა მუდმივი გამოყენებისთვის როგორც საინვესტიციო ქონება ან რომლისთვისაც ბაზარი ნაკლებად აქტიური გახდა, გააგრძელებს სამართლიანი ღირებულებით აღრიცხვას. მიღებული საიჯარო შემოსავალი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აღირიცხება უძრავი ქონებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალში. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებებიდან მიღებული მოგება და ზარალი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში და წარმოდგენილია, როგორც საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან მიღებული წმინდა მოგება ან ზარალი.

შემდგომი ხარჯები კაპიტალიზირდება მხოლოდ მაშინ, როცა აშკარაა, რომ მასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი გადაედინება ბანკში და ხარჯის საფუძვლიანად შეფასება შესაძლებელია. ყველა სხვა რემონტისა და ტექმომსახურების ხარჯი აღიარდება მათი წარმოქმნისთანავე. თუ საინვესტიციო ქონებას იკავებს მფლობელი, ის რეკლასიფიცირდება ძირითად საშუალებებში და მისი საბალანსო ღირებულება რეკლასიფიკაციის თარიღისთვის იქცევა მის პირობით ღირებულებად, რომელიც შემდგომში გაიცვითება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების მოცულობა. ამგვარი თანხა მოიცავს ძირითადი საშუალებების ჩანაცვლების ღირებულებას, ასეთი ხარჯის წარმოშობისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გაუფასურებასთან მიმართებაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს.

აქტივების ცვეთა ირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, სასარგებლო გამოყენების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წლები
საოფისე შენობები და მომსახურების ცენტრები	100-მდე
ავეჯი და საოფისე ტექნიკა	10
კომპიუტერები და მოწყობილობა	5-10
ავტომობილები	5

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო გამოყენების ვადისა და მეთოდების გადახედვა, და შესაბამისად კორექტირება, საჭიროებისამებრ, ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

მშენებარე აქტივები წარმოდგენილია თვითღირებულებით და არ გაიცვითება იმ დრომდე, სანამ ხელმისაწვდომია გამოყენებისთვის და რეკლასიფიცირებულია ძირითადი საშუალებების შესაბამის ჯგუფში.

საიჯარო გაუმჯობესებების ამორტიზაცია ხდება შესაბამისი საიჯარო აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის შესაბამისად ან მოსალოდნელი საიჯარო ვადის მიხედვით, თუ უფრო მოკლევადიანია.

შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება მათი წარმოშობისთანავე და წარმოდგენილია სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

არამატერიალური აქტივები

ბანკის არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივის შეფასება თავდაპირველი აღიარებისას ხდება თვითღირებულებით. შვილობილ კომპანიებთან შერწყმისას წარმოშობილი არამატერიალური აქტივების ღირებულება წარმოადგენს შესყიდვის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებას. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ამორტიზაცია და აკუმულირებული გაუფასურების ხარჯი. არამატერიალური აქტივების ეკონომიკური სარგებლიანობის ვადა შეფასებულია საზღვრულად და ამორტიზირდება 4-10 წლის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება ყოველთვის, როცა გაუფასურების ნიშნები შეინიშნება. არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

პროგრამული უზრუნველყოფის შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება ხარჯებში წარმოშობის თარიღისთანავე. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯები (რომლებიც დაკავშირებულია ახალი ან მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული უზრუნველყოფის დიზაინსა და ტესტირებასთან) აღიარდება, როგორც არამატერიალური აქტივები მხოლოდ მაშინ, როდესაც ბანკს გააჩნია ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის უნარი და განზრახვა, რომ შესაძლებელი იყოს აქტივის გამოყენება თუ გაყიდვა, რომ აქტივს შეეძლოს სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოტანა, რომ ხელმისაწვდომია ამ პროცესის დასრულებისთვის საჭირო რესურსები, და რომ შესაძლებელია პროგრამის შექმნის ხარჯების სარწმუნოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნასთან დაკავშირებული სხვა სახის დანახარჯების აღრიცხვა ხდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე.

რეზერვები

რეზერვების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკს გააჩნია წარსული მოვლენიდან გამომდინარე მიმდინარე თუ მოსალოდნელი სამართლებრივი ვალდებულება და სავარაუდოა ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად, ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სარწმუნოდ განსაზღვრა.

ბალანსგარეშე ვალდებულებებზე წარმოქმნილი დანაკარგების რისკის რეზერვები ფასდება რეგულარულად ამ ვალდებულებებზე წარსურში წარმოქმნილი ფაქტობრივი დანაკარგების საფუძველზე.

საპენსიო და სხვა ვალდებულებები თანამშრომელთა წინაშე

ბანკი უზრუნველყოფს ხელმძღვანელობისა და თანამშრომლებისთვის საპენსიო უზრუნველყოფის პროგრამას. ბანკის განსაზღვრული შენატანის მქონე საპენსიო პროგრამა მოიცავს ყველა სრულ განაკვეთზე მყოფ თანამშრომლებს. ბანკი იღებს შენატანებს თავის სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომლების ხელფასის 2%-ის ოდენობით, რომლის 1% იქვითება ხელფასებიდან და მეორე 1% - დამატებით გადაიხდება ბანკის მიერ. როდესაც თანამშრომელი მიაღწევს საპენსიო ასაკს, ხდება დაგროვილი შენატანების თანამშრომლისთვის გადახდა მასთანვე შეთანხმებული განრიგის შესაბამისად. დაგროვილი შენატანები გადანაწილებულია თანამშრომლის მიერ დაგროვილი თანხის მიღების პერიოდზე. შესაბამისი საპენსიო სარგებლის ვალდებულებები აღრიცხულია სხვა ვალდებულებებში, მე-15 შენიშვნაში.

წილობრივი გადახდების ტრანზაქციები

ბანკის თანამშრომლები (ზედა რგოლის ხელმძღვანელების ჩათვლით) იღებენ წილობრივ გადახდებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, როდესაც თანამშრომლები ეწევიან მომსახურებას წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ (“წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდების ტრანზაქციები”).

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

წილობრივი გადახდების ტრანზაქციები (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ტრანზაქციები

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების ფასი აღრიცხულია სამართლიანი ღირებულებით იმ თარიღით, როდესაც მოხდა მათი გადაცემა.

წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული ტრანზაქციების ღირებულება აღრიცხულია შესაბამისი კაპიტალის ზრდასთან ერთად, იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოხდა მომსახურების გაწევა / ვალდებულებების შესრულება. ეს პერიოდი სრულდება მაშინ, როდესაც შესაბამისი თანამშრომელი მთლიანად უფლებამოსილია მიიღოს პრემია ("ძალაში შესვლის თარიღი"). ძალაში შესვლის თარიღამდე, ყოველი საანგარიშო თარიღისათვის აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით წარმოებული ტრანზაქციების კუმულატიური ხარჯი ასახავს ინსტრუმენტის ძალაში შესვლის თარიღამდე გასულ პერიოდს და იმ წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის შეფასებასთან მიმართებაში ბანკის საუკეთესო ვარაუდს, რომელთა ძალაში შესვლაც მოსალოდნელია. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ასახული ხარჯი თუ შემოსავალი წარმოადგენს კუმულატიურ ხარჯში ცვლილებას პერიოდის დასაწყისიდან ბოლომდე.

ხარჯი არ აღიარდება იმ გადაცემებისთვის, რომლებიც საბოლოოდ ძალაში არ შედის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ძალაში შესვლა დამოკიდებულია საბაზრო პირობებზე (BGEO-ს აქციების ფასთან მიბმული პირობა), მიუხედავად იმისა, დაკმაყოფილებულია თუ არა საბაზრო პირობები, თუმცა, ყველა დანარჩენი პირობა შესრულებულია.

როდესაც წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის გარიგებების პირობები იცვლება, მინიმალური ხარჯის აღიარება ხდება იმ სახით, თითქოს არ მომხდარიყოს პირობების ცვლილება. დამატებითი ხარჯის აღიარება ხდება ნებისმიერი კორექტირებისათვის, რომელიც ზრდის აქციებით წარმოებულ გადახდების მთლიან სამართლიან ღირებულებას ან სხვაგვარად წარმოადგენს თანამშრომლისთვის სარგებელს, მოდიფიკაციის თარიღისთვის.

როდესაც ხდება წილობრივი ინსტრუმენტებით გადახდის ტრანზაქციების გაუქმება, ის ძალაში შესულად მიიჩნევა გაუქმების თარიღისთვის, ხოლო, გარიგების შესაბამისი ნებისმიერი ხარჯი, რომლის აღიარებაც ჯერ არ მომხდარა, მყისიერად აღიარდება. თუმცა, თუ გაუქმებულ გარიგებას ჩაანაცვლებს ახალი გარიგება, რომელიც გადაცემის თარიღისათვის განისაზღვრება, როგორც ჩანაცვლების გარიგება, ძველი და ახალი გარიგებები მოიაზრება თავდაპირველი გარიგების მოდიფიკაციებად, როგორც ეს აღწერილია წინა აბზაცში.

კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. გარე ხარჯები, რომლებიც პირდაპირაა დაკავშირებული ახალი აქციების გამოშვებასთან, შვილობილ კომპანიებთან შერწყმისას გამოშვებული აქციების გარდა, აღირიცხება როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. ნებისმიერი ნამეტი გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე, მიღებული საფასურის სამართლიან ღირებულებასთან მიმართებაში, აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

სახაზინო აქციები

როდესაც ბანკი შეიძენს ბანკის აქციებს, გადახდილი საფასური, დაკავშირებულ საოპერაციო ხარჯებთან ერთად, მოგების გადასახადის გამოკლებით, გამოიქვითება მთლიანი კაპიტალიდან, როგორც გამოსყიდული აქციები, მათ გაუქმებამდე ან ხელახლა გამოშვებამდე. როდესაც შემდგომში ხდება ასეთი აქციების გაყიდვა ან ხელახლა გამოშვება, მიღებული საფასური აღიარდება კაპიტალში. გამოსყიდული აქციები ასახულია ნომინალური ღირებულებით, დამატებით შეტანილ კაპიტალთან მიმართებაში პრემიების კორექტირებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ განცალკევებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

პირობითი ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებების აღიარება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ ხდება, თუ არ არსებობს ვალდებულებების დასაფარი რესურსების გადინების საფუძველი, რომელიც შეიძლება სარწმუნოდ შეფასდეს. პირობითი აქტივების აღიარება არ ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა, ხდება მათი გაცხადება, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სარწმუნოდ შეფასება. შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები უნდა დაკმაყოფილდეს, ვიდრე მოხდება შემოსავლისა და ხარჯის აღიარება:

პროცენტი და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისათვის და სავაჭროდ გამიზნული ან გასაყიდად ფლობილი საპროცენტო სარგებლის მქონე ფასიანი ქაღალდებისათვის, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, რომელი განაკვეთითაც ხდება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი დაფარვებისა თუ შემოსავლების დადისკონტირება, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი გამოყენების ვადის თუ უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე (თუ ასე უფრო მიზანშეწონილია), ფინანსური აქტივის თუ ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა საკონტრაქტო პირობას (მაგალითად, წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საკომისიო თანხას ან ზღვრულ ხარჯს, რომელიც პირდაპირ განეკუთვნება ინსტრუმენტს და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება, თუ ბანკი განაახლებს თავის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო შემოსავალი თუ ხარჯი.

როდესაც ფინანსური აქტივის თუ მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის ღირებულება მცირდება გაუფასურების ზარალის გამო, საპროცენტო შემოსავლის აღიარება გრძელდება თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით ახალ საბალანსო ღირებულებაზე.

შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

ბანკი იღებს შემოსავალს გასამრჯელოდან და საკომისიოდან, მომხმარებელთათვის გაწეული სხვადასხვა მომსახურებიდან, რაც შესაძლოა დაიყოს შემდეგ ორ კატეგორიად:

გარკვეულ დროის პერიოდში გაწეული მომსახურებების გასამრჯელოდან შემოსავალი

გარკვეულ დროის პერიოდში გაწეული მომსახურებების გასამრჯელოდან შემოსავალი დაირიცხება აღნიშნული პერიოდის განმავლობაში. ეს გასამრჯელოები მოიცავს საკომისიოდან შემოსავალსა და აქტივის მართვიდან და საკონსულტაციო მომსახურებებიდან შემოსავლებს. იმ სესხებთან მიმართებაში, რომლებზეც მოსალოდნელია მოცულობის შემცირება, სასესხო ვალდებულების საკომისიოები და სხვა კრედიტთან დაკავშირებული გასამრჯელოები გადავადდება (ნებისმიერ ნამეტ ხარჯთან ერთად) და აღიარებდება, როგორც სესხზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება.

შემოსავალი საოპერაციო მომსახურებიდან მიღებული გასამრჯელოდან

მესამე მხარეთა ოპერაციებთან (როგორებიცაა, აქციების თუ სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენა, თუ საწარმოს შესყიდვა ან გაყიდვა) დაკავშირებული მოლაპარაკებებიდან ან მოლაპარაკებებში მონაწილეობიდან მიღებული თანხები აღრიცხულია გარიგების დასრულებისას. გასამრჯელო ან მისი კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ შესრულებასთან, აღიარებულია შესაბამისი კრიტერიუმების შესრულების შემდეგ.

შემოსავალი დივიდენდებიდან

შემოსავლის აღიარება ხდება ბანკის მიერ თანხის მიღების უფლების წარმოშობისას.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

არაგანმეორებადი მუხლები

იმ შემოსავალსა და ხარჯებს, რომლებიც თავისი ბუნებიდან გამომდინარე არ არის განმეორებადი, ბანკი ცალკე აკლასიფიცირებს და წარადგენს. ბანკი არაგანმეორებად შემოსავლად და ხარჯად განსაზღვრავს ისეთ შემოსავალს ან ხარჯებს, რომელიც გამოიწვია ბანკის რეგულარული და ჩვეულებრივი საქმიანობისთვის არადამახასიათებელმა ეკონომიკურმა ან ფინანსურმა მოვლენამ და გამოწვეულია გაურკვეველი ან გაუთვალისწინებელი გარეშე ფაქტორებისგან, რომელთა წარმოქმნა გონივრულად არ იქნებოდა მოსალოდნელი მომავალში, და ამიტომ ისინი არ უნდა იყოს გათვალისწინებული სამომავლო შედეგების საპროგნოზო გათვლების მომზადების დროს.

სამუშაო და საანგარიშგებო ვალუტები და უცხოური ვალუტის კონვერტაცია

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ბანკის საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს. ბანკის ფუნქციონალური ვალუტაა ლარი. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები თავდაპირველად აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება სებ-ის მიერ ანგარიშგების თარიღისთვის დადგენილი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი – საკურსო სხვაობა. არაფულად მუხლებზე, რომლებიც იზომება ისტორიული ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტაცია ხდება გაცვლითი კურსით, რომელიც არსებობდა თავდაპირველი ოპერაციის დღეს. არაფულადი მუხლები, რომლებიც იზომება სამართლიანი ღირებულებით უცხოურ ვალუტაში, კონვერტირდება იმ დღის გაცვლითი კურსით, როცა მოხდა სამართლიანი ღირებულების დადგენა. როცა არაფულადი პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი კონვერტაციის შესაბამისი კომპონენტი აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში. და პირიქით, როცა არაფულადი პუნქტის მოგება ან ზარალი აღიარებულია მოგებასა ან ზარალში, აღნიშნული მოგების ან ზარალის ნებისმიერი კონვერტაციის შესაბამისი კომპონენტი აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის საკონტრაქტო გაცვლით კურსსა და სებ-ის მიერ ოპერაციის დღეს დადგენილ გაცვლით კურსს შორის სხვაობები ჩართულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან მიღებულ მოგებას გამოკლებული ზარალის მუხლში (უცხოური ვალუტით ვაჭრობა). სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, იყო:

	ლარი სტერლინგთან	*ლარი აშშ დოლართან*	*ლარი ევროსთან*	*ლარი ბელორუსიულ რუბლთან*
31 დეკემბერი 2017	3.5005	2.5922	3.1044	1.3083
31 დეკემბერი 2016	3.2579	2.6468	2.794	1.3532
1 იანვარი 2016	3.5492	2.3949	2.6169	1.2904

გამოყენებული გამონაკლისები

ვალუტის კონვერტაციის რეზერვი, რომელიც დაფიქსირდა 2015 წლის 1 იანვარს ფუნქციონალური ვალუტის ცვლილებით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მიჩნეულია ნულის ტოლად.

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები

განცალკევებული ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცების თარიღამდე, გამოქვეყნდა გარკვეული ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და არსებული სტანდარტების მიმართ ცვლილებები, რომლებიც მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში, და რომლებიც ბანკს ჯერ არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენს ბანკზე, ან რომელთა გავლენა ამჟამად ფასდება, შემდეგია:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები

შესავალი

2014 წლის ივლისში, ბასსს-მა გამოსცა ფასს 9 “ფინანსური ინსტრუმენტების” საბოლოო ვარიანტი, 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ მომზადებული წლიური პერიოდებისთვის, რომლის ვადაზე ადრე გამოყენებაც დასაშვებია, და რომელმაც შეცვალა ბას 39 “ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება” და ფასს 9-ის ყველა წინა ვერსია. 2016 წელს, ბანკმა შექმნა მრავალდისციპლინური განხორციელების ჯგუფი, რომელშიც შედიან რისკის, ფინანსების და ოპერაციების ჯგუფების წევრები, და დაიქირავა გარე კონსულტანტი საიმისოდ, რომ დაიწყოს ფასს 9-ის დანერგვა. პროექტს მხარდაჭერას უწევდნენ დირექტორები რისკისა და ფინანსების მიმართულებით, რომლებიც რეგულარულად აწვდიდნენ განახლებულ ინფორმაციას ბანკის დირექტორთა საბჭოს. დანერგვის პროცესი შედგებოდა ექვსი ძირითადი ეტაპისგან: თავდაპირველი შეფასება და ანალიზი, დაპროექტება, ჩაშენება, შემოწმება, პარალელური მიმდინარეობა და ამოქმედება. ამჟამად, ბანკმა დაასრულა ფასს 9-ის დანერგვის პროგრამა, მათ შორის, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასათვლელი ახალი მოდელის შექმნაც და ბანკში ფასს 9-ის სააღრიცხვო პოლიტიკის დამტკიცება.

ბანკი მიიღებს ახალ სტანდარტს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან, ხოლო, მიღების შედეგად შეფასებულ ეფექტს აღიარებს საწყის ნაშთებში 2018 წლის 1 იანვრისთვის და არ გადაითვლის თავიდან შესადარის ინფორმაციას, რაც დაშვებულია კიდეც ფასს 9-ის მიხედვით. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბანკმა შეაფასა, რომ ფასს 9-ის მიღება გამოიწვევს 2018 წლის 1 იანვრისთვის აქციონერების კაპიტალის დაახლოებით 28,505 ლარით კლებას (გადასახადებამდე). ფასს 9 სავარაუდოდ გავლენას ვერ მოახდენს საზედამხედველო კაპიტალსა და კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე (საქართველოში საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ და გამოიყენება ბანკის მიმართ განცალკევებულად).

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

კლასიფიკაციისა და შეფასების კუთხით, ახალი სტანდარტი მოითხოვს, რომ ყველა ფინანსური აქტივი, გარდა წილობრივი ინსტრუმენტებისა და წარმოებულებისა, შეფასდეს საწარმოს ბიზნეს მოდელის კომბინაციის საფუძველზე, რომელიც მიემართება აქტივებისა და ინსტრუმენტების საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მახასიათებლების მართვას. ბასს 39-ის შეფასების კატეგორიები ჩანაცვლდება შემდეგნაირად: სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალის გავლით, სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის გავლით, სავალო ინსტრუმენტების გასხვისებისას მოგება-ზარალში გადატანით, სამართლიანი ღირებულება სხვა სრული შემოსავლის გავლით, წილობრივი ინსტრუმენტების გასხვისებისას მოგება-ზარალში არ გადატანით, და ამორტიზებული ღირებულება. ფასს 9 ასევე საშუალებას აძლევს კომპანიებს შეუქცევადად შეაფასონ გარკვეული ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, მაშინაც, როცა ეს ინსტრუმენტები აკმაყოფილებენ ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით შეფასების კრიტერიუმებს, თუ ამის გაკეთება აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების შეუსაბამობას. წილობრივი ინსტრუმენტები, რომლებიც არ არის გამიზნული ვაჭრობისთვის, შეიძლება შეუქცევადად შეფასდეს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით, შემდგომში მოგება-ზარალის ანაგარიშგებაში მოგებისა თუ ზარალის რეკლასიფიკაციის გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების აღრიცხვის წესი ძირითადად იქნება ისეთივე, როგორიც იყო ბასს 39-ის მოთხოვნებში, გარდა იმ მოგებისა ან ზარალისა, რომელიც წარმოიქმნა მოგება-ზარალის გავლით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულებების მიმართ კომპანიის საკრედიტო რისკის ფარგლებში. ასეთი ცვლილებები წარმოდგენილი იქნება სხვა სრულ შემოსავალში, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემდგომი რეკლასიფიკაციის გარეშე, მანამ, სანამ სააღრიცხო შეუსაბამობა არ წარმოიქმნება მოგებასა ან ზარალში.

ბანკი აპირებს გააგრძელოს ამჟამად სამართლიანი ღირებულებით ფლობილი ყველა ფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულებით შეფასება. ინვესტიციები გასაყიდად ფლობილ სავალო ფასიან ქაღალდებსა და აქციებში, რომლებზეც მოგება-ზარალი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში, კვლავაც შეფასდება სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით. სესხების დიდი უმრავლესობა სავარაუდოდ დააკმაყოფილებს “მხოლოდ ძირისა და პროცენტის გადახდების” კრიტერიუმებს და კვლავაც შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9 მოითხოვს, რომ ბანკმა აღრიცხოს რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, თავისი ქველა სავალო ფინანსურ აქტივზე, იქნება ის შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით თუ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის გავლით, და ასევე, სასესხო ვალდებულებებსა და ფინანსურ გარანტიებზე. ეს რეზერვი ეფუძნება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებულ მოსალოდნელ ზარალს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როცა შეინიშნება მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში, აქტივის შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ ზარალს აქტივის მთელი ვადიანობის პერიოდში. თუ ფინანსური აქტივი აკმაყოფილებს საკრედიტო რეიტინგ გაუფასურებულად შეძენილი ან წარმოქმნილი აქტივის განსაზღვრებას, რეზერვი ეფუძნება მოსალოდნელ ზარალს აქტივის მთელი ვადიანობის პერიოდში. ბანკმა განსაზღვრა, რომ გაუფასურების რეზერვი გაიზრდება 28,187 ლარით.

ჯამში, ფასს 9-ის მიღების ეფექტი, გადასახადებამდე, მოსალოდნელია, რომ იქნება:

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეფექტი გადასახადებამდე (ზრდა/(კლება)) - კაპიტალზე:

	კორექტირება	თანხა
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	(ბ)	(67)
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(ბ)	(514)
კლიენტებზე გაცემული სესხები და მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	(ბ)	(27,606)
სხვა აქტივები	(ბ)	2
სულ აქტივები		**(28,185)**
ვალდებულებები		
სხვა ვალდებულებები - რეზერვები	(ბ)	320
სულ ვალდებულებები		**320**
სულ კაპიტალი		**(28,505)**

ფასს 2 “წილობრივი გადახდის ოპერაციების კლასიფიკაცია და შეფასება” – ფასს 2-ის შესწორებები

ბასსს-მა გამოსცა ფასს 2 “*წილობრივი გადახდის*” შესწორებები, რომლებიც ეხება სამ ძირითად სფეროს: ძალაში შესვლის პირობების გავლენა ფულადი ანგარიშსწორების პირობით შესრულებული ოპერაციის შეფასებაზე; წილობრივი გადახდის ოპერაციის კლასიფიკაცია, რომელსაც აქვს წმინდა ანგარიშსწორების მახასიათებლები არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადის ვალდებულებებთან მიმართებაში; და აღრიცხვიანობა იქ, სადაც ცვლილებები გადახდის ოპერაციის პირობებში იწვევს კლასიფიკაცის ჩანაცვლებას ფულადი ანგარიშსწორების პირობით შესრულებული ოპერაციიდან წილობრივი გადახდის პირობით შესრულებულ ოპერაციაზე. მიღების შემდეგ, კომპანიებმა ცვლილებები უნდა განახორციელონ წინა პერიოდების ხელახლა გადათვლის გარეშე, მაგრამ, რეტროსპექტული გამოყენება ნებადართულია, თუ მას გამოიყენებენ სამივე ცვლილებისთვის და სხვა კრიტერიუმები შესრულდება. ეს ცვლილებები ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს და შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, და ვადაზე ადრე მიღებაც ნებადართულია. ბანკი ამჟამად აკეთებს გავლენის შეფასებას.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

ფასს 15 კლიენტებთან კონტრაქტებიდან შემოსავალი

2014 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 15 “შემოსავალი კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან”, რომელიც ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან, და რომლისთვისაც ნებადართულია დროზე ადრე მიღებაც. ფასს 15 განსაზღვრავს შემოსავლის აღიარების პრინციპებს და დაფარავს კლიენტებთან დადებულ ყველა კონტრაქტს. თუმცა, ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი პროცენტი და საკომისიო შემოსავლები და იჯარები კვლავაც გასცდება ფასს 15-ის ფარგლებს და რეგულირებადი იქნება სხვა მოქმედი სტანდარტებით. ფასს 15–ის ფარგლებში, შემოსავალი აღიარებულია იმ თანხით, რა მოცულობის ამოღებასაც კომპანია ვარაუდობს, შესაბამისი საქონლის ან მომსახურებების კლიენტისათვის გადაცემის სანაცვლოდ. ეს სტანდარტი ასევე განსაზღვრავს მთელ რიგ განმარტებით შენიშვნებს, რომლებიც წარსადგენია შემოსავლებისა და შესაბამისი ფულადი ნაკადების ბუნებასთან, მოცულობასა და დროსთან, ასევე, ნებისმიერ გაურკვევლობასთან დაკავშირებით. შემოსავლების ახალი სტანდარტი ჩაანაცვლებს ყველა ამჟამინდელ ფასს-ის მოთხოვნას. ფასს 15 შეიძლება მიღებული იქნას სრულად რესტროსპექტიული ან შეცვლილი რეტროსპექტიული მიდგომის გამოყენებით. ბანკი გამოიყენებს შეცვლილ რეტროსპექტიულ მიდგომას. განსახორციელებელი დანერგვის ეფექტი მოსალოდნელია, რომ დაახლოებით 15,759 ლარით შეამცირებს აქციონერების კაპიტალს, და შესაბამისად გაზრდის ანარიცხებსა და გადავადებულ შემოსავალს და შეამცირებს გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებებს. ბანკის საშემოსავლო ნაკადები, რომლებიც დაზარალდება ფასს 15-ზე გადასვლით, ძირითადად იქნება: გასამრჯელოები და საკომისიოები საკრედიტო ბარათით განხორციელებული ტრანზაქციებიდან, და გასამრჯელოები და საკომისიოები გარკვეული ტრანზაციებიდან, რომლებიც ეხება ლოიალობის პროგრამებს. შემოსავლის ნაკადთან დაკავშირებით, შემოსავლის ნაწილი გადავადდება ფასს 15-ის მოთხოვნების შესაბამისად, სანამ არ შესრულდება შესაბამისი ვალდებულებები, რომლებიც მოსალოდნელია გაცემული საკრედიტო ბარათების სავარაუდო ვადიანობის ფარგლებში და ლოიალობის პროგრამების ფარგლებში გამომუშავებული ბონუს ქულების განაღდებისა თუ ვადის გასვლის პერიოდის განმავლობაში.

ფასს 16 იჯარები

ფასს 16 გამოშვებული იქნა 2016 წლის იანვარში და მან ჩაანაცვლა: ბასს 17 “იჯარები”, ფასიკ 4 “განსაზღვრა იმისა, შეიცავს თუ არა გარიგება იჯარას”, სიკ-15 “საოპერაციო იჯარები-სტიმულირებები” და სიკ-27 “იმ ოპერაციის არსის შეფასება, რომელიც მოიცავს იჯარას, სამართლებრივი ფორმით”. ფასს 16-ში განსაზღვრულია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციის და იჯარების შესახებ ინფორმაციის წარდგენის პრინციპები, და ასევე, მოიჯარეებისგან მოითხოვს, რომ ყველა იჯარა აღრიცხონ ერთიანი საბალანსო მოდელის გამოყენებით, ისე, როგორც ფინანსური იჯარები აღირიცხებოდა ბასს 17-ის ფარგლებში. ეს სტანდარტი მოიცავს ორ სააღრიცხვო გამონაკლისს მოიჯარეებთან მიმართებაში - „დაბალი ღირებულების” აქტივების იჯარები და მოკლევადიანი იჯარები (ე.ი. იჯარები 12 თვით ან ნაკლები ვადით). იჯარის დაწყების თარიღზე, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადახდებისთვის (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს უფლებას გამოიყენოს აქტივი იჯარის ვადის ფარგლებში (ე.ი. აქტივის გამოყენების უფლება). მოიჯარეები ვალდებულნი იქნებიან ცალ-ცალკე აღიარონ საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებაზე და ცვეთის ხარჯი აქტივის გამოყენების უფლებაზე.

მოიჯარეები ასევე ვალდებული იქნებიან ხელახლა შეაფასონ იჯარის ვალდებულება, გარკვეული მოვლენების წარმოქმნის შემდეგ (მაგ. ცვლილება იჯარის ვადაში, ცვლილება მომავალ საიჯარო გადახდებში, რომელიც გამოწვეულია ინდექსში და ამ გადახდების განსაზღვრაში გამოყენებულ განაკვეთში ცვლილებით). იჯარის ვალდებულების ხელახლა შეფასების შესაბამის თანხას მოიჯარე ზოგადად აღიარებს როგორც აქტივის გამოყენების უფლების მქონე აქტივის კორექტირებას.

ფასს 16-ის შესაბამისად, მეიჯარის საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის შესაბამისად განხორციელებული დღევანდელი საბუღალტრო აღრიცხვისგან. მეიჯარეები გააგრძელებენ ყველა იჯარის კლასიფიკაციას იმავე კლასიფიკაციის პრინციპის გამოყენებით, რომელსაც იყენებს ბასს 17 და განასხვავებენ იჯარის ტიპებს: საოპერაციო და ფინანსური იჯარები.

ფასს 16 ასევე მოითხოვს მოიჯარეებისგან და მეიჯარეებისგან, უფრო ვრცლად წარმოადგინონ ინფორმაცია, ვიდრე ეს ხდებოდა ბასს 17-ის ფარგლებში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. უფრო ადრე მიღებაც ნებადართულია, მაგრამ, არა მანამ, სანამ კომპანია არ მიიღებს ფასს 15-საც. მოიჯარეს შეუძლია არჩიოს სტანდარტის დანერგვა სრული რეტროსპექტიული ან შეცვლილი რეტროსპექტიული მეთოდის გამოყენებით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები უშვებს გარკვეულ შეღავათებს. 2018 წელს, კომპანია გააგრძელებს თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე ფასს 16-ის მოსალოდნელი გავლენის შეფასებას.

3. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

საინვესტიციო ქონების გადაცემა - ბასს 40-ის შესწორებები

ეს შესწორებები აზუსტებს, თუ როდის უნდა განახორციელოს კომპანიამ ქონების, მათ შორის, მშენებლობის ან განვითარების პროცესში მყოფი ქონების, გადატანა ან გადმოტანა საინვესტიციო ქონებაში/ქონებიდან. ეს შესწორებები ამბობს, რომ გამოყენების სახის ცვლილება ხდება მაშინ, როცა ქონება აკმაყოფილებს, ან აღარ აკმაყოფილებს, საინვესტიციო ქონების განსაზღვრებას და არსებობს გამოყენების სახის ცვლილების მტკიცებულება. მხოლოდ ხელმძღვანელობის განზრახვის ცვლილება ქონების გამოყენებასთან მიმართებაში არ წარმოადგენს გამოყენების სახის ცვლილების მტკიცებულებას. იმ გამოყენების სახის ცვლილებებთან მიმართებაში, რომლებიც მოხდა იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის საწყის თარიღზე ან მას შემდეგ, რომელშიც კომპანიამ პირველად განახორციელა შესწორებები, კომპანიებმა პროსპექტიულად უნდა განახორციელონ შესწორებები. კომპანიამ ხელახლა უნდა შეაფასოს ამ თარიღისათვის ფლობილი ქონების კლასიფიკაცია, და თუ საჭიროა, განახორციელოს ქონების რეკლასიფიკაცია, რათა ასახოს ამ თარიღისათვის არსებული პირობები. ბასს 8-ის მიხედვით, რეტროსპექტიული დანერგვა ნებადართულია მხოლოდ მაშინ, თუ ეს შესაძლებელია გასულ პერიოდებზე რეტროსპექტივის გამოყენების გარეშე. შესწორება ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრისთვის ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ბანკი ამჟამად ახორციელებს გავლენის შეფასებას.

2016-2017 წლების ციკლის ფასს-ების წლიური გაუმჯობესება

ბასს 12, “საშემოსავლო გადასახადები”

ბასს 12-ის შესწორებები აზუსტებს, რომ დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგები (ასეთის არსებობისას), რომლებიც განსაზღვრულია ფასს 9-ში (ე.ი. წილობრივი ინსტრუმენტების მფლობელებზე მოგებების განაწილება მათ მფლობელობაში არსებული წილების პროპორციულად), უნდა იქნას აღიარებული:

- იმავდროულად, როცა ხდება ამ დივიდენდების გადახდის ვალდებულების აღიარება; და
- მოგება ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში, ან კაპიტალში ცვლილების ანგარიშგებაში, იმის მიხედვით, თუ კომპანიამ სად აღიარა წარსული ოპერაციები ან მოვლენები, რომლებმაც წარმოქმნა გასანაწილებელი მოგებები, საიდანაც ხდება დივიდენდების გადახდა.

ბასს 12-ის ცვლილებები ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისთვის, თუმცა, ნებადართულია უფრო ადრე დანერგვაც. კომპანიებმა უნდა განახორციელონ ცვლილებები დივიდენდებზე მოგების გადასახადის შედეგებთან მიმართებაში, იმ წარმოდგენილ შესადარის პერიოდებს შორის უძველესის დასაწყისზე ან შემდგომ, რომელშიც აღიარებული იყო დივიდენდი. ბანკი ამჟამად ახორციელებს გავლენის შეფასებას.

ბასს 28 “ინვესტიციები მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში – დაზუსტება იმისა, რომ ინვესტიციის შეფასება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით გადასაწყვეტია თითოეული ინვესტიციის დონეზე”

ეს ცვლილებები აზუსტებს, რომ:

- ნებისმიერ კომპანიას, რომელიც არის სარისკო კაპიტალის მქონე ორგანიზაცია, ან სხვა პირობითი ორგანიზაცია, თავდაპირველი აღიარებისას, შეუძლია სათითაოდ შეაფასოს სამართლიანი ღირებულება მოგება-ზარალის გავლით თითოეული ინვესტიციისთვის (მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში).
- თუ რომელიმე კომპანიას, რომელიც თავად არ არის საინვესტიციო კომპანია, აქვს წილი რომელიმე მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში, რომელიც არის საინვესტიციო კომპანია, ამ კომპანიას შეუძლია წილობრივი მონაწილეობის მეთოდის გამოყენებისას, გადაწყვიტოს სამართლიანი ღირებულებით შეფასების შენარჩუნება, რომელიც გამოიყენება საინვესტიციო კომპანიის მიერ მათ საკუთარ შვილობილ კომპანიებთან მიმართებაში. ეს გადაწყვეტილება მიიღება ცალ-ცალკე თითოეული საინვესტიციო მეკავშირე კომპანიასა და ერთობლივ საწარმოში, ამ თარიღებიდან ყველაზე გვიანდელზე: (ა) საინვესტიციო მეკავშირე კომპანიის ან ერთობლივი საწარმოს თავდაპირველად აღიარების თარიღი; (ბ) თარიღი, როცა მეკავშირე კომპანია ან ერთობლივი საწარმო გახდა საინვესტიციო კომპანია; და (გ) საინვესტიციო მეკავშირე კომპანია ან ერთობლივი საწარმო პირველად ხდება მშობელი კომპანია.

ეს ცვლილებები დანერგილი უნდა იყოს რეტროსპექტიულად და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან. ბანკი არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ამ ცვლილებების გამოყენების შედეგად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გამოშვებული, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესული სტანდარტები (გაგრძელება)

2016-2017 წლების ციკლის ფასს-ების წლიური გაუმჯობესება (გაგრძელება)

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 22 “საავალუტო ოპერაციები და წინასწარი გადახდები”

ეს ინტერპრეტაცია აზუსტებს, რომ წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული არაფულადი აქტივის ან ვალდებულების ჩამოწერისას წარმოშობილი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) თავდაპირველი აღიარებისას გამოყენებული გაცვლითი კურსი უნდა აიღოს იმ თარიღზე, როცა კომპანიამ თავდაპირველად აღიარა წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული არაფულადი აქტივი ან ვალდებულება. ეს ინტერპრეტაცია ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. რადგან ბანკის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ამ ინტერპრეტაციას, ბანკი არ ელის რაიმე ზემოქმედებას მის კომბინირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფასიკ-ის ინტერპრეტაცია 23 “მოგების გადასახადებთან დაკავშირებული გაურკვევლობები”

ეს ინტერპრეტაცია ეხება მოგების გადასახადებს, როცა გადასახადის რეჟიმი შეიცავს რაიმე გაურკვევლობას, რომელიც გავლენას ახდენს ბასს 12-ის გამოყენებაზე და არ გამოიყენება გადასახადების მიმართ, რომელიც არ არის მოქცეული ბასს 12-ის ფარგლებში, ის ასევე კონკრეტულად არ მოიცავს გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ასოცირებულ წილებთან და საურავებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს.

კომპანიამ უნდა განსაზღვროს, განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე, თუ, სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმთან ერთად. ის მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული, რომელიც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობების გადაწყვეტის საკითხებს. ეს ინტერპრეტაცია ასევე ეხება ვარაუდებს, რომელსაც კომპანია აკეთებს საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო რეჟიმის შემოწმებასთან დაკავშირებით, და იმას, თუ როგორ განიხილავს ცვლილებებს ფაქტებსა და გარემოებებში.

ეს ინტერპრეტაცია ძალაშია 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული ანგარიშგების პერიოდებისთვის, მაგრამ, არსებობს გარკვეული გარდამავალი პერიოდის შეღავათები. ბანკი ამჟამად აფასებს გავლენას.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ბანკის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, დირექტორთა საბჭო იყენებს თავის შეფასებებს და დაშვებებს განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშებში აღიარებული თანხების განსასაზღვრად. ყველაზე მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებებია:

ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

თუ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ვერ მიიღება აქტიური ბაზრებიდან, ისინი განისაზღვრება შეფასების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, რომელიც მოიცავს მათემატიკური მოდელების გამოყენებას. ამ მოდელებისთვის ინფორმაციის აღება ხდება სხვადასხვა დაკვირვებადი ბაზრებიდან, თუ შესაძლებელია, მაგრამ, როცა ეს შეუძლებელია, სამართლიანი ღირებულების დასადგენად საჭიროა გარკვეული დაშვებების გაკეთება (შენიშვნა 27).

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა

საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი კვალიფიციური შემფასებლების მიერ. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება შიდა კაპიტალიზაციის მეთოდისა (რომელიც ცნობილია ასევე, როგორც დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების მეთოდი) და გაყიდვების შედარების მეთოდის გამოყენებით.

ბანკი თავის საინვესტიციო ქონებას აფასებს საკმარისი სიხშირით, რათა უზრუნველყოს, რომ საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდება იმ თანხისგან, რაც იქნებოდა მისი სამართლიანი ღირებულებება შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. შეფასების შედეგები წარმოდგენილია მე-10 შენიშვნაში, ხოლო, შეფასების მონაცემები და მეთოდები მითითებულია 27-ე შენიშვნაში. ბანკის ქონება თავისი ბუნებით სპეციფიკურია და გადანაწილებულია ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში. მაშინ, როცა საქართველოში არსებული მეორადი ბაზარი იძლევა ადეკვატურ საბაზრო ინფორმაციას მცირე და საშუალო ზომის საკუთრების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, დიდი და განსხვავებული საკუთრების შეფასება მოიაზრებს სხვადასხვა დაკვირვებადი და არადაკვირვებადი მონაცემების გამოყენებას, რათა სათანადოდ დაკორექტირდეს არსებული შესადარისი გასაყიდი ფასები. ეს დაშვებები და ვარაუდები ეფუძნება საუკეთესო არსებულ ინფორმაციას, თუმცა, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავებული იყოს.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

ბანკის მიერ რეგულარულად ხდება სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გადახედვა, გაუფასურებასთან მიმართებაში. ბანკი იყენებს საკუთარ დაშვებებს ნებისმიერი გაუფასურების ხარჯის განსაზღვრის მიზნით იქ, სადაც მსესხებელს ფინანსური სირთულეები აქვს და მცირეოდენი ისტორიული მონაცემების წყაროები მოიპოვება ანალოგიურ მსესხებლებთან მიმართებაში. შესაბამისად, ბანკი აფასებს მომავალი ფულადი ნაკადების ცვლილებას, დაკვირვებად მონაცემებზე დაყრდნობით, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს ჯგუფში შემავალი მსესხებლების, ან ნაციონალურ ან ადგილობრივ ეკონომიკურ გარემოში, გადახდიუნარიანობის სტატუსის ნეგატიური ცვლილებით, რომელიც პირდაპირ კავშირშია ჯგუფში შემავალი აქტივების გადეფოლტებასთან. ხელმძღვანელობა იყენებს იმ შეფასებებს, რომლებიც ემყარება სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების ჯგუფში შემავალი მუხლების მსგავს აქტივებზე (რომელთაც მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები აღმოაჩნდათ) ნანახ ისტორიული დანაკარგების მონაცემებს. ბანკი ეყრდნობა საკუთარ შეფასებებს, სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების ჯგუფისათვის დაკვირვებადი მონაცემების დაკორექტირებისას, რათა სათანადოდ ასახოს არსებული გარემოებები.

ბანკი განიხილავს უზრუნველყოფის სამართლიან ღირებულებას, როცა აფასებს უზრუნველყოფილი სესხებისა და ფინანსური იჯარიდან მოთხოვნების გაუფასურების ზარალს. ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას. ხელმძღვანელობა იყენებს თავის გამოცდილებაზე დამყარებულ დაშვებებს ან დამოუკიდებელ მოსაზრებას სამართლიანი ღირებულების კორექტირებისთვის, რათა მასში აისახოს არსებული გარემოებები. მოთხოვნილი უზრუნველყოფის ტიპი და მოცულობა დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე.

ინფორმაცია სესხების გაუფასურების რეზერვის შესახებ წარმოდგენილია მე-9 შენიშვნაში.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ

მართვის მიზნით, ბანკი დაყოფილია შემდეგ საოპერაციო სეგმენტებად, პროდუქტებისა და მომსახურებების მიხედვით:

საცალო საბანკო მომსახურება - ძირითადად უზრუნველყოფს სამომხმარებლო სესხებს, იპოთეკურ სესხებს, ოვერდრაფტებს, საკრედიტო ბარათებს და სხვა საკრედიტო წყაროებს, ასევე, სახსრების გადარიცხვის და ანგარიშსწორების მომსახურებებს, მართავს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების ანაბრებს, რომელიც მოიცავს დიდ სეგმენტს, საცალო მასობრივ ბაზრებს, მცირე და საშუალო საწარმოებსა და მიკრო ბიზნესს.

კორპორატიული საბანკო მომსახურება - ძირითადად უზრუნველყოფს სესხებსა და სხვა საკრედიტო წყაროებს, დიდი შემოსავლის მქონე ფიზიკური პირებისთვის, ისევე, როგორც საშუალო და მცირე და მიკრო საწარმოებზე უფრო დიდი იურიდიული პირებისთვის, უზრუნველყოფს სახსრების გადარიცხვის და ანგარიშსწორების მომსახურებებს, სავაჭრო საფინანსო მომსახურებებს და დოკუმენტური ოპერაციების მხარდაჭერას, დანაზოგებსა და ვადიან დეპოზიტებს კორპორატიული და ინსტიტუციური კლიენტებისთვის.

ინვესტიციების მართვა - ძირითადად უზრუნველყოფს კერძო საბანკო მომსახურებებს რეზიდენტი და არარეზიდენტი მდიდარი ფიზიკური პირებისთვის, ისევე, როგორც მათი უშუალო ოჯახის წევრებისთვის, ინდივიდუალური მიდგომებისა და ექსკლუზიურობის გამოყენებით, როცა საქმე ეხება გადარიცხულ თანხებს, სავალუტო კურსსა ან ანგარიშსწორების ოპერაციებს, ან მათი დანაზოგებისა და ვადიანი დეპოზიტების მართვას; ინვესტიციების მართვა მოიცავს იმავე ფიზიკური პირებისთვის ქონებისა და აქტივების მართვის მომსახურებების გაწევას სხვადასხვა საინვესტიციო შესაძლებლობების და კერძოდ შექმნილი საინვესტიციო პროდუქტების მეშვეობით. ის ასევე მოიცავს კორპორატიულ საკონსულტაციო მომსახურებებს.

ხელმძღვანელობა თავისი ბიზნეს ერთეულების საქმიანობას ამოწმებს ცალ-ცალკე, რესურსების განაწილებისა და საქმიანობის შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას. სეგმენტის საქმიანობა, როგორც ქვემოთ ცხრილშია აღწერილი, ფასდება იმავე ფორმით, როგორც მოგება ან ზარალი განცალკევებულ ფინანსურ ანგარიშგებებში.

საოპერაციო სეგმენტებს შორის ტრანზაქციები ხორციელდება მხარეთა დამოუკიდებლობის პრინციპით მესამე მხარეებთან ტრანზაქციების მსგავსად.

ბანკის ოპერაციები ძირითადად კონცენტრირებულია საქართველოში.

არცერთ ერთ გარეშე კლიენტთან ან პარტნიორთან ტრანზაქციიდან მიღებული შემოსავალი არ შეადგენდა 2017 ან 2016 წელს ბანკის მთლიანი შემოსავლის 10%-ს ან მეტს.

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოგება-ზარალის ანგარიშგების და კონკრეტული აქტივისა და ვალდებულების შესახებ, ბანკის საოპერაციო სეგმენტების ჭრილში, 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	კორპორატიული საბანკო საქმიანობა	*საცალო საბანკო საქმიანობა*	*ინვესტიციის მართვა*	*სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	104,894	480,823	25,356	611,073
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	22,783	88,351	729	111,863
წმინდა შემოსავალი (ზარალი) უძრავი ქონებიდან	4,435	1,585	(31)	5,989
წმინდა შემოსავალი ვალუტიდან	44,331	27,939	2,362	74,632
სხვა შემოსავლები	4,031	4,451	21	8,503
შემოსავალი	**180,474**	**603,149**	**28,437**	**812,060**
საოპერაციო ხარჯები	(58,339)	(224,891)	(10,243)	(293,473)
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო რისკის ხარჯამდე	**122,135**	**378,258**	**18,194**	**518,587**
საკრედიტო რისკის ხარჯი	(47,480)	(110,564)	4	(158,040)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არაგანმეორებად მუხლებამდე	**74,655**	**267,694**	**18,198**	**360,547**
წმინდა არაგანმეორებადი მუხლები	(757)	(2,585)	(196)	(3,538)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	**73,898**	**265,109**	**18,002**	**357,009**
მოგების გადასახადის ხარჯი	(5,360)	(18,276)	(1,306)	(24,942)
წლის მოგება	**68,538**	**246,833**	**16,696**	**332,067**
აქტივები და ვალდებულებები				
სულ აქტივები	4,205,149	7,855,478	33,048	12,093,675
სულ ვალდებულებები	3,676,155	6,857,614	23,354	10,557,123
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ				
ძირითადი საშუალებები	5,531	41,655	568	47,754
არამატერიალური აქტივები	2,532	18,759	218	21,509
კაპიტალური დანახარჯები	**8,063**	**60,414**	**786**	**69,263**
ცვეთა	(3,464)	(26,085)	(356)	(29,905)
ამორტიზაცია	(853)	(6,322)	(73)	(7,248)

5. ინფორმაცია სეგმენტების შესახებ (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია მოგება-ზარალის ანგარიშგების და კონკრეტული აქტივისა და ვალდებულების შესახებ, ბანკის საოპერაციო სეგმენტების ჭრილში, 2016 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის:

	კორპორატიული საბანკო საქმიანობა	*საცალო საბანკო საქმიანობა*	*ინვესტიციის მართვა*	*სულ*
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	109,303	374,216	21,065	504,584
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	25,346	76,371	710	102,427
წმინდა შემოსავალი (ზარალი) უძრავი ქონებიდან	5,845	2,595	(7)	8,433
წმინდა შემოსავალი ვალუტიდან	46,887	26,604	2,931	76,422
სხვა შემოსავლები	2,506	788	5	3,299
შემოსავალი	**189,887**	**480,574**	**24,704**	**695,165**
საოპერაციო ხარჯები	(52,768)	(185,401)	(9,123)	(247,292)
საოპერაციო შემოსავალი საკრედიტო რისკის ხარჯამდე	**137,119**	**295,173**	**15,581**	**447,873**
საკრედიტო რისკის ხარჯი	(70,075)	(75,690)	419	(145,346)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი არაგანმეორებად მუხლებამდე	**67,044**	**219,483**	**16,000**	**302,527**
წმინდა არაგანმეორებადი მუხლები	(13,559)	(32,647)	(1,545)	(47,751)
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	**53,485**	**186,836**	**14,455**	**254,776**
მოგების გადასახადის ხარჯი	10,359	21,733	1,100	33,192
წლის მოგება	**63,844**	**208,569**	**15,555**	**287,968**
აქტივები და ვალდებულებები				
სულ აქტივები	4,174,269	6,087,060	49,116	10,310,445
სულ ვალდებულებები	3,667,335	5,332,378	34,298	9,034,011
სხვა ინფორმაცია სეგმენტების შესახებ				
ძირითადი საშუალებები	4,326	28,713	459	33,498
არამატერიალური აქტივები	1,368	9,041	115	10,524
კაპიტალური დანახარჯები	**5,694**	**37,754**	**574**	**44,022**
ცვეთა	(3,638)	(24,150)	(386)	(28,174)
ამორტიზაცია	(716)	(4,731)	(60)	(5,507)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

		2017	2016	1 იანვარი 2016
ნაღდი ფული		433,639	450,580	402,110
მიმდინარე ანგარიშები ცენტრალურ ბანკებში, გარდა სავალდებულო რეზერვებისა		45,294	126,673	119,903
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში		165,142	434,500	383,657
ვადიანი დეპოზიტები საკრედიტო დაწესებულებებში დღეზე ნაკლები დაფარვის ვადით	90	757,806	408,213	360,707
ფული და ფულის ეკვივალენტები		**1,401,881**	**1,419,966**	**1,266,377**

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 921,612 ლარი (2016: 806,945 ლარი, 2016 წლის 1 იანვრი: 647,192 ლარი) შეტანილ იქნა მიმდინარე და ვადიანი დეპოზიტის ანგარიშებზე საერთაშორისოდ აღიარებულ “ეგთოს” წევრ ბანკებსა და ცენტრალურ ბანკებში, რომლებიც ბანკის საერთაშორისო გარიგებებში მონაწილე კონტრაგენტები არიან. აღნიშნულ დეპოზიტებზე ბანკმა გამოიმუშავებდა წლიურ 2.00%-მდე პროცენტამდე თანხები (2016: 0.90%-მდე, 2016 წლის 1 იანვარი: 0.59%-მდე). ხელმძღვანელობა არ ვარაუდოს, რომ მოსალოდნელი იყოს რაიმე სახის ზარალი იმ კონტრაგენტების მხრიდან (თავიანთი ვადებულებების შეუსრულებლობის შედეგად), რომლებიც ფლობენ ფულს და ფულის ეკვივალენტებს, და ასევე, ამ აქტივების საბალანსო და სამართლიან ღირებულებებს შორის არსებითი სხვაობა არ არსებობს.

7. მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	2017	2016	1 იანვარი 2016
სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკებში	996,617	933,600	618,337
ვადიანი დეპოზიტები 90 დღეზე მეტი დაფარვის ვადით	209,227	38	3,722
შეუსრულებული ვალდებულებების უზრუნველყოფად დაგირავებული დეპოზიტები	-	-	96,405
ბანკთაშორისი სასესხო მოთხოვნები	-	3,287	-
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	**1,205,844**	**936,925**	**718,464**

სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკებში წარმოადგენს „სებ“-ში დეპოზიტის სახით შეტანილ თანხებს. საკრედიტო დაწესებულებებს მოეთხოვებათ საპროცენტო სარგებლის მქონე ფულადი დეპოზიტის განთავსება (სავალდებულო რეზერვი) ცენტრალურ ბანკებში, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია საკრედიტო დაწესებულების მიერ მოზიდული სახსრების მოცულობაზე. ბანკის უფლება, ამგვარი დეპოზიტების გამოტანასთან დაკავშირებით, იზღუდება კანონმდებლობით. 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, ბანკმა მიიღო 1.00%-მდე პროცენტი “სებ”-ში განთავსებულ სავალდებულო რეზერვებზე (2016: 0.25%, 2016 წლის 1 იანვარი: ნული).

8. გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

	2017	2016	1 იანვარი 2016
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები*	847,839	726,805	575,590
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო თამასუქები**	77,460	88,412	165,545
ცენტრალური ბანკების სადეპოზიტო სერტიფიკატები***	-	24,015	76,807
სხვა სავალო ვალდებულებები****	614,844	359,650	84,003
კორპორატიული აქციები	201	295	295
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	**1,540,344**	**1,199,177**	**902,240**

** 448,558 ლარი დაგირავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხებისთვის (2016: 712,169 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 229,800 ლარი).*
*** ნული ლარი დაგირავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხებისთვის (2016: 55,842 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 3,805 ლარი).*
**** ნული ლარი დაგირავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხებისთვის (2016: 9,402 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 2,966 ლარი);*
***** 475,735 ლარი დაგირავდა საქართველოს ეროვნული ბანკის მოკლევადიანი სესხებისთვის (2016: 286,832 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 79,187 ლარი).*

9. გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბერს, სხვა სავალო ინსტრუმენტები მოიცავს ლარში დენომინირებულ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 268,057 ლარის ობლიგაციებს (2016: 133,055 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 50,666 ლარი), ლარში დენომინირებულ საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ გამოშვებულ 110,862 ლარის ობლიგაციებს (2016: 28,402 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 28,460 ლარი), ლარში დენომინირებულ აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 65,245 ლარის ობლიგაციებს (2016: 64,921 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: ნული), ლარში დენომინირებულ შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკის მიერ გამოშვებულ 60,625 ლარის ობლიგაციებს (2016: 60,454 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: ნული), დოლარში დენომინირებულ საერთაშორისოდ აღიარებული საინვესტიციო ბანკის მიერ გამოშვებულ 26,666 ლარის ობლიგაციებს (2016: ნული, 2016 წლის 1 იანვარი: ნული) და სხვა 83,389 ლარის ობლიგაციებს (2016: 72,818 ლარი; 2016 წლის 1 იანვარი: 4,877 ლარი).

9. კლიენტებზე გაცემული სესხები

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
კომერციული სესხები	2,149,236	2,235,029	2,247,710
სამომხმარებლო სესხები	1,734,751	1,357,075	1,155,955
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	1,637,357	1,346,341	903,864
იპოთეკური სესხები	1,712,515	1,234,176	814,344
ოქროს გირავნობით გაცემული სესხები	67,940	60,685	61,140
კლიენტებზე გაცემული სესხები, სულ	**7,301,799**	**6,233,306**	**5,183,013**
გამოკლებული სესხის გაუფასურების რეზერვი	(237,905)	(211,672)	(177,844)
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	**7,063,894**	**6,021,634**	**5,005,169**

სესხის გაუფასურების რეზერვი

მომხმარებლებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვის დინამიკა ტიპების მიხედვით, შემდეგია:

	კომერციული სესხები	*სამომხმარებლო სესხები*	*იპოთეკური სესხები*	*მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები*	*სულ*
	2017	*2017*	*2017*	*2017*	*2017*
1 იანვარს	**145,047**	**56,926**	**3,891**	**5,808**	**211,672**
დარიცხვა	38,061	80,304	2,700	25,631	146,696
ამოღება	9,980	23,483	8,151	11,178	52,792
ჩამოწერა	(32,224)	(72,845)	(9,912)	(25,970)	(140,951)
ჩამოწერილ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(10,746)	(16,649)	(768)	(4,141)	(32,304)
31 დეკემბერს	**150,118**	**71,219**	**4,062**	**12,506**	**237,905**
ინდივიდუალური გაუფასურება	145,347	610	2,427	2,173	150,557
კოლექტიური გაუფასურება	4,771	70,609	1,635	10,333	87,348
	150,118	**71,219**	**4,062**	**12,506**	**237,905**
ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	**293,960**	**1,499**	**14,671**	**23,685**	**333,815**

9. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

სესხის გაუფასურების რეზერვი (გაგრძელება)

	კომერციული სესხები 2016	*სამომხმარებლო სესხები 2016*	*იპოთეკური სესხები 2016*	*მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები 2016*	*სულ 2016*
1 იანვარს	**119,621**	**49,429**	**6,061**	**2,733**	**177,844**
დარიცხვა	67,424	63,926	3,899	5,258	140,507
ამოღება	3,525	21,632	4,003	7,084	36,244
ჩამოწერა	(41,625)	(65,597)	(8,597)	(8,625)	(124,444)
ჩამოწერილ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(3,898)	(12,464)	(1,475)	(642)	(18,479)
31 დეკემბერს	**145,047**	**56,926**	**3,891**	**5,808**	**211,672**
ინდივიდუალური გაუფასურება	134,721	273	2,272	1,501	138,767
კოლექტიური გაუფასურება	10,326	56,653	1,619	4,307	72,905
	145,047	**56,926**	**3,891**	**5,808**	**211,672**
ინდივიდუალურად გაუფასურებულად შეფასებული სესხების მთლიანი თანხა, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის გამოქვითვამდე	**448,559**	**751**	**11,869**	**18,505**	**479,684**

სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, რომლისთვისაც 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვი, შეადგენდა 14,960 ლარს (2016: 25,913 ლარი).

გირაო და კრედიტის სხვა უზრუნველყოფა

გირაოს მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია შესაბამისი ინსტრუქცია მისაღები გირაოს ტიპებსა და შეფასების პარამეტრებთან მიმართებაში.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- კომერციული სესხებისათვის, გირაო შემდეგზე: უძრავი ქონება, აღჭურვილობა და მანქანა-დანადგარები, აქციები, სასაქონლო მატერიალური მარაგები. სავაჭრო დებიტორული დავალიანება და მესამე მხარეთა კორპორატიული გარანტიები;
- საცალო სესხებისათვის, გირაო შემდეგზე: საცხოვრებელი ფართი, ავტომანქანები, ოქრო და ძვირფასი თვლები და მესამე მხარეთა კორპორატიული გარანტიები.

ხელმძღვანელობა ითხოვს დამატებით უზრუნველყოფას ხელშეკრულების მიხედვით და ამოწმებს მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას, სესხის გაუფასურების რეზერვის ადეკვატურობის განხილვისას.

ბანკის პოლიტიკაა ჩვეულებრივ რეჟიმში გაასხვისოს დასაკუთრებული ქონება. ამოღებული თანხები გამოიყენება მიმდინარე მოთხოვნის შესამცირებლად ან დასაფარად. ზოგადად, ბანკი არ იყენებს დასაკუთრებულ ქონებას თავისი საქმიანობის ფარგლებში.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულების გათვალისწინების გარეშე, სესხის გაუფასურების რეზერვი იქნებოდა 253,818 ლარით მეტი (2016: 322,880 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 176,759 ლარი).

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ ათ უმსხვილეს მესამე მხარის მსესხებლებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 671,120 ლარს, რაც შეადგენს ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 9%-ს (2016: 580,343 ლარი და შესაბამისად 9%; 2016 წლის 1 იანვარი: 708,839 ლარი და შესაბამისად 14%). ამ სესხებთან მიმართებაში, 41,207 ლარის (2016: 17,203 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 2,484 ლარი) ოდენობის რეზერვია შექმნილი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ ათ უმსხვილეს მესამე მხარის მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სესხების კონცენტრაცია შეადგენდა 860,946 ლარს, რაც შეადგენს ბანკის მთლიანი სასესხო პორტფელის 12%-ს (2016: 965,964 ლარი და შესაბამისად 15%; 2016 წლის 1 იანვარი: 1,128,146 ლარი და შესაბამისად 22%). ამ სესხებთან მიმართებაში, 73,269 ლარის (2016: 35,049 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 41,410 ლარი) ოდენობის რეზერვია შექმნილი.

9. კლიენტებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)

კლიენტებზე გაცემული სესხების კონცენტრაცია (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხები ძირითადად გაცემულია საქართველოს ფარგლებში და მათი განაწილება კლიენტების მიხედვით იყო შემდეგი:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
კერძო კომპანიები	3,021,038	2,885,315	2,670,065
ფიზიკური პირები	4,280,761	3,326,370	2,473,182
სახელმწიფო მფლობელობაში არსებული ორგანიზაციები	-	21,621	39,766
კლიენტებზე გაცემული სესხები, სულ	**7,301,799**	**6,233,306**	**5,183,013**
გამოკლებული სესხის გაუფასურების რეზერვი	(237,905)	(211,672)	(177,844)
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	**7,063,894**	**6,021,634**	**5,005,169**

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, სესხების გადანაწილება სექტორების მიხედვით ასე გამოიყურებოდა:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
ფიზიკური პირები	4,280,761	3,326,370	2,473,182
ვაჭრობა	625,750	652,436	587,749
მრეწველობა	637,652	582,651	665,586
მშენებლობა	346,824	278,359	166,351
უძრავი ქონება	325,050	326,856	264,905
ტურიზმი და დასვენება	278,163	227,392	157,856
მომსახურება	196,838	168,455	223,658
სამთომადნო საქმიანობა	104,799	114,115	127,391
ტრანსპორტი და კომუნიკაციები	96,400	146,671	149,806
ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მიწოდება	84,727	34,835	77,331
ფინანსური შუამდგომლობა	51,342	125,453	75,323
სხვა	273,493	249,713	213,875
კლიენტებზე გაცემული სესხები, სულ	**7,301,799**	**6,233,306**	**5,183,013**
გამოკლებული სესხის გაუფასურების რეზერვი	(237,905)	(211,672)	(177,844)
კლიენტებზე გაცემული სესხები, წმინდა	**7,063,894**	**6,021,634**	**5,005,169**

ქვემოთ მოცემულია 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ზარალებისათვის ინდივიდუალური და კოლექტიური გაუფასურების რეზერვების შედარება:

	2017			*2016*		
	ინდივიდუალური გაუფასურება	*კოლექტიური გაუფასურება*	*სულ*	*ინდივიდუალური გაუფასურება*	*კოლექტიური გაუფასურება*	*სულ*
	2017	*2017*	*2017*	*2016*	*2016*	*2016*
1 იანვარს	**138,767**	**72,905**	**211,672**	**121,099**	**56,745**	**177,844**
წლის დარიცხვა	50,856	95,840	146,696	60,480	80,027	140,507
აღდგენა	10,948	41,844	52,792	7,884	28,360	36,244
ჩამოწერა	(39,246)	(101,705)	(140,951)	(45,302)	(79,142)	(124,444)
გაუფასურებულ სესხებზე დარიცხული პროცენტი	(10,768)	(21,536)	(32,304)	(5,394)	(13,085)	(18,479)
31 დეკემბერს	**150,557**	**87,348**	**237,905**	**138,767**	**72,905**	**211,672**

10. საინვესტიციო ქონება

	2017	*2016*	*2015*
1 იანვარს	**146,379**	**129,817**	**113,113**
ზრდა*	59,520	22,835	35,550
გასხვისება	(10,667)	(4,384)	(19,813)
წმინდა მოგება საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	6,200	-	4,700
გადატანები ძირითად საშუალებებში და სხვა აქტივებში**	(15,939)	(1,889)	(89)
31 დეკემბერს	**185,493**	**146,379**	**129,817**

** 2017 და 2016 წლების ყველა ზრდა მოიცავს დასაკუთრებულ ქონებებს, და არ მოიცავდა ფულად ტრანზაქციებს.*
*** შეიცავდა 4,396 ლარის გადაცემას ძირითად საშუალებებში (2016 წელს: ძირითად საშუალებებში გადაცემები იყო 351 ლარი), არ იყო გადაცემა სხვა აქტივებში – სასაქონლო მატერიალურ მარაგებში (2016 წელს: არ იყო გადაცემა სხვა აქტივებში – სასაქონლო მატერიალურ მარაგებში) და 11.490 ლარის გადაცემას ფინანსური იჯარის მოთხოვნებში (2016 წელს: გადაცემა ფინანსური იჯარის მოთხოვნებში იყო 1,538 ლარი).*

საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით. სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღება შეფასების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი ტრანზაქციისას აქტივის გასაყიდად. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქონებების სამართლიანი ღირებულებები განსაზღვრულია აკრედიტირებული დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასებების საფუძველზე. საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასების დეტალები იხილეთ 28-ე შენიშვნაში.

ბანკს არ აქვს შეზღუდვები თავისი საინვესტიციო ქონების რეალიზებასთან დაკავშირებით და არც არანაირი საკონტრაქტო ვალდებულებები ამ საინვესტიციო ქონების შესასყიდად, ასაშენებლად ან განსავითარებლად, ან მის რემონტთან, ტექმომსახურებასა და სრულყოფასთან დაკავშირებით.

11. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში, შემდეგია:

	მიწა, ნაგებობები და მომსახურების ცენტრები	*ავეჯი და საოფისე ტექნიკა*	*კომპიუტერები და მოწყობილობები*	*ავტომობილები*	*იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება*	*მშენებარე აქტივები*	*სულ*
ღირებულება							
31 დეკემბერი 2016	**170,153**	**176,040**	**59,876**	**5,969**	**14,139**	**2,626**	**428,803**
ზრდა	-	20,471	11,820	954	-	14,509	47,754
გასხვისება	(698)	(195)	(65)	(84)	(3,779)	-	(4,821)
გადატანები	11,040	-	-	-	7,007	(18,047)	-
გადმოტანები საინვესტიციო ქონებიდან (და პირიქით)	(4,115)	-	-	206	-	8,305	4,396
გადმოტანები სხვა აქტივებიდან (და პირიქით)	40	(735)	(1,365)	-	232	153	(1,675)
გადაფასება*	3,197	-	-	-	-	286	3,483
31 დეკემბერი 2017	**179,617**	**195,581**	**70,266**	**7,045**	**17,599**	**7,832**	**477,940**
აკუმულირებული გაუფასურება							
31 დეკემბერი 2016	**1,359**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,359**
გაუფასურების ხარჯი	-	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2017	**1,359**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,359**
აკუმულირებული ცვეთა							
31 დეკემბერი 2016	**14,135**	**101,589**	**41,370**	**3,002**	**5,295**	**-**	**165,391**
ცვეთის ხარჯი	1,834	15,839	7,539	1,018	3,675	-	29,905
გადმოტანები საინვესტიციო ქონებიდან (და პირიქით)	(53)	-	-	-	-	-	(53)
გადმოტანები სხვა აქტივებიდან (და პირიქით)	(171)	(1,238)	(1,242)	-	-	-	(2,651)
გასხვისებები	(291)	(83)	(37)	(38)	(3,448)	-	(3,897)
31 დეკემბერი 2017	**15,454**	**116,107**	**47,630**	**3,982**	**5,522**	**-**	**188,695**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2016	**154,659**	**74,451**	**18,506**	**2,967**	**8,844**	**2,626**	**262,053**
31 დეკემბერი 2017	**162,804**	**79,474**	**22,636**	**3,063**	**12,077**	**7,832**	**287,886**

** 3,483 ლარი ადიარებული იყო საინვესტიციო ქონებაში გადატანილ ძირითად საშუალებებზე (2016: ნული).*

11. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების დინამიკა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში, შემდეგია:

	მიწა, ნაგებობები და მომსახურების ცენტრები	*ავეჯი და საოფისე ტექნიკა*	*კომპიუტერები და მოწყობილობები*	*ავტომობილები*	*ოჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება*	*მშენებარე აქტივები*	*სულ*
ღირებულება							
1 იანვარი 2016	**167,628**	**159,856**	**52,117**	**6,123**	**13,115**	**2,286**	**401,125**
ზრდა	-	17,018	8,622	2,164	-	5,694	33,498
გასხვისება	-	(74)	(6)	(2,319)	(2,660)	-	(5,059)
გადატანები	2,174	-	-	-	3,684	(5,858)	-
გადმოტანები საინვესტიციო ქონებიდან	351	-	-	-	-	-	351
გადმოტანები სხვა აქტივებიდან (და პირიქით)	-	(760)	(857)	1	-	504	(1,112)
31 დეკემბერი 2016	**170,153**	**176,040**	**59,876**	**5,969**	**14,139**	**2,626**	**428,803**
აკუმულირებული გაუფასურება							
1 იანვარი 2016	**1,359**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,359**
გაუფასურების ხარჯი	-	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	-
31 დეკემბერი 2016	**1,359**	**-**	**-**	**-**	**-**	**-**	**1,359**
აკუმულირებული ცვეთა							
1 იანვარი 2016	**11,928**	**86,313**	**35,370**	**3,745**	**5,222**	**-**	**142,578**
ცვეთის ხარჯი	2,207	15,700	6,707	882	2,678	-	28,174
გადმოტანები სხვა აქტივებიდან (და პირიქით)	-	(414)	(694)	-	-	**-**	(1,108)
გასხვისებები	-	(10)	(13)	(1,625)	(2,605)	-	(4,253)
31 დეკემბერი 2016	**14,135**	**101,589**	**41,370**	**3,002**	**5,295**	**-**	**165,391**
წმინდა საბალანსო ღირებულება							
1 იანვარი 2016	**154,341**	**73,543**	**16,747**	**2,378**	**7,893**	**2,286**	**257,188**
31 დეკემბერი 2016	**154,659**	**74,451**	**18,506**	**2,967**	**8,844**	**2,626**	**262,053**

12. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

შვილობილ კომპანიებში განხორციელებული ინვესტიციების წილების ღირებულება შემდეგია:

		2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა გაერთიანებულ სამეფოში		-	-	-
არაკომერციული ორგანიზაცია სიცოცხლის ხის ფონდი		-	-	-
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა უნგრეთში		4,135	3,149	3,149
საქართველოს ბანკის წარმომადგენლობა თურქეთში		-	-	-
შპს საქართველოს ფინანსური ინვესტიციები		3,577	3,577	3,577
პროფესიონალური საკალათბურთო კლუბი დინამო თბილისი	შპს	2,250	1,850	1,710
შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტი		2,281	2,056	1,831
შპს კერძო დაცვა		-	-	-
ბენდერლოქ ინვესთმენთ ლიმითედი		58,745	57,110	57,110
სს ბელორუსიის სახალხო ბანკი		66,486	66,486	66,486
შპს საქართველოს სალიზინგო კომპანია		22,414	-	-
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		**159,888**	**134,228**	**133,863**

ბანკმა შეაფასა გაუფასურების ინდიკატორები ყველა შვილობილი კომპანიისთვის. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წლის 1 იანვრისთვის, ასეთი გაუფასურების ინდიკატორები არ გამოვლენილა.

12. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში (გაგრძელება)

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წლის 1 იანვრისთვის, ბენდერლოქ ინვესტმენტ ლიმითედისა და სს ბელორუსიის სახალხო ბანკის ძირითადი კომბინირებული ფინანსური მაჩვენებლები, შემდეგია:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
სულ აქტივები	678,063	596,577	543,942
სულ კაპიტალი	133,761	121,315	107,939
სულ სრული შემოსავალი / (ხარჯი)	14,660	5,273	12,058
გადახდილი თანხა	125,231	109,049	109,049
საწესდებო კაპიტალის ზრდა ფუთ-ოფციონის საშუალებით	-	14,547	14,547
შეძენის ღირებულება	**125,231**	**123,596**	**123,596**

შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის ძირითადი კონსოლიდირებული ფინანსური მაჩვენებლები 31 დეკემბრისთვის, შემდეგია:

	2017
სულ აქტივები	66,207
სულ კაპიტალი	17,693
სულ სრული შემოსავალი / (ხარჯი)	1,840
შეძენის ღირებულება*	**22,414**

* 2017 წელს, შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის სესხები და მისაღები თანხები, 12,348 ლარის ოდენობით, კონვერტირებული იყო შვილობილი კომპანიის კაპიტალში.

13. გუდვილი

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლების განმავლობაში გუდვილში რაიმე მოძრაობა არ გამოვლენილა.

გუდვილის გაუფასურების შემოწმება

საწარმოთა გაერთიანების შედეგად შეძენილი განუსაზღვრელი სასარგებლო გამოყენების ვადის მქონე გუდვილი განაწილებულია ორ ფულადი სახსრების გამომუშავებელ ერთეულს შორის, გაუფასურების შემოწმების მიზნით: კორპორაციული საბანკო საქმე და საცალო საბანკო საქმე.

თოთოეულ ფულადი სახსრების გამომუშავებელ ერთეულზე განაწილებული გუდვილის საბალანსო ღირებულება შემდეგია:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
საცალო საბანკო საქმიანობა	23,488	23,488	23,488
კორპორატიული საბანკო საქმიანობა	9,965	9,965	9,965
სულ	**33,453**	**33,453**	**33,453**

13. გუდვილი (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებული ძირითადი დაშვებები

ფულადი სახსრების გამმომუშავებელი ერთეულის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრა გამოყენებით ღირებულებაზე დაყრდნობით, ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემების საფუძველზე, ხედა რგოლის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებული ფინანსური ბიუჯეტების მიხედვით, რომლებიც მოიცავდა სამ წლიან პერიოდს. დისკონტის განაკვეთები არ შესწორებულა მუდმივი ან კლებადი ზრდის ტემპის მქონე განაკვეთზე სამწლიანი პერიოდის იქით, რომლებსაც მოიცავს ფინანსური ბიუჯეტები. გაუფასურების ტესტთან დაკავშირებით, ფულადი სახსრების გამმომუშავებელი ერთეულების მომავალი ფულადი ნაკადების შეფასებისას ნავარაუდევი იქნა 3%-იანი მუდმივი ზრდის განაკვეთი.

კორპორაციული საბანკო საქმიანობისა და საცალო საბანკო საქმიანობისათვის, ბანკის მიერ გამოყენებულია დისკონტირების შემდეგი განაკვეთები:

	კორპორატიული საბანკო საქმიანობა			*საცალო საბანკო საქმიანობა*		
	2017, %	*2016, %*	*1 იანვარი 2016, %*	*2017, %*	*2016, %*	*1 იანვარი 2016, %*
დისკონტირების განაკვეთი	4.5%	5.3%	5.8%	6.1%	6.9%	6.7%

დისკონტირების განაკვეთები

დისკონტირების განაკვეთები ასახავს ხელმძღვანელობის მიერ თითოეული საქმიანობისათვის საჭირო შემოსავლის შეფასებას. აღნიშნული წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სტანდარტს საოპერაციო საქმიანობის და სამომავლო ინვესტირების წინადადებების შესაფასებლად. დისკონტირების განაკვეთების გაანგარიშება ხდება კაპიტალის ღირებულების საშუალო შეწონილის გამოყენებით (გადასახადებამდე).

საცალო და კორპორატიული საბანკო ფულადი სახსრების გამმომუშავებელი ერთეულებისთვის, შემდეგი დამატებითი დაშვებებიც გაკეთდა:

- სტაბილური ბიზნესი სესხებისა და დეპოზიტების ჩვეული ზრდით;
- არ არის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხარჯების / შემოსავლების სტრუქტურაში ან შეფარდებაში;
- სტაბილური ბიზნესი ვაჭრობის დაფინანსებისა და სხვა დოკუმენტირებული საქმიანობების ჩვეული ზრდით;
- ექსპრეს საბანკო საქმიანობის შემდგომი გაფართოება, რომელიც მოიტანს უფრო სტაბილურ მარჟას საცალო საბანკო სექტორში

დაშვებებში ცვლილებების მიმართ მგრნობელობა

ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ თითოეულ ფულადი სახსრების გამმომუშავებელ ერთეულთან დაკავშირებით ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებულ ძირითად დაშვებებში გონივრული შესაძლო ცვლილებები არ გამოიწვევს გუდვილის გაუფასურებას. გამოყენებული ღირებულების ნამეტი საბალანსო ღირებულებაზე განისაზღვრება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა საბალანსო ღირებულებასთან მიმართებაში. შესაძლო ცვლილებები განისაზღვრა, როგორც +/-1% ცვლილებები დისკონტირების განაკვეთსა და ზრდის განაკვეთში.

14. გადასახადები

კორპორატიული მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი მოიცავს:

	2017	*2016*
მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი	(36,557)	(16,125)
გადავადებული მოგების გადასახადის სარგებელი	11,615	49,317
მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი	**(24,942)**	**33,192**
გადავადებული მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი სხვა სრულ შემოსავალში	**(781)**	**-**

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლების ჭრილში, სხვა სრულ შემოსავალში დარიცხულ ან დაკრედიტებულ მუხლებზე წარმოშობილი გადავადებული მოგების გადასახადი შეადგენდა:

	2017	*2016*
საინვესტიციო ქონებაში გადატანილი ძირითადი საშუალებების გადაფასება	(781)	-
მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი სხვა სრულ შემოსავალში	**(781)**	**-**

ბანკის მოგების მიმართ გამოყენებული მოგების გადასახადის განაკვეთი არის 15% (2016: 15%)

2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილება არსებულ კორპორატიული დაბეგვრის მოდელში, რომელიც ძალაში შევა 2017 წლის 1 იანვრიდან, გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა ყველა საწარმოსთან მიმართებაში, მათ შორის ბანკებთან და სადაზღვევო კომპანიებთან დაკავშირებით (ცვლილებები გამოყენებული იქნება ფინანსური ინსტიტუტების, მათ შორის, ბანკების და სადაზღვევო კომპანიების მიმართ 2019 წლის 1 იანვრიდან). ეს შეცვლილი მოდელი გულისხმობს ნულოვან კორპორატიულ საგადასახადო განაკვეთს გაუნაწილებელ მოგებაზე და 15%-იან კორპორატიულ გადასახადს განაწილებულ მოგებაზე, ადრინდელ მოდელთან შედარებით, რომლის დროსაც 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით იბეგრებოდა კომპანიის მოგება გადასახადებამდე, მიუხედავად იმისა, განაწილებული იყო თუ არა. ამ ცვლილებამ მყისიერი გავლენა მოახდინა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც აღიარებულ იყო წინა პერიოდების დროს წარმოშობილ დროებით სხვაობებზე. ბანკმა განიხილა ახალი რეჟიმი ძალაში შესულად 2016 წლის ივნისში, რის გამოც გადაიანგარიშა თავისი გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ბანკმა გაიანგარიშა გადავადებული გადასახადების ის ნაწილი, რომელიც, მისი მოლოდინით, გამოყენებული იქნება ფინანსური საქმიანობებისთვის 2019 წლის 1 იანვრამდე და სრულად განახორციელა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და ვალდებულებების არგამოყენებული ნაწილის რეალიზება. 2017 წლის 1 იანვარსა და 2019 წლის 1 იანვარს შორის გარდამავალ პერიოდში, ფინანსური საქმიანობიდან არაფინანსური საქმიანობისთვის განაწილებულ მოგებაზე გადასახადი არ არის გადასახდელი.

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით განსაზღვრული მოგების გადასახადის განაკვეთებისაგან. 2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეფექტური და კანონმდებლობით განსაზღვრული მოგების გადასახადის განაკვეთების შედარება შემდეგია:

	2017	*2016*
მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	**357,009**	**254,776**
საშუალო საგადასახადო განაკვეთი	15%	15%
თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი საშუალო საგადასახადო განაკვეთით	**(53,551)**	**(38,216)**
დაბეგვრისგან თავისუფალი შემოსავალი	18,729	12,078
წინა წლების დეკლარაციების შესწორებები	4,532	2,726
საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების ეფექტი	4,762	56,021
დაბეგვრას არდაქვემდებარებული ხარჯები	203	3,596
სხვა	383	(3,013)
მოგების გადასახადის (ხარჯი) სარგებელი	**(24,942)**	**33,192**

ამჟამად, საქართველოში მოქმედი გადასახადები მოიცავს მოგების გადასახადს, ფიზიკური პირების საშემოსავლო გადასახადს, ქონების გადასახადს და დამატებითი ღირებულების გადასახადს. თუმცა, დებულებები ხშირად გაურკვეველია, ან არ არსებობს, და გამოცდილებაც მცირეა. ეს ქმნის საგადასახადო რისკებს საქართველოში, რომლებიც უფრო საყურადღებოა, ვიდრე სხვა განვითარებული საგადასახადო სისტემების მქონე ქვეყნებში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბანკი ძირითადად შესაბამისობაშია თავის ოპერაციებთან დაკავშირებულ საგადასახადო კანონმდებლობასთან. თუმცა, რისკი იმისა, რომ შესაბამის ორგანოებს შესაძლოა განსხვავებული პოზიცია ჰქონდეთ, კანონების ინტერპრეტაციასთან მიმართებაში, კვლავ არსებობს.

14. გადასახადები (გაგრძელება)

2017 და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები და მათი მოძრაობა შესაბამის წლებში, არის შემდეგი:

	1 იანვარი 2016	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება: მოგება-ზარალის უწყისში	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება: სხვა სრული შემოსავლის უწყისში	2016	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება: მოგება-ზარალის უწყისში	დროებითი სხვაობების წარმოშობა და შებრუნება: სხვა სრული შემოსავლის უწყისში	2017
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი:							
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	482	(482)	-	-	-	-	-
გაუფასურების რეზერვი და სხვა დანაკარგების რეზერვები	1,725	(1,725)	-	-	-	-	-
სხვა ვალდებულებები	-	1,704	-	1,704	(574)	-	1,130
გადავადებული საგადასახადო აქტივები	**2,207**	**(503)**	**-**	**1,704**	**(574)**	**-**	**1,130**
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი:							
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	-	1,230	-	1,230	(469)	-	761
კლეინტებზე გაცემული სესხები	25,328	(15,205)	-	10,123	(6,550)	-	3,573
გაუფასურების რეზერვი და სხვა დანაკარგების რეზერვები	-	1,127	-	1,127	(293)	-	834
ძირითადი საშუალებები	29,295	(26,317)	-	2,978	(3,548)	781	211
საინვესტიციო ქონება	4,578	(4,578)	-	-	-	-	-
არამატერიალური აქტივები	3,843	(3,843)	-	-	-	-	-
სხვა აქტივები	6,916	(2,234)	-	4,682	(1,329)	-	3,353
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**69,960**	**(49,820)**	**-**	**20,140**	**(12,189)**	**781**	**8,732**
წმინდა გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	**(67,753)**	**49,317**	**-**	**(18,436)**	**11,615**	**(781)**	**(7,602)**

15. სხვა აქტივები და ვალდებულებები

სხვა აქტივები მოიცავს:

	2017	2016	1 იანვარი 2016
დასაკუთრებული ქონება	52,095	50,821	44,477
სასაქონლო მატერიალური მარაგები	16,146	5,771	5,251
წარმოებული ფინანსური აქტივები	13,337	2,238	41,756
ფულის გადარიცხვებიდან მისაღები თანხები	12,890	8,915	4,619
დოკუმენტური ოპერაციებიდან მისაღები თანხები	27,048	18,650	17,617
საოპერაციო იჯარიდან მისაღები თანხები	2,070	1,774	1,139
დებიტორული დავალიანებები	1,041	395	1,698
ანგარიშსწორებები ოპერაციებზე	928	1,100	5,080
აქტივების გაყიდვიდან მისაღები თანხები	798	482	4,452
საოპერაციო საგადასახადო აქტივები	171	1,471	295
სხვა	13,559	20,196	21,436
	140,083	**111,813**	**147,820**
გამოკლებული სხვა აქტივების გაუფასურების რეზერვი	(39,550)	(28,396)	(25,907)
სხვა აქტივები	**100,533**	**83,417**	**121,913**

15. სხვა აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სხვა ვალდებულებებში შედის:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
კრედიტორები	18,976	6,664	7,387
თანამშრომელთა კომპენსაციის ანარიცხები	16,581	14,591	11,728
სხვა გადასახდელი გადასახადები	6,215	3,291	1,156
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	3,529	15,689	3,243
გადასახდელი დივიდენდები	1,064	1,276	779
წილის შესყიდვისთვის გადასახდელი თანხები	-	-	9,248
სხვა	11,558	8,393	5,802
სხვა ვალდებულებები	**57,923**	**49,904**	**39,343**

ქვემოთ წარმოდგენილი ცხრილი გვიჩვენებს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას, რომლებიც წარმოდგენილია, როგორც აქტივები ან ვალდებულებები, თავიანთ პირობით ღირებულებებთან ერთად. პირობითი ღირებულება, რომელიც წარმოდგენილია სრულად, არის წარმოებულის ქვეშ არსებული აქტივის ან ვალდებულების თანხა, საორიენტაციო განაკვეთი ან ინდექსი და არის ის საფუძველი, რომელის მიხედვითაც ფასდება წარმოებულების ღირებულების ცვლილებები. პირობითი თანხები ასახავს წლის ბოლოს არსებული ტრანზაქციების მოცულობას და არა საკრედიტო რისკს.

	2017		
	პირობითი თანხა	*სამართლიანი ღირებულება აქტივი*	*ვალდებულება*
უცხოური ვალუტის კონტრაქტები			
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივი	370,523	3,039	1,958
ფორვარდები და სვოპები - უცხოური	145,151	1,429	116
საპროცენტო განაკვეთიანი კონტრაქტები			
ფორვარდები და სვოპები - უცხოური	777,660	7,368	-
ოფციონები - უცხოური	10,183	1,501	1,455
სულ წარმოებული აქტივები / ვალდებულებები	**1,303,517**	**13,337**	**3,529**

	2016			*1 იანვარი 2016*		
	პირობითი თანხა	*სამართლიანი ღირებულება აქტივი*	*ვალდებულება*	*პირობითი თანხა*	*სამართლიანი ღირებულება აქტივი*	*ვალდებულება*
უცხოური ვალუტის კონტრაქტები						
ფორვარდები და სვოპები - ადგილობრივი	347,458	2,098	8,012	12,510	183	10
ფორვარდები და სვოპები - უცხოური	243,916	140	7,043	64,320	41,538	510
ოფციონები - უცხოური	-	-	-	56,768	35	2,723
საპროცენტო განაკვეთიანი კონტრაქტები						
ფორვარდები და სვოპები - უცხოური	794,040	-	634	-	-	-
სულ წარმოებული აქტივები / ვალდებულებები	**1,385,414**	**2,238**	**15,689**	**133,598**	**41,756**	**3,243**

16. ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე

ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე მოიცავს შედეგს:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
მიმდინარე ანგარიშები	3,613,887	2,804,147	2,346,240
ვადიანი დეპოზიტები	3,127,415	2,668,572	2,405,102
გამოშვებული თამასუქები	74,466	74,228	868
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	**6,815,768**	**5,546,947**	**4,752,210**
ფლობილი, როგორც აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველყოფა (შენიშვნა 19)	**98,034**	**95,760**	**62,925**

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, 2016 წლის 31 დეკემბრისთვის და 2016 წლის 1 იანვრითვის, ბანკის მიერ გამოშვებული თამასუქები მოიცავს თამასუქებს, რომლებსაც პირადად ფლობდნენ ფინანსური ინსტიტუტები და რომლებიც ფაქტობრივად წარმოადგენს ფიქსირებულ ვადიან და ფიქსირებულ პროცენტიან სადეპოზიტო სერტიფიკატების ეკვივალენტს. თამასუქების საშუალო ეფექტური ვადიანობა იყო 23 თვე (2016: 16 თვე, 2016 წლის 1 იანვარი: 9 თვე).

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, 1,066,616 (16%) ლარის ოდენობის ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე გადასახდელი იყო 10 უმსხვილესი მეანაბრისათვის (2016: 761,093 (14%) ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 834,215 (18%) ლარი).

ქვემოთ მოცემულია ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე მომხმარებელთა ტიპების მიხედვით:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
ფიზიკური პირები	3,698,795	3,006,592	2,458,442
კერძო საწარმოები	2,652,686	2,402,883	2,103,388
სახელმწიფო და სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული საწარმოები	464,287	137,472	190,380
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	**6,815,768**	**5,546,947**	**4,752,210**

ქვემოთ მოცემულია ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე სექტორების მიხედვით:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
ფიზიკური პირები	3,698,795	3,006,592	2,458,442
ფინანსური შუამავლობა	647,639	517,522	405,607
ვაჭრობა	555,035	391,881	341,519
სამთავრობო სამსახურები	438,492	102,530	141,007
მომსახურება	307,076	381,837	328,821
მშენებლობა	255,329	275,521	234,947
ტრანსპორტი და კომუნიკაცია	242,516	196,175	301,482
მრეწველობა	198,771	187,647	216,110
ელექტროენერგიის, გაზისა და წყლის მიწოდება	109,780	113,572	57,495
უძრავი ქონება	84,428	116,283	52,573
ჯანდაცვა და სოციალური სამსახური	68,846	45,461	106,916
ტურიზმი და დასვენება	41,703	21,424	18,413
სხვა	167,358	190,502	88,878
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	**6,815,768**	**5,546,947**	**4,752,210**

17. ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები

ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები შეადგენს:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
სესხები საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან	940,335	888,268	512,543
მოკლევადიანი სესხები საქართველოს ეროვნული ბანკისგან	793,528	1,085,000	307,200
ვადიანი დეპოზიტები და ბანკთაშორისი სესხები	211,174	125,018	267,666
საკორესპონდენტო ანგარიშები	209,499	333,155	92,753
სხვა სესხები*	386,426	408,771	14,547
სულ	**2,540,962**	**2,840,212**	**1,194,709**
არაკონვერტირებადი სუბორდინირებული ვალი	428,673	422,359	395,090
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	**2,969,635**	**3,262,571**	**1,589,799**

* სხვა ნასესხები თანხები მოიცავს აშშ დოლარში დენომინირებულ სესხებს სს “ბიჯეო ჯგუფისგან”, რომელთა დაფარვის ვადა დადგება 2023 წელს.

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან აშშ დოლარში დენომინირებულ სესხებზე ბანკმა გადაიხადა 6.27%-მდე (2016: 5.79%-მდე, 2016 წლის 1 იანვარი: 5.29%-მდე). 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის განმავლობაში, აშშ დოლარში დენომინირებულ სუბორდინირებულ სესხებზე ბანკმა გადაიხადა 8.92%-მდე (2016: 8.44%-მდე და 2016 წლის 1 იანვარი: 7.95%-მდე).

საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებიდან მიღებული გრძელვადიანი სესხებიდან ზოგიერთი მიღებულია გარკვეული პირობებით („კრედიტორის პირობები”), რომელთა ფარგლებში ბანკი ინარჩუნებს სხვადასხვა ლიმიტებს კაპიტალის ადეკვატურობასთან, ლიკვიდურობასთან, სავალუტო მდგომარეობასთან, კრედიტის ოდენობასთან, მარეგულირებელ ბერკეტებსა და სხვა საკითხებთან მიმართებაში. 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკს შესრულებული აქვს საერთაშორისო საკრედიტო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებთან დაკავშირებული კრედიტორის პირობების ყველა მოთხოვნა.

ცვლილებები ფინანსური აქტივობებიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში

	ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვრისთვის	**17,793**
დანარიცხი	17,793
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრისთვის	**17,793**
ფულადი გადახდები	(17,793)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**-**

18. სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები

სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
გამოშვებული ევროობლიგაციები	454,954	-	908,183
სადეპოზიტო სერტიფიკატები	240,039	153,145	32,762
სავალო ვალდებულებების სახით გამოშვებული ფასიანი ქაღალდები	**694,993**	**153,145**	**940,945**

2017 წლის 24 მაისს, ბანკმა განახორციელა 500 მილიონ ლარში დენომინირებული 11.00 %-იანი თამასუქების გამოშვება, რომელთა დაფარვის ვადაა 2020 წელი. რეგულაცია S/Rule 144A უპირატესი უზრუნველყოფის გარეშე არსებული თამასუქები გამოშვებულ იქნა და გაიყიდა მათი ძირითადი თანხის 100%-ის ემისიის ფასად. ეს ობლიგაციები კლასიფიცირებულია, როგორც BB- (Fitch) და Ba3 (Moody's). ეს ობლიგაციები წარმოდგენილია ირლანდიის საფონდო ბირჟაზე.

19. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული

ბანკის ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობისას წარმოშობილ სასამართლო პროცესებთან და საჩივრებთან მიმართებაში, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ამგვარ სასამართლო პროცესებთან დაკავშირებული ვალდებულება, თუ ასეთს ადგილი ექნება, არ იქონიებს არსებით უარყოფით გავლენას ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე, ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

ფინანსური და სხვა ვალდებულებები

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს შემდეგს:

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები			
გაცემული გარანტიები	602,364	429,929	448,254
გამოუყენებელი სასესხო სახსრები	232,337	209,558	246,503
აკრედიტივები	42,152	49,047	42,510
	876,853	**688,534**	**737,267**
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან			
არაუგვიანეს 1 წლისა	18,877	17,803	12,586
1 წლის შემდგომ, მაგრამ, არაუგვიანეს 5 წლისა	46,638	44,107	26,739
5 წლის შემდეგ	18,486	18,713	5,526
	84,001	**80,623**	**44,851**
კაპიტალური დანახარჯების ვალდებულება	**2,538**	**2,394**	**2,422**
გამოკლებული აკრედიტივებისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად ფლობილი ნაღდი ფული (შენიშვნა 16)	(98,034)	(95,760)	(62,925)
გამოკლებული რეზერვები	(2,816)	(3,008)	(2,243)

20. კაპიტალი

სააქციო კაპიტალი

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, გამოსაშვებად ნებადართული კაპიტალი მოიცავდა 43,308,125 ჩვეულებრივ აქციას, გამოშვებული სააქციო კაპიტალი მოიცავდა 27,821,150 ჩვეულებრივ აქციას, რომელთაგან სრულად გადახდილი იყო 27,821,150. თითოეული აქციის ნომინალური ღირებულებაა ერთი (1) ქართული ლარი. გამოშვებული და ბრუნვაში გაშვებული აქციები 2017 წლის 31 დეკემბრისათვის აღწერილია ქვემოთ:

	ჩვეულებრივი აქციების რაოდენობა	*ჩვეულებრივი აქციების ნომინალური თანხა*
1 იანვარი 2016	**27,821,150**	**27,821**
31 დეკემბერი 2016	**27,821,150**	**27,821**
31 დეკემბერი 2017	**27,821,150**	**27,821**

სახაზინო აქციები

2017 წლის 31 დეკემბრისთვის ბანკის მფლობელობაში არსებული სახაზინო აქციების რაოდენობა შეადგენდა 8,995 ცალს (2016 წლის 31 დეკემბერი: 8,995 ცალი, 2016 წლის 1 იანვარი: 2,543 ცალი).

2017 წლის 31 დეკემბრისთვის, 9 ლარის ნომინალური ღირებულების მქონე სახაზინო აქციები შეადგენს ბანკის მფლობელობაში არსებულ ბანკის აქციებს (2016 წლის 31 დეკემბერი: 9 ლარი, 2016 წლის 1 იანვარი: 3 ლარი).

დივიდენდები

აქციონერებს უფლება აქვთ მიიღონ დივიდენდი ლარში.

2016 წლის 29 ნოემბერს, სს საქართველოს ბანკის აქციონერთა ყოველწლიურ კრებაზე გამოცხადდა 2015 წლის შუალედური დივიდენდები, ერთ აქციაზე 3.59 ლარის ოდენობით. სულ 100,000 ლარის დივიდენდები მიღებული იქნა აქციონერების მიერ 2016 წლის 29 დეკემბერს.

2016 წლის 12 თებერვალს, სს საქართველოს ბანკის აქციონერთა ყოველწლიურ კრებაზე გამოცხადდა 2015 წლის საბოლოო დივიდენდები, ერთ აქციაზე 3.48 ლარის ოდენობით. სულ 100,597 ლარის დივიდენდები მიღებული იქნა აქციონერების მიერ 2016 წლის 15 მარტს.

სხვა რეზერვების შინაარსი და მიზნობრიობა

არარეალიზებული მოგება (ზარალი) საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე
ამ რეზერვში აღრიცხულია ცვლილებები საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სამართლიან ღირებულებაში.

საინვესტიციო ქონებაში გადატანილი ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი
ამ რეზერვში აღრიცხულია საინვესტიციო საკუთრებაში გადატანილი ძირითადი საშუალებების გადაფასების ეფექტი. ძირითადი საშუალებები გადაფასდება გადაცემის დღეს არსებულ სამართლიან ღირებულებაზე და გადაფასების შედეგად მიღებული ნებისმიერი მოგება ან დანაკარგი, რომელიც წარმოადგენს სხვაობას სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის, აღირიცხება, როგორც გადაფასების ნამეტი ან დეფიციტი კაპიტალში.

2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის ბოლოსთვის, სხვა რეზერვებში მოძრაობა წარმოდგენილია სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებებში.

მოგება ერთ აქციაზე

საბაზო და განზავებული მოგება ერთ აქციაზე	*2017*	*2016*	*2015*
ბანკის ჩვეულებრივი აქციონერების კუთვნილი წლიური მოგება	332,067	287,968	244,279
წლის განმავლობაში გამოშვებული ჩვეულებრივი აქციების საშუალო შეწონილი რაოდენობა	27,812,155	27,817,934	27,178,064
მოგება ერთ აქციაზე	11.9396	10.3519	8.9881

21. წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან

	2017	*2016*
საანგარიშსწორებო ოპერაციები	146,580	120,627
გარანტიები და აკრედიტივები	16,749	18,354
ფულადი სახსრებით ნაწარმოები ოპერაციები	14,906	14,001
სავალუტო ოპერაციები	274	404
სხვა	4,622	4,735
შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	**183,131**	**158,121**
საანგარიშსწორებო ოპერაციები	(61,236)	(46,287)
ფულადი სახსრებით ნაწარმოები ოპერაციები	(5,147)	(5,307)
გარანტიები და აკრედიტივები	(1,352)	(2,187)
საბროკერო მომსახურების გასამრჯელო	(206)	(227)
სავალუტო ოპერაციები	-	-
სხვა	(3,327)	(1,686)
გასამრჯელოსა და საკომისიოს ხარჯი	**(71,268)**	**(55,694)**
წმინდა შემოსავალი გასამრჯელოდან და საკომისიოდან	**111,863**	**102,427**

22. წმინდა შემოსავალი უძრავი ქონებიდან

	2017	*2016*
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	3,453	5,865
მოგება უძრავი ქონების გაყიდვიდან	4,630	2,911
შემოსავალი უძრავი ქონებიდან	**8,083**	**8,776**
ზარალი უძრავი ქონების გაყიდვიდან	(2,094)	(343)
წმინდა შემოსავალი უძრავი ქონებიდან	**5,989**	**8,433**

23. ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ხელფასები და ბონუსები მოიცავს წილობრივი ინსტრუმენტებით კომპენსაციის გეგმის ხარჯებს, 50,394 და 39,696 ლარის ოდენობით, 2017 წლის 31 დეკემბერსა და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის, შესაბამისად, რომელიც ეხება ბანკში დამტკიცებულ წილობრივი კომპენსაციის სქემას (შენიშვნები 25 და 29).

	2017	*2016*
იჯარა	(22,739)	(17,824)
მარკეტინგი და რეკლამა	(13,755)	(12,369)
რემონტი და ტექმომსახურება	(9,805)	(7,772)
იურიდიული და სხვა პროფესიული მომსახურება	(7,150)	(7,024)
საოპერაციო გადასახადები	(4,992)	(4,616)
საოფისე მოწყობილობა	(5,150)	(4,061)
კორპორაციული წამახალისებელი ღონისძიებები	(5,141)	(4,732)
კომუნიკაცია	(3,877)	(3,521)
პერსონალის ტრენინგი და ახალი თანამშრომლების აყვანა	(3,386)	(1,619)
დაზღვევა	(1,793)	(1,845)
უსაფრთხოება	(1,976)	(1,350)
სამგზავრო ხარჯები	(1,562)	(944)
საურავები	(49)	(17)
სხვა	(1,903)	(1,749)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**(83,278)**	**(69,443)**

23. ხელფასები და სხვა გადახდები თანამშრომლებისთვის, საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

აუდიტორის ანაზღაურება

ბანკის აუდიტორის ანაზღაურება 2017 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლებისთვის მოიცავს (დღგ-ს გარეშე):

	2017	*2016*
31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარჯი	428	423
დანახარჯები სხვა საგარანტიო მომსახურებებისთვის	592	149
დანახარჯები სხვა პროფესიული მომსახურებებისთვის	-	115
სულ გასამრჯელო და დანახარჯები	**1,020**	**688**

სხვა აუდიტორებისთვის ან აუდიტორული ფირმებისთვის გადასახდელი საკომისიოები და დანახარჯები მშობელი კომპანიისა და შვილობილი კომპანიების აუდიტისთვის შეადგენდა 192 ლარა (2016: 2 ლარი) დღგ-ს გარეშე.

24. წმინდა არაგანმეორებადი მუხლები

	2017	*2016*
Visa Inc.-სა და MasterCard-ის C და B კლასის აქციების გაყიდვიდან მიღებული მოგება	-	16,426
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდის მეკავშირე საწარმოში რეკლასიფიკაციის შედეგად მიღებული მოგება	-	9,626
სხვა არაგანმეორებადი შემოსავალი/მოგება	-	516
სულ არაგანმეორებადი შემოსავალი/მოგება	**-**	**26,568**
საქმიანობის შეწყვეტის / დაწყების კომპენსაციის ხარჯები	(868)	(12,643)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების სრული გამოსყიდვის შედეგად გამოწვეული დანაკარგი	-	(43,919)
სესხების დროზე ადრე გადახდის შედეგად გამოწვეული ზარალი	-	(6,979)
საკონსულტაციო ხარჯები	-	(5,258)
წინასწარ გადახდილი თანხების გაუფასურება	-	(2,205)
სხვა	(2,670)	(3,315)
სულ არაგანმეორებადი ხარჯი/ზარალი	**(3,538)**	**(74,319)**
წმინდა არაგანმეორებადი მუხლები	**(3,538)**	**(47,751)**

25. წილობრივი გადახდები

აღმასრულებელი პირების საკომპენსაციო პროგრამა

Sanne Fiduciary Services Limited (“the Trustee”) მოქმედებს, როგორც ბანკის აღმასრულებელი პირების წილობრივი ინსტრუმენტებით საკომპენსაციო გეგმის (“EECP”) რწმუნებული. ბანკი ახორციელებს შენატანებს აღნიშნულ კომპანიაში EECP-ის ფარგლებში გაცემულ ანაზღაურებასთან მიმართებაში. სს ბიჯეო ჯგუფს აქვს სამართლებრივი ვალდებულება, რომ დააკმაყოფილოს გადაცემები. საკომპენსაციო თანხების გადაცემისას, ბანკი მოქმედებს, როგორც მშობლისა და საბოლოო მშობლის აგენტი.

2017 წელს, ზემოთ აღწერილი წილობრივი ინსტრუმენტების საკომპენსაციო გეგმის ფარგლებში, ჯგუფის შიგნით ხარჯების დარიცხვის მიზნით, ბანკმა გააკეთა 125,270 ლარის შენატანი (2016: 119,465 ლარი).

2017 წლის თებერვალში, BGEO-ს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსათვის გადაეცა BGEO-ს 253,950 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო, ბანკის 19 აღმასრულებელი დირექტორისათვის გადაეცა BGEO-ს 70,550 ცალი ჩვეულებრივი აქცია. მმართველი საბჭოსთვის, სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა 19 აღმასრულებელი დირექტორისათვის გადაცემული აქციები ექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ორ-წლიან გადაცემას, მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში, და სამ-წლიან გადაცემას, აღმასრულებელი დირექტორების შემთხვევაში, და ერთადერთი პირობა, რაც ჩადებულია გადაცემაში, არის ის, რომ ბენეფიციარმა უნდა გააგრძელოს ბანკისთვის მუშაობა. ბანკი, 2017 წლის 28 თებერვალს, მიიჩნევს გადაცემის თარიღად. ბანკის შეფასებით, 2017 წლის 28 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 90.01 ლარი ერთ აქციაზე.

25. წილობრივი გადახდები (გაგრძელება)

2016 წლის თებერვალში, BGEO-ს ანაზღაურების კომიტეტმა გადაწყვიტა, მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოსათვის გადაეცა BGEO-ს 288,500 ცალი ჩვეულებრივი აქცია, ხოლო, ბანკის 19 აღმასრულებელი დირექტორისათვის გადაეცა BGEO-ს 52,600 ცალი ჩვეულებრივი აქცია. მმართველი საბჭოსთვის, სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა 19 აღმასრულებელი დირექტორისათვის გადაცემული აქციები ექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ორ-წლიან გადაცემას, მმართველი საბჭოსა და სამეთვალყურეო საბჭოს შემთხვევაში, და სამ-წლიან გადაცემას, აღმასრულებელი დირექტორების შემთხვევაში, და ერთადერთი პირობა, რაც ჩადებულია გადაცემაში, არის ის, რომ ბენეფიციარმა უნდა გააგრძელოს ბანკისთვის მუშაობა. ბანკი, 2016 წლის 12 თებერვალს, მიიჩნევს გადაცემის თარიღად. ბანკის შეფასებით, 2016 წლის 12 თებერვალს გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 57.83 ლარი ერთ აქციაზე.

2016 წლის ბოლოსა და ასევე, 2017 წელს, ახალი მმართველი საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ფიქსირებულ პირობით წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ კომპენსაციის ხელშეკრულებებს, BGEO-ს 141,000 ჩვეულებრივ აქციასთან დაკავშირებით. თითოეული ხელმძღვანელისთვის ფიქსირებული აქციების მთლიანი მოცულობა გადანაწილდება სამ თანაბარ ნაწილად, 3 თანმიმდევრული წლის განმავლობაში, დაწყებული 2018 წლის იანვრიდან, საიდანაც თითოეული გადაცემა დაექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ოთხწლიან პერიოდს. ბანკი, 2016 წლის 11 ოქტომბერს, 2016 წლის 18 ოქტომბერსა და 2017 წლის 1 მარტს, განიხილავს გადაცემის თარიღებად. ბანკის შეფასებით, 2015 წლის 31 დეკემბერს და 2016 წლის 6 სექტემბერს, აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 68.30 და 90.22 ლარი, შესაბამისად.

2015 წლის ბოლოსა და ასევე, 2016 წელს, ახალი მმართველი საბჭოს წევრებმა ხელი მოაწერეს ახალ სამწლიან ფიქსირებულ პირობით წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ კომპენსაციის ხელშეკრულებებს, BGEO-ს 225,000 ჩვეულებრივ აქციასთან დაკავშირებით. თითოეული ხელმძღვანელისთვის ფიქსირებული აქციების მთლიანი მოცულობა გადანაწილდება სამ თანაბარ ნაწილად, 3 თანმიმდევრული წლის განმავლობაში, დაწყებული 2017 წლის იანვრიდან, საიდანაც თითოეული გადაცემა დაექვემდებარება მფლობელობაში შესვლის ოთხწლიან პერიოდს. ბანკი, 2015 წლის 30 დეკემბერსა და 2016 წლის 6 სექტემბერს, განიხილავს გადაცემის თარიღებად. ბანკის შეფასებით, 2015 წლის 30 დეკემბერს და 2016 წლის 6 სექტემბერს, აქციების სამართლიანი ღირებულება იყო 68.30 და 90.22 ლარი, შესაბამისად.

ბანკი გასცემს წილობრივ კომპენსაციას თავის საშუალო რგოლის თანამშრომლებზეც. 2017 წლის თებერვალსა და 2016 წლის თებერვალში, ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ გადაწყვიტა გადაეცა 131,710 და 91,851 ცალი ჩვეულებრივი აქცია თავისი საშუალო რგოლის თანამშრომლობისთვის, შესაბამის წლებში. ყველა ეს გადაცემა ექვემდებარება სამწლიან მფლობელობის გადაცემის პერიოდს, და ერთადერთი პირობა, რაც ჩადებულია გადაცემაში, არის ის, რომ ბენეფიციარმა უნდა გააგრძელოს ბანკისთვის მუშაობა. ბანკი, 2017 წლის 28 თებერვალსა და 2016 წლის 12 თებერვალს, მიიჩნევს აქციების გადაცემის თარიღად, შესაბამისად. ბანკის შეფასებით, 2017 წლის 28 თებერვალს და 2016 წლის 12 თებერვალს, აქციების გადაცემისას, მათი სამართლიანი ღირებულება იყო 90.01 და 57.83 ლარი ერთ აქციაზე, შესაბამისად.

შეჯამება

შეფასების თარიღისათვის, გადაცემული აქციების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება არსებულ საბაზრო კოტირებებზე დაყრდნობით.

წილობრივი გადახდების საშუალო შეწონილი სამართლიანი ღირებულება, გადაცემის თარიღისათვის, შეადგენდა 89.79 ლარს ერთ აქციაზე, 2017 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (2016 წლის 31 დეკემბერი: 66.60 ლარი ერთ აქციაზე, 2016 წლის 1 იანვარი: 58.68 ლარი ერთ აქციაზე)

ბანკის მთლიანი წილობრივი გადახდების ხარჯი 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის შეადგენდა 50,393 ლარს (2016 წლის 31 დეკემბერი: 39,696) და შეტანილია „ხელფასებსა და სხვა გადახდებში თანამშრომლებისთვის”, როგორც „ხელფასები და პრემიები”.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი წილობრივი გადახდების შესაბამისი მონაცემების შეჯამება:

	2017	*2016*
გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტების მთლიანი რაოდენობა*	597,210	657,951
– მათ შორის, ხელმძღვანელობის ზედა რგოლისა და დირექტორთა საბჭოსთვის	*394,950*	*513,500*
საშუალო შეწონილი ღირებულება ერთ აქციაზე, გადაცემის დღეს (ლარში, სრული მოცულობით)	89.79	66.60
ღირებულება გადაცემის დღეს, სულ (ლარი)	**53,626**	**43,821**
წლის განმავლობაში ასახული ხარჯი, სულ (ლარი)	**(50,393)**	**(39,696)**

26. რისკის მართვა

შესავალი

რისკი საბანკო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ, ის იმართება მუდმივი იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესებით, სადაც ჩადებულია რისკის ზღვრები და სხვა კონტროლები. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ბანკის განგრძობითი მომგებიანობისათვის და თითოეული პირი ბანკში პასუხისმგებელია იმ რისკებზე, რომლებიც მისი პასუხისმგებლობის ქვეშაა. ბანკისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია: საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა სავაჭრო და არასავაჭრო რისკებად. ბანკისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკი.

დამოუკიდებელი რისკების კონტროლის პროცესი არ ითვალისწინებს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა, გარემოსთან, ტექნოლოგიურ და ინდუსტრიულ ცვლილებებთან დაკავშირებული რისკები. მათი მონიტორინგი ხორციელდება ბანკის სტრატეგიული დაგეგმარების პროცესის ფარგლებში.

რისკის მართვის სტრუქტურა

<u>აუდიტის კომიტეტი</u>
აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი ორგანო და პირდაპირ კონტროლდება საბჭოს მიერ. კომიტეტი სრულად არის პასუხისმგებელი რისკის შეფასების და რისკის შერბილების სტრატეგიის შემუშავებასა და განხორციელების პრინციპებზე, სტრუქტურაზე, პოლიტიკასა და საზღვრებზე. აუდიტის კომიტეტი პასუხისმგებელია ძირითად რისკის საკითხებზე და მართავს და ამოწმებს რისკთან დაკავშირებულ შესაბამის გადაწყვეტილებებს, მათ შორის, და არა მხოლოდ: მაკროეკონომიკური და გარემოსდაცვითი რისკები, საერთო კონტროლირებადი გარემო, ხელით და მოწყობილობით მართული კონტროლები, განზრახ ან უნებლიე შეცდომების რისკი, თაღლითობის რიკი ან აქტივების უკანონოდ მითვისების რისკი, ინფორმაციის უსაფრთხოება, ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა, საინფორმაციო და ტექნოლოგიური რისკები, სხვა.

<u>რისკის კომიტეტი</u>
რისკის კომიტეტი პასუხისმგებელია უზრუნველყოს, რომ ბანკის რისკის აპეტიტი და მოცულობა იმართება, სტრატეგიის ფარგლებში, რომელთან შესაბამისობაშიც უნდა იყოს რისკის სტრატეგია და აპეტიტი; გააანალიზოს და შეატყობინოს საბჭოს მიმდინარე და შესაძლო რისკების მოცულობის შესახებ; თვალყური მიადევნოს და დააკვირდეს ხელმძღვანელობის მიერ რისკის სტრატეგიის შესაბამისად ბანკის რისკის საფრთხეების მოგვარებას; შეამოწმოს ბანკის რისკის მართვის სტრუქტურის ეფექტურობა და შიდა კონტროლის სისტემები (გარდა შიდა ფინანსური კონტროლის სისტემებისა, რომელზეც პასუხისმგებელია BGEO-ს აუდიტის კომიტეტი); შეაფასოს ბანკში რისკის მართვის ფუნქციისა და რისკის ანგარიშგების ადეკვატურობა და ხარისხი; უზრუნველყოფს, რომ რისკი სათანადოდ იყოს განხილული ბანკის ანაზღაურების პოლიტიკაში; თვალყური ადევნოს რისკის მართვასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას მთლიანი მმართველი სტრუქტურის ფარგლებში; განიხილოს და დაამტკიცოს ბანკის რისკის მართვის პოლიტიკა.

<u>მმართველი საბჭო</u>
მმართველი საბჭო პასუხისმგებელია რისკის მთლიან მონიტორინგზე ბანკის ფარგლებში, რეგულარული დავალებების გადაცემით, სხვადასხვა აღმასრულებელი კომიტეტების შექმნით, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე, შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნით, მათი განხორციელების კონტროლით, და შესაბამისი დეპარტამენტებისა და კომიტეტების საქმიანობისთვის თვალყურის დევნებით.

<u>ბანკის აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი</u>
ბანკის აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი არის ძირითადი რისკის მართვის ორგანო. ის პასუხისმგებელია ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების, და მათთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ასევე, ბანკის მთლიანი ფინანსური სტრუქტურის მართვაზე. ის ასევე პასუხისმგებელია დაფინანსებაზე, კაპიტალის ადეკვატურობის რისკზე, ლიკვიდურობის რისკებსა და ბანკის მარკეტინგულ რისკებზე.

<u>შიდა აუდიტი</u>
ბანკის მასშტაბით, რისკის მართვის პროცესები მოწმდება ყოველწლიურად, შიდა აუდიტის მიერ, რომელიც ამოწმებს როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ისე, ბანკის პროცედურებთან შესაბამისობას. შიდა აუდიტი ყველა შეფასების შედეგს განიხილავს ხელმძღვანელობასთან, და წარუდგენს თავის დასკვნებსა და რეკომენდაციებს აუდიტის კომიტეტს.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

შესავალი (გაგრძელება)

რისკების შეფასებისა და ანგარიშგების სისტემები

ბანკის რისკების შეფასება ხორციელდება იმ მეთოდის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს ჩვეულებრივ ვითარებაში წარმოქმნილ მოსალოდნელ დანაკარგებსა და გაუთვალისწინებელ ზარალს, რომელიც ფასდება წარსულში წარმოშობილი ზარალის სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე. მოდელი იყენებს ალბათობას ისტორიულ გამოცდილობაზე დაყრდნობით, რომელიც კორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გათვალისწინებით. ბანკი განიხილავს სამ სხვადასხვა სცენარს, რომელთაგან ერთ-ერთი არის საბაზისო სცენარი (პროგნოზირება ნორმალური ბიზნეს გარემოს შემთხვევაში), დანარჩენი ორი კი არის პრობლემატური და სტრესული სცენარები, რომლებიც არის უარესი და ყველაზე ცუდი სცენარები, შესაბამისად, რომლებიც მაშინ მოხდება, როცა ყველაზე მოულოდნელი უკიდურესი შემთხვევები რეალურად განხორციელდება.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უპირატესად ხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების საფუძველზე. აღნიშნული ლიმიტები ასახავს როგორც ბანკის ბიზნეს სტრატეგიასა და საბაზრო პირობებს, ისე ბანკისათვის მისაღები რისკის დონეს, შესაბამის სექტორებზე დამატებითი აქცენტის გაკეთებით. გარდა ამისა, ბანკი აკონტროლებს და აფასებს რისკის მოცულობას თითოეული სახის რისკსა და საქმიანობასთან მიმართებაში.

ნებისმიერ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შემოწმება ხდება ანალიზის, კონტროლისა და ადრეული რისკების იდენტიფიცირების მიზნით. აღნიშნული ინფორმაციის და ახსნა-განმარტებების წარდგენა ხდება დირექტორთა საბჭოსათვის და თითოეული განყოფილების ხელმძღვანელისათვის. ანგარიში მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა, აგრეგირებული საკრედიტო რისკი, ლიმიტებთან დაკავშირებული გამონაკლისები, ლიკვიდობის კოეფიციენტები და რისკთან დაკავშირებული ცვლილებები. ზედა რგოლის ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს საკრედიტო ზარალების რეზერვის ადეკვატურობას. თვეში ერთხელ, მმართველ საბჭოს ეგზავნება საკრედიტო რისკის ანგარიში და აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტის ანგარიში. ეს ანგარიშები მოიცავს ბანკის რისკების შეფასებისა და განსაზღვრისათვის აუცილებელ ინფორმაციას.

ბანკში თითოეულ რგოლს ეგზავნება სპეციალურად შედგენილი რისკების ანგარიში, რათა თითოეულ ბიზნეს ერთეულს მიუწვდებოდეს ხელი დეტალურ, აუცილებელ და განახლებულ ინფორმაციაზე.

ყოველდღიურად, მმართველ საბჭოსა და ბანკის სხვა შესაბამის თანამშრომლებს მიეწოდებათ მოკლე მიმოხილვა საბაზრო ლიმიტების გამოყენების, ქონებრივი ინვესტიციების და ლიკვიდურობის, ასევე, სხვა რისკების განვითარების საკითხების ირგვლივ.

რისკის შერბილება

ბანკის რისკების მართვის სტრატეგიის ნაწილს წარმოადგენს წარმოებული და სხვა ინსტრუმენტების გამოყენება, რათა მართონ პოზიციები, როცა იცვლება საპროცენტო განაკვეთები, გაცვლითი კურსები, კაპიტალის რისკები, საკრედიტო რისკები და, ასევე, მართონ მოსალოდნელი ოპერაციებიდან წარმოშობილი პოზიციები. თუმცა, აღნიშნული ინსტრუმენტები გამიზნულია ჰეჯირებისთვის, ჰეჯირების აღრიცხვის პრინციპს ისინი არ ექვემდებარებიან.

საკრედიტო რისკის შემცირების მიზნით ბანკი აქტიურად იყენებს უზრუნველყოფას (უფრო დეტალური ინფორმაცია იხილეთ ქვემოთ).

ჭარბი რისკის კონცენტრაცია

რისკის კონცენტრაციას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც კონტრაჰენტები ჩართულნი არიან მსგავს ბიზნეს საქმიანობაში, საქმიანობას ეწევიან ერთსა და იმავე გეოგრაფიულ რეგიონში, ან აქვთ მსგავსი ეკონომიკური მდგომარეობა და ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვა ცვლილებები თანაბარ გავლენას ახდენს სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების უნარზე. კონცენტრაცია მიუთითებს იმაზე, რომ ბანკი შედარებით მგრძნობიარე იქნება კონკრეტულ სფეროში თუ გეოგრაფიულ ნაწილში მიმდინარე ცვლილებების მიმართ.

ჭარბი რისკების თავიდან ასაცილებლად, ბანკის პოლიტიკა და პროცედურები მოიცავს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ როგორც ფინანსური აქტივების, ასევე, ფინანსური ვალდებულებების დივერსიფიცირებული პორტფელის უზრუნველყოფაზე. საკრედიტო რისკების ან ლიკვიდურობის / გადახდის რისკების იდენტიფიცირებული კონცენტრაციები კონტროლდება და იმართება შესაბამისად.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ბანკს წარმოექმნება ზარალი თავისი კლიენტების, მეანაბრეთა ან პარტნიორების მიერ მათი საკონტრაქტო ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. ბანკი მართავს და აკონტროლებს საკრედიტო რისკს, რისკის მოცულობაზე ისეთი ლიმიტების დადგენით, რომლებიც მისთვის მისაღებია ინდივიდუალური კონტრაგენტების ჭრილში, ასევე, გეოგრაფიული, სექტორული, პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციის ფარგლებში, და ამ ლიმიტების შესაბამისი პოზიციების მონიტორინგით.

ბანკში დანერგილია საკრედიტო ხარისხის განხილვის პროცედურა, რათა დროულად მოხდეს შეთანხმებული მხარეების კრედიტუნარიანობის შესაძლო ცვლილების იდენტიფიცირება, რომელიც გულისხმობს რეგულარულ უზრუნველყოფის გადახედვასაც. საკრედიტო რისკის კლასიფიცირების სისტემის გამოყენებით, ბანკი აწესებს ლიმიტებს კონტრაგენტებისთვის, რომელთა მეშვეობითაც თითოეულ კონტრაგენტს ენიჭება საკრედიტო რეიტინგი. რისკის რეიტინგები ექვემდებარება რეგულარულ შემოწმებას.

საკრედიტო ხარისხის შემოწმების პროცესი საშუალებას აძლევს ბანკს, შეაფასოს მოსალოდნელი ზარალი იმ რისკებიდან, რომლებთა წინაშეც ის დგას და განახორციელოს გამოსასწორებელი ღონისძიებები. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა შემოიფარგლება შესაბამისი ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებით.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკი, ნებისმიერ დროს, ეხება მხოლოდ იმათ, რომლებიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილია დადებითი სამართლიანი ღირებულებით.

საკრედიტო ვალდებულებების რისკი

ბანკი მომხმარებელს აძლევს გარანტიას, რომლის თანახმადაც, ბანკმა შესაძლოა კლიენტის სახელით გადაიხადოს თანხები. აღნიშნული თანხების მიღება ხდება მომხმარებელთაგან აკრედიტივის პირობების საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ბანკი დგას სესხებთან დაკავშირებული ანალოგიური რისკების წინაშე და მათი შემცირება ხდება კონტროლის იდენტური პროცედურებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის მართვა ხდება ბანკის შიდა საკრედიტო რეიტინგებით. ქვემოთ მოყვანილია საკრედიტო ხარისხი, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი სესხებთან დაკავშირებული მუხლების შესაბამისი აქტივების კლასების მიხედვით, ბანკის საკრედიტო სისტემაზე დაყრდნობით.

31 დეკემბერი 2017	*შენიშვნები*	*არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული*			*ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული*	*სულ*
		მაღალი შეფასება	*სტანდარტული შეფასება*	*სტანდარტულზე დაბალი შეფასება*		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	1,205,844	-	-	-	1,205,844
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	1,540,143	-	-	-	1,540,143
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
კომერციული სესხები		1,753,679	100,967	359	294,231	2,149,236
სამომხმარებლო სესხები		1,576,185	26,976	31,600	99,990	1,734,751
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		1,532,066	22,924	19,741	62,626	1,637,357
იპოთეკური სესხები		1,619,638	28,961	19,783	44,133	1,712,515
ოქროს გირავნობით გაცემული სესხები		65,865	-	-	2,075	67,940
		6,547,433	**179,828**	**71,483**	**503,055**	**7,301,799**
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		6,698	-	-	-	6,698
სულ		**9,300,118**	**179,828**	**71,483**	**503,055**	**10,054,484**

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)

31 დეკემბერი 2016	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული: მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული	სულ
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	936,925	-	-	-	936,925
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	1,198,882	-	-	-	1,198,882
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
კომერციული სესხები		1,627,212	145,962	226	461,629	2,235,029
სამომხმარებლო სესხები		1,240,665	16,948	23,511	75,951	1,357,075
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		1,206,270	33,106	23,732	83,233	1,346,341
იპოთეკური სესხები		1,134,266	49,285	15,052	35,573	1,234,176
ოქროს გირავნობით გაცემული სესხები		56,977	-	-	3,708	60,685
		5,265,390	**245,301**	**62,521**	**660,094**	**6,233,306**
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		123	-	-	-	123
სულ		**7,401,320**	**245,301**	**62,521**	**660,094**	**8,369,236**

1 იანვარი 2016	შენიშვნები	არც ვადაგადაცილებული და არც გაუფასურებული: მაღალი შეფასება	სტანდარტული შეფასება	სტანდარტულზე დაბალი შეფასება	ვადაგადაცილებული ან ინდივიდუალურად გაუფასურებული	სულ
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	7	718,464	-	-	-	718,464
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	8	901,945	-	-	-	901,945
კლიენტებზე გაცემული სესხები:	9					
კომერციული სესხები		1,722,903	128,904	49,711	346,192	2,247,710
სამომხმარებლო სესხები		1,046,052	18,054	22,045	69,804	1,155,955
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები		854,878	18,559	7,710	22,717	903,864
იპოთეკური სესხები		750,455	22,033	11,223	30,633	814,344
ოქროს გირავნობით გაცემული სესხები		61,140	-	-	-	61,140
		4,435,428	**187,550**	**90,689**	**469,346**	**5,183,013**
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან		2,292	-	-	-	2,292
სულ		**6,058,129**	**187,550**	**90,689**	**469,346**	**6,805,714**

კლიენტებზე გაცემული ვადაგადაცილებული სესხები, რომელთა ვადიანობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ, არის სესხები, რომელთა ვადაგადაცილება შეადგენს მინიმუმ ერთ დღეს და არ არის გაუფასურებული.

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, ბანკი უნდა ფლობდეს სათანადო და ზუსტ რისკის რეიტინგებს საკრედიტო პორტფელთან მიმართებაში. აღნიშნული მოითხოვს შესაბამისი რისკების მართვას და საკრედიტო რისკების შედარებას ყველა სახის საქმიანობისათვის, გეოგრაფიული რეგიონებისა თუ პროდუქციისათვის. კონტრაგენტის რისკის გაზომვის მიზნებისთვის, რეიტინგების სისტემა მოიცავს ფინანსურ ანალიზს. შიდა რეიტინგები დაყოფილია კატეგორიებად, ბანკის სარეიტინგო პოლიტიკაზე დაყრდნობით. რისკის რეიტინგების შეფასება და განახლება რეგულარულად ხდება.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის შეფასების პოლიტიკა იმ ფინანსური აქტივებისათვის, რომლებიც არც ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურადაა გაუფასურებული, ბანკის მიერ ასე განისაზღვრება:

- ფინანსური აქტივი, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის არც ვადაგადაცილებულია და არც ინდივიდუალურად გაუფასურებული, მაგრამ, ისტორიულად, იყო არაუმეტეს 30 დღით ვადაგადაცილებული, შეფასებულია მაღალი რეიტინგის მქონე ფინანსურ აქტივად;
- ფინანსური აქტივი, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის, არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მაგრამ, ისტორიულად ჰქონდა 30 დღეზე მეტი, მაგრამ 60 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება, შეფასებულია სტანდარტული რეიტინგის მქონე ფინანსურ აქტივად; ფინანსური აქტივი, რომელიც ანგარიშგების თარიღისათვის, არც ვადაგადაცილებულია და არც გაუფასურებული, მაგრამ, ისტორიულად 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული იყო, ან თუ მსესხებელს გააჩნია დამატებით 60 დღეზე მეტად ვადაგადაცილებული ერთი სესხი მაინც, ანგარიშგების თარიღისათვის, შეფასებულია სტანდარტულზე დაბალი რეიტინგის მქონე ფინანსურ აქტივად.

ვადაგადაცილებული, მაგრამ არგაუფასურებული სესხების ვადიანობის ანალიზი, ფინანსური აქტივების ტიპების მიხედვით

31 დეკემბერი 2017	*30 დღეზე ნაკლები*	*31-დან 60 დღემდე*	*61-დან 90 დღემდე*	*90 დღეზე მეტი*	*სულ*
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	42,250	15,035	12,321	28,885	98,491
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	7,466	8,822	4,777	17,875	38,940
იპოთეკური სესხები	14,446	4,969	2,144	7,903	29,462
კომერციული სესხები	1,487	452	208	200	2,347
სულ	**65,649**	**29,278**	**19,450**	**54,863**	**169,240**

31. დეკემბერი 2016	*30 დღეზე ნაკლები*	*31-დან 60 დღემდე*	*61-დან 90 დღემდე*	*90 დღეზე მეტი*	*სულ*
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	34,023	10,921	9,349	20,907	75,200
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	19,997	9,489	6,479	28,763	64,728
იპოთეკური სესხები	10,074	4,472	1,840	7,319	23,705
კომერციული სესხები	10,235	4,558	387	1,597	16,777
სულ	**74,329**	**29,440**	**18,055**	**58,586**	**180,410**

1 იანვარი 2016	*30 დღეზე ნაკლები*	*31-დან 60 დღემდე*	*61-დან 90 დღემდე*	*90 დღეზე მეტი*	*სულ*
კლიენტებზე გაცემული სესხები:					
სამომხმარებლო სესხები	29,151	8,498	6,930	23,704	68,283
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	5,158	3,513	1,000	2,889	12,560
იპოთეკური სესხები	7,594	1,207	908	5,023	14,732
კომერციული სესხები	21,726	1,227	20	1,470	24,443
სულ	**63,629**	**14,445**	**8,858**	**33,086**	**120,018**

იხილეთ მე-9 შენიშვნა, ფინანსური იჯარის მოთხოვნების და კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვთან დაკავშირებით უფრო დეტალური ინფორმაციისათვის.

ბანკი განსაკუთრებით აკონტროლებს 90 დღეზე მეტი ხნით ვადაგადაცილებული სესხების მდგომარეობას. ასეთი კრედიტების საბალანსო ღირებულება (ე.ი. საბალანსო ღირებულება გაუფასურების რეზერვის დაქვითვამდე) შეადგენდა 244,443 ლარს, 256,588 ლარსა და 143,225 ლარს, 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

იმ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, რომელთა პირობებიც ხელახლა შეთანხმებულია

წინამდებარე ცხრილი გვიჩვენებს ხელახლა შეთანხმებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას, კლასების მიხედვით.

	2017	*2016*	*1 იანვარი 2016*
კლიენტებზე გაცემული სესხები:			
კომერციული სესხები	101,412	232,881	139,564
მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოებზე გაცემული სესხები	44,264	34,904	19,452
იპოთეკური სესხები	44,058	38,757	28,594
სამომხმარებლო სესხები	39,318	29,802	18,224
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	-	-	-
სულ	**229,052**	**336,344**	**205,834**

გაუფასურების შეფასება

სესხის გაუფასურების შეფასებისას გასათვალისწინებელია: ვადაგადაცილებულია თუ არა ძირითადი თანხის ან მასზე დარიცხული პროცენტის ნებისმიერი გადახდა, რამდენიმე დღით, ან თუ ცნობილია რაიმე სირთულეები კონტრაგენტის ფულად ნაკადებში, შეინიშნება თუ არა საკრედიტო რეიტინგის კლება, ან კონტრაქტის თავდაპირველი პირობების დარღვევა. ბანკი ახორციელებს გაუფასურების შეფასებას ორი მიმართულებით: ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები და კოლექტიურად შეფასებული რეზერვები. სესხები ინდივიდუალურად გაუფასურებულია, თუ ისინი გადავადებულია რამდენიმე დღეზე მეტით, როგორც ეს აღწერილია ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით, ან ვალის მომსახურების ისტორია დარღვეულია კონკრეტული პროცენტული მაჩვენებლით, როგორც ეს აღწერილია ბანკის მეთოდოლოგიის მიხედვით, ან დადგენილია ნებისმიერი სხვა სახის დარღვევა. ყველა ასეთი გაუფასურება სესხებზე შეფასებულია ინდივიდუალურად, და არა ბანკის კოლექტიური გაუფასურების შეფასების მოდელის გამოყენებით.

ინდივიდუალურად შეფასებული რეზერვები

სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის განსაზღვრის მიზნით, ბანკი განიხილავს ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვან კრედიტებს და აკლასიფიცირებს მათ, როგორც ინდივიდუალურად გაუფასურებულებს და არგაუფასურებულებს. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი სესხებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიიჩნევა, რეზერვი დაითვლება სათანადო საკრედიტო რეიტინგის ინდივიდუალურად განხილვის საფუძველზე. არამნიშვნელოვანი სესხების რეზერვი, რომლებიც ასევე ინდივიდუალურად გაუფასურებულად მიიჩნევა, ასევე, ინდივიდუალურად იქნება განხილული. ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი კრედიტებისთვის, რომლებიც არ მიიჩნევა ინდივიდუალურად გასაუფასურებლად, მოქცევა კოლექტიური შეფასების ფარგლებში, რომელიც აღწერილია ქვემოთ. რეზერვის მოცულობის განსაზღვრისას გათვალისწინებული პუნქტები მოიცავს: პარტნიორის ბიზნეს გეგმის მდგრადობას, მის უნარს გამოასწოროს მდგომარეობა ფინანსური სირთულეების წარმოქმნის შემთხვევაში, გაკოტრების შემთხვევაში მოსალოდნელ მისაღებ თანხებსა და გადასახდელ დივიდენდებს, სხვა ფინანსური დახმარების ხელმისაწვდომობას და უზრუნველყოფის რეალიზებად ღირებულებას, მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების პერიოდებს და მსესხებლის საკრედიტო ისტორიას. გაუფასურების ზარალები გადაიანგარიშება თითოეულ საანგარიშგებო თარიღზე, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები არ მოითხოვს უფრო მეტ ყურადღებას.

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები

რეზერვების შეფასება კოლექტიურად ხდება იმ სესხებიდან წარმოშობილი ზარალისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის არსებითი (საკრედიტო ბარათების, იპოთეკური სესხისა და უზრუნველყოფის გარეშე სამომხმარებლო სესხების ჩათვლით) და იმ სესხებისათვის, რომლებიც ინდივიდუალურად არსებითია, მაგრამ, არ არსებობს ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. რეზერვების შეფასება ხდება საანგარიშგებო თარიღით, ყველა ცალკეული პორტფელისათვის.

კოლექტიური შეფასება ითვალისწინებს გაუფასურებას, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს პორტფელში, იმისდა მიუხედავად, არსებობს თუ არა ინდივიდუალური გაუფასურების ობიექტური საფუძველი. გაუფასურების ხარჯის შეფასებისას მხედველობაში მიიღება: პორტფელის ისტორიული ზარალი, მიმდინარე ეკონომიკური პირობები, დროის სხვაობა ზარალის წარმოშობასა და მის იდენტიფიცირებას შორის, ინდივიდუალური გაუფასურების რეზერვის და გაუფასურების შემდგომი ამოღების გათვალისწინებით. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღნიშნულ პერიოდს, რომელმაც შესაძლოა ერთი წელი შეადგინოს. შემდეგ ხდება გაუფასურების რეზერვის გადახედვა საკრედიტო მართვის სამსახურის მიერ, ბანკის ზოგად პოლიტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კოლექტიურად შეფასებული რეზერვები (გაგრძელება)

ფინანსური გარანტიებისა და აკრედიტივების შეფასება და მათთვის რეზერვის შექმნა ხდება სესხების ანალოგიურად.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია მოცემულია ქვემოთ:

	2017			
	საქართველო	*ეგთო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*
აქტივები:				
ფული და ფულის ეკვივალენტები	475,065	921,612	5,204	1,401,881
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	1,023,145	182,699	-	1,205,844
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	980,876	559,468	-	1,540,344
კლიენტებზე გაცემული სესხები	7,063,894	-	-	7,063,894
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	6,603	-	-	6,603
ქველა სხვა აქტივი	870,829	4,271	9	875,109
	10,420,412	**1,668,050**	**5,213**	**12,093,675**
ვალდებულებები:				
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	5,358,184	662,957	794,627	6,815,768
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	1,449,742	1,462,523	57,370	2,969,635
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	694,993	-	694,993
ქველა სხვა ვალდებულება	76,530	152	45	76,727
	6,884,456	**2,820,625**	**852,042**	**10,557,123**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**3,535,956**	**(1,152,575)**	**(846,829)**	**1,536,552**

	2016				*1 იანვარი 2016*			
	საქართველო	*ეგთო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*	*საქართველო*	*ეგთო*	*დსთ და სხვა უცხო ქვეყნები*	*სულ*
აქტივები:								
ფული და ფულის ეკვივალენტები	608,000	806,945	5,021	1,419,966	568,760	647,192	50,425	1,266,377
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	933,638	3,287	-	936,925	619,670	95,100	3,694	718,464
გასაყიდად ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	912,345	286,832	-	1,199,177	823,193	79,047	-	902,240
კლიენტებზე გაცემული სესხები	6,021,634	-	-	6,021,634	5,005,169	-	-	5,005,169
მოთხოვნები ფინანსური იჯარიდან	122	-	-	122	2,272	-	-	2,272
ქველა სხვა აქტივი	732,482	79	60	732,621	681,117	-	39,660	720,777
	9,208,221	**1,097,143**	**5,081**	**10,310,445**	**7,700,181**	**821,339**	**93,779**	**8,615,299**
ვალდებულებები:								
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	4,155,332	673,290	718,325	5,546,947	3,632,837	592,669	526,704	4,752,210
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	1,767,392	1,385,089	110,090	3,262,571	430,038	1,030,291	129,470	1,589,799
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	153,145	-	153,145	-	940,945	-	940,945
ქველა სხვა ვალდებულება	71,348	-	-	71,348	79,337	-	39,660	118,997
	5,994,072	**2,211,524**	**828,415**	**9,034,011**	**4,142,212**	**2,563,905**	**695,834**	**7,401,951**
წმინდა საბალანსო პოზიცია	**3,214,149**	**(1,114,381)**	**(823,334)**	**1,276,434**	**3,557,969**	**(1,742,566)**	**(602,055)**	**1,213,348**

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს იმის რისკს, რომ ბანკი ვერ დაფარავს თავის ფინანსურ ვალდებულებებს ვადის დადგომისას, ჩვეულებრივ, თუ სტრესულ ვითარებაში. აღნიშნული რისკის შემცირების მიზნით, ხელმძღვანელობას თავის ძირითად დეპოზიტებთან ერთად, გააჩნია სხვადასხვა დაფინანსების წყარო. ბანკი ახდენს აქტივების ლიკვიდურობასთან მიმართებაში მართვას და სამომავლო ფულადი ნაკადების და ლიკვიდურობის ყოველდღიურ მონიტორინგს. აღნიშნული მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადების შეფასებას და იმგვარი უზრუნველყოფის არსებობას, რომლის გამოყენებაც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დამატებითი დაფინანსებისათვის.

ბანკი ინარჩუნებს ბაზარზე ფართოდ კოტირებულ და დივერსიფიცირებულ სხვადასხვა აქტივების პორტფელს, რომელთა ლიკვიდაციაც მარტივად არის შესაძლებელი ფულადი ნაკადების მიზნებისათვის გაუთვალისწინებელ შემთხვევებში. ლიკვიდურობის მიზნებისთვის, ბანკს შეუძლია საკრედიტო ხაზების გამოყენება. დამატებით, ბანკი ფლობს იმგვარ დეპოზიტს (სავალდებულო რეზერვი) სებ-ში, რომლის მოცულობა დამოკიდებულია მოზიდულ სახსრებზე.

ბანკის მიერ ლიკვიდურობის დონის შეფასება და მართვა ხდება სებ-ის მიერ ბანკისათვის დაწესებული ლიკვიდურობის კოეფიციენტის საფუძველზე. სებ-ის მოთხოვნით, ლიკვიდურობის კოეფიციენტი მინიმალური მაჩვენებელი არის 30%, გაანგარიშებული, როგორც საშუალო ლიკვიდური აქტივები თვის განმავლობაში (განსაზღვრული სებ-ის მიერ) გაყოფილი იმავე თვის ვალდებულებებზე (სებ-ის მიერ განსაზღვრული გარკვეული გამონაკლისებით). 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ეს შეფარდებები იყო შემდეგი:

	2017, %	*2016, %*	*1 იანვარი 2016, %*
ლიკვიდურობის საშუალო კოეფიციენტი	39.8%	43.6%	38.1%
ლიკვიდურობის მაქსიმალური კოეფიციენტი	47.0%	62.5%	48.0%
ლიკვიდურობის მინიმალური კოეფიციენტი	31.3%	34.1%	28.9%

ლიკვიდურობის საშუალო კოეფიციენტი გამოითვლება სს “საქართველოს ბანკისათვის” განცალკევებულად, როგორც დღიური ლიკვიდურობის კოეფიციენტის წლიური საშუალო არითმეტიკული, სებ-ის მიერ განსაზღვრული ლიკვიდური აქტივებისა და ვალდებულებების შეფარდებით მიღებული კოეფიციენტის სახით:

ლიკვიდური აქტივები მოიცავს ფულსა და ფულის ეკვივალენტებს და სხვა აქტივებს, რომლებიც დაუყოვნებლივ კონვერტირდებიან ფულად სახსრებში. ეს აქტივები ითვალისწინებს საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს, ასევე სებ-ის მიერ გაცემულ სადეპოზიტო სერტიფიკატებს, საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების გარეშე, ბანკთაშორის დეპოზიტების, და/ან მთავრობების და არა-ეგთოს ქვეყნების ცენტრალური ბანკების სასესხო ფასიანი ქაღალდების, დაყადაღებულ ნოსტრო ანგარიშებზე არსებული თანხების, გაუფასურებული ბანკთაშორის დეპოზიტების, სებ-თან სავალდებულო რეზერვზე არსებული თანხების გარდა, რომლებიც დაგირავებულია სებ-იდან მიღებული სესხების ფარგლებში.

ვალდებულებები მოიცავს საერთო საბალანსო ვალდებულებებს, გამოკლებული ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ, რომლებიც გამოყენებულ ან გადახდილ უნდა იქნას ანგარიშგების თარიღიდან ექვს თვეზე გვიან, მიმატებული გარესაბალანსო ვალდებულებები დაფარვამდე დარჩენილი ვადით, რომელიც შეადგენს ანგარიშგების თარიღის შემდეგ ექვს თვეზე ნაკლებს. გარესაბალანსო ვალდებულებები მოიცავს ყველა ვალდებულებას ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გარდა, რომლებიც სრულად არის უზრუნველყოფილი ფულადი სახსრებით ბანკში, და უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან გამომდინარე ვალდებულებებს. ლიკვიდურობის კოეფიციენტის მაქსიმალური და მინიმალური განაკვეთები აღებულია სათანადო საანგარიშგებო წლების ისტორიული მონაცემებიდან.

გარდა ამისა, 2017 წლის 15 მაისს, სებ-მა გამოსცა ბრძანება კომერციული ბანკებისთვის ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტის შესახებ, რომელიც ძალაში შედის 2017 წლის 1 სექტემბრიდან. ამ ბრძანების შესაბამისად, ბანკები ვალდებული არიან იქონიონ ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი, რომელიც განისაზღვრება როგორც მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების შეფარდება მომდევნო 30 დღის განმავლობაში სუფთა ფულადი სახსრების ნაკადებთან. ეს ბრძანება მოითხოვს, რომ პიკის არარსებობისას, შეფარდების მაჩვენებელი იქნება არანაკლებ 100%. ლიკვიდურობის დაფარვის კოეფიციენტი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის იყო 112.4%.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ბანკი ასევე მართავს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებში შეთანხმებას და აწესებს მაქსიმალურ ლიმიტს უარყოფით სხვაობაზე ბანკის მთლიან განცალკევებულ სავალდებულო კაპიტალთან შედარებით, რომელიც გაანგარიშდება საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის შესაბამისად. კოეფიციენტები შეფასებულია და მოწმდება ყოველთვიურად და დარდება დადგენილ ლიმიტებს. გადახვევის შემთხვევაში, აქტივისა და ვალდებულების მართვის კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ცვლილების სტრატეგიებს / ღონისძიებებს.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის პარამეტრები საკონტრაქტო არადისკონტირებული დაფარვების ვალდებულებაზე დაყრდნობით. დაფარვებისათვის, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, მოიაზრება, რომ შეტყობინება მყისიერად მოხდება. თუმცა, ბანკი ელის, რომ მეანაბრეთა უმეტესი ნაწილი არ მოითხოვს დაფარვას, ქველაზე ადრეული შესაძლო თარიღით, და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, როგორც ეს ნაჩვენებია ბანკის დეპოზიტის მომსახურების ისტორიაში.

ფინანსური ვალდებულებები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წლის შემდეგ*	*სულ*
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	2,744,779	3,543,627	602,753	65,330	6,956,489
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	1,279,348	469,014	865,868	917,642	3,531,872
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	124,424	720,065	-	844,489
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	3,139	390	-	-	3,529
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**4,027,266**	**4,137,455**	**2,188,686**	**982,972**	**11,336,379**

ფინანსური ვალდებულებები

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წლის შემდეგ*	*სულ*
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	2,072,241	3,068,924	484,151	48,773	5,674,089
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	1,648,055	444,855	995,361	755,118	3,843,389
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	31,163	17,328	117,995	-	166,486
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	8,466	6,589	634	-	15,689
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**3,759,925**	**3,537,696**	**1,598,141**	**803,891**	**9,699,653**

ფინანსური ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წლის შემდეგ*	*სულ*
ვალდებულებები მეანაბრეთა წინაშე	3,031,493	1,202,598	603,769	60,061	4,897,921
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე და სხვა ნასესხები თანხები	299,149	314,976	467,759	515,649	1,597,533
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	48,477	18,552	971,731	-	1,038,760
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	3,243	-	-	-	3,243
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**3,382,362**	**1,536,126**	**2,043,259**	**575,710**	**7,537,457**

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილი გვიჩვენებს ბანკის ფინანსურ და პირობით ვალდებულებებს, ვადის ამოწურვის თარიღების მიხედვით.

	3 თვეზე ნაკლები	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*5 წლის შემდეგ*	*სულ*
31 დეკემბერი 2017	339,763	191,847	328,538	103,244	963,392
31 დეკემბერი 2016	332,198	192,751	213,468	33,134	771,551
1 იანვარი 2016	396,443	272,730	104,909	10,458	784,540

ბანკი არ ელის, რომ ყველა პირობითი ვალდებულება იქნება დაფარული ვადის ამოწურვამდე.

ვადიანობის ანალიზი არ ასახავს მიმდინარე ანგარიშების ისტორიულ სტაბილურობას. ისტორიულად, მათი ლიკვიდაცია უფრო გრძელვადიან პერიოდში მოხდა, ვიდრე ეს ნაჩვენებია ცხრილებში ზემოთ. აღნიშნული ნაშთები ჩართულია სამ თვეზე ნაკლები ვადის მქონე ვალდებულებებში.

მეანაბრეთა წინაშე ვალდებულებებში ჩართულია ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკმა ამგვარი დეპოზიტი უნდა დაფაროს დეპოზიტორის მოთხოვნისას (შენიშვნა 16).

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან სამომავლო ფულადი ნაკადების ცვლილების შედეგად, რაც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთების, სავალუტო კურსის და კაპიტალის ინსტრუმენტებზე ფასთა რყევით. ბანკი საბაზრო რისკს ყოფს სავაჭრო ან არასავაჭრო პორტფელებთან მიმართებაში. მათი მართვა და მონიტორინგი ხდება მგრძნობელობის ანალიზის გამოყენებით.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების ან მომავალი ფულადი ნაკადების მერყეობის რისკი, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო. წინამდებარე ცხრილში აღწერილია საპროცენტო განაკვეთების გონივრული შესაძლო ცვლილებების მგრძნობელობა, მაშინ, როდესაც ყველა სხვა კომპონენტი უცვლელია, ბანკის მოგება-ზარალის განცალკევებულ ანგარიშგებასთან მიმართებაში.

მოგება-ზარალის განცალკევებულ ანგარიშების მგრძნობელობა წარმოადგენს საპროცენტო განაკვეთების სავარაუდო ცვლილებების გავლენას ერთი წლის წმინდა საპროცენტო შემოსავალზე, ცვალებადი განაკვეთის მქონე არასავაჭრო ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებზე დაყრდნობით, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცვლილებები საბაზისო პუნქტებში გამოითვლება, როგორც დღიური ცვლილებების სტანდარტული დევიაციები მცურავ სავალუტო კურსებში, ბოლო თვის განმავლობაში, გამრავლებული შესაბამის მცურავ განაკვეთებზე. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლებისთვის, მგრძნობელობის ანალიზს არ გამოუვლენია არსებითი პოტენციური ეფექტი ბანკის კაპიტალზე.

ვალუტა	*ზრდა პროცენტის მეასედებში 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
ლარი	13	443	(1,159)
ევრო	1	(22)	-
აშშდ	3	(73)	-

ვალუტა	*ზრდა პროცენტის მეასედებში 2017*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2017*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2017*
ლარი	13	(443)	1,159
ევრო	1	22	-
აშშდ	3	73	-

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

ვალუტა	*ზრდა პროცენტის მეასედებში 2016*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2016*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2016*
ლარი	206	261	(1,758)
ევრო	1	1	-
აშშდ	3	69	-

ვალუტა	*ზრდა პროცენტის მეასედებში 2016*	*წმინდა საპროცენტო შემოსავლის მგრძნობელობა 2016*	*სხვა სრული შემოსავლის მგრძნობელობა 2016*
ლარი	206	(261)	1,758
ევრო	1	(1)	-
აშშდ	3	(69)	-

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების მერყეობის რისკი, სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. მმართველმა საბჭომ დააწესა ლიმიტები განთავსებულ სახსრებზე ვალუტების მიხედვით, სებ-ის ინსტრუქციებზე დაყრდნობით, და, აღნიშნულის მონიტორინგი ხორციელდება ყოველდღიურად.

წინამდებარე ცხრილში მოცემულია ბანკის არასავაჭრო ფულადი აქტივები და ვალდებულებები და პროგნოზირებული ფულადი ნაკადები, ძირითად ვალუტებში, 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილში გაანგარიშებულია ვალუტების გონივრული შესაძლო დინამიკის ეფექტი ლართან მიმართებაში, მაშინ როდესაც მოგება-ზარალის ანგარიშგების ყველა სხვა კომპონენტი უცვლელი რჩება (ვალუტისადმი მგრძნობიარე არასავაჭრო ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების გამო). ლართან მიმართებაში სავალუტო კურსის შესაძლო ცვლილება გამოითვლება, როგორც სტანდარტული გადახრა სავალუტო კურსის ყოველდღიური ცვლილებიდან ბოლო თვის განმავლობაში.

ვალუტა	*ცვლილება ვალუტის კურსში %*	*ეფექტი მოგებაზე გადასახადით დაბეგვრამდე*	*ცვლილება ვალუტის კურსში %*	*ეფექტი მოგებაზე გადასახადით დაბეგვრამდე*
	2017		*2016*	
ევრო	12.0%	(2,487)	11.6%	(3,336)
აშშდ	8.9%	5,758	9.3%	3,507

წინასწარი გადახდების რისკი

წინასწარი გადახდების რისკი წარმოადგენს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს, როდესაც ჯგუფის კლიენტები ან კონტრაგენტები იხდიან, ან თხოულობენ გადახდას მოსალოდნელ პერიოდზე ადრე ან გვიან, მაგალითად, ფიქსირებული განაკვეთის იპოთეკური სესხები საპროცენტო განაკვეთების შემცირების შემთხვევაში.

ბანკის გაიანგარიშებს ადრინდელი გადახდების შედეგს ადრინდელი გადახდების შეწონილი საშუალო განაკვეთის გაანგარიშებით თვითოეული სესხის პროდუქტისთვის ცალკე, ანგარიშგების თარიღისთვის შესაბამისი პროდუქტების გადაუხდელი საბალანსო ღირებულების ამ ისტორიული განაკვეთების გამოყენებით და თვითოეული პროდუქტის შეწონილი საშუალოს ეფექტურ წლიურ საპროცენტო განაკვეთზე გამრავლებით. ეს მოდელი არ ანსხვავებს გადახდის სხვადასხვა მიზეზებს (მაგ. გადაადგილება, რეფინანსირება და ხელახალი შეთანხმება) და ითვალისწინებს ნებისმიერი წინასწარი გადახდის საურავებს, როგორც ბანკის შემოსავალს.

26. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი (გაგრძელება)

2017-სა და 2016 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წინასწარი გადახდების რისკის შესაძლო გავლენა ბანკის მოგებასა და კაპიტალზე შემდეგია:

	ეფექტი წმინდა საპროცენტო შემოსავალზე
2017	(46,527)
2016	(27,487)

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკიდან წარმოშობილი ზარალი გამომდინარეობს სისტემების მწყობრიდან გამოსვლიდან, მექანიკური შეცდომებიდან, თაღლითობიდან თუ სხვა გარეშე ფაქტორებიდან. სათანადო კონტროლის არარსებობის შემთხვევაში, საოპერაციო რისკმა შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს რეპუტაციაზე, გამოიწვიოს იურიდიული სანქციები ან ფინანსური ზარალი. ბანკის მიერ ყველა საოპერაციო რისკის აღმოფხვრა არ იქნება შესაძლებელი, თუმცა ეფექტური იქნება, თუ ბანკის მართავს რისკებს კონტროლის სისტემისა და პოტენციური რისკების მონიტორინგისა და რეაგირების მეშვეობით. კონტროლის სისტემა შიდა აუდიტის გამოყენებასთან ერთად უნდა მოიცავდეს მოვალეობათა სათანადოდ განაწილებას, ხელმისაწვდომობის, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურებს, თანამშრომელთა სწავლებისა და შეფასების პროცესებს.

საოპერაციო გარემო

